ISSN 2587-4713

11-12 2017

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

11-12, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

გურამ მეტივიშვილი - მიწის რეფორმების
სტრატეგიები: შედარებით ანალიზი ---------- 6
გოდერძი ტყეშელაშვილი,
ნათია ასლამაზაშვილი - საქართველოს ეკონომიკაში
ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები ---------- 15

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ვერა ძველაია - კრეატიული ადამიანი - ქვეყნის
კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური
ზრდის უმთავრესი ფაქტორი ---------- 28
თამარ დუდაური - ლიდერობა - ორგანიზაციის
კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საფუძველი ---------- 35

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნინო სამჭკუაშვილი - კრიპტოვალუტა: უნიკალურობა,
უპირატესობები და უარყოფითი მხარეები ---------- 44

რეგიონული ეკონომიკა

ირაკლი კინწურაშვილი - მობილური ტელეფონების
ბაზრის კვლევა ქ. ქუთაისში ---------- 53

დარგობრივი ეკონომიკა

ნინო სებისკვერაძე - ხარისხის საერთაშორისო
სტანდარტები და მისი როლი საქართველოს ორგანიზაციებში ----- 62

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ეკატერინე კვირიკაშვილი - დიაგნოსტირების ინსტრუმენტების
გამოყენებით ორგანიზაციის განვითარების პროცესების მართვა----- 76
ირაკლი კინწურაშვილი - მარკეტინგული ღონისძიებები
თანამედროვე ტურიზმის განვითარებაში ---------- 92
მარიკა ოქრომჭედლიძე - მცირე და საშუალო
მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობა---------- 99
Жанна Толордава - Методы моделирования при изучении
устойчивого развития и в бизнес - образовании ---------- 107

მსოფლიო ეკონომიკა

მაყვალა ზარიძე - ენერგოდაზოგვა საქართველოში
და მსოფლიო გამოცდილება---------- 113
მარიკა ოქრომჭედლიძე - მცირე და საშუალო ბიზნესის
მხარდამჭერი პოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში---------- 124

2017 წლის ჟურნალის ნომრების შინაარსი ---------- 133

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Guram Metivishvili - The Strategies of Land Reforms: Comparative Analysis ---------- 6
Coderdzi Tkeshelashvili, Natia Aslamazashvili - The Problems of Attracting Investments in the Georgian Economy---- 15

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Vera Dzvelaia - The Creative Person - The Key Factor for Raising the Competitiveness and Economics Growth of a Country---------- 28
Tamar Dudauri - Leadership - The Basis for Providing of Organization Competitiveness ---------- 35

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Nino Samchkuashvili - Cryptocurrency: Uniqueness, Advantages and Disadvantages ---------- 44

REGIONAL ECONOMY

Irakli Kintsurashvili - The Mobile Phone Market Research in Kutaisi ---------- 53

SECTORAL ECONOMY

Nino Sebiskveradze - International Standards on Quality and Its Role in the Georgian Organizations---------- 62

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Ekaterine Kvirikashvili - Management of Organization
Development Processes by Using the Diagnostic Instruments ---------- 76
Irakli Kintsurashvili - Marketing in the Service
of the Development of Modern Tourism ---------- 92
Marika okromtchedlidze - the viability
of small and medium - sized enterprises ---------- 99
Zhanna Tolordava - The Methods of Modeling in the Study
of Sustainable Development and in Business Education ----------107

WORLD ECONOMY

Makvala Zaridze - Energy Saving in Georgia
and the World Experience ----------113
Marika okromtchedlidze - The Supporting Policy for
the Small and Medium - sized Enterprises in the Foreign Countries--124

The Content of 2017 Year's Journals - ----------133

მიწის რეფორმების სტრატეგიები: შედარებით ანალიზი

გურამ მეტივიშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელების შედეგები და აღნიშნულია, რომ პრივატიზების შემდეგ მიწები აღმოჩნდა დანაწევრებული მცირე პარცელებად, ჩამოყალიბდა მცირე მეურნეობები, რომლებიც გამოირჩეოდნენ დაბალი ნაყოფიერებით და უზრუნველყოფდნენ მხოლოდ თავიანთი მოხმარების მინიმალურად სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქციას.

დახასიათებულია სხვადასხვა ქვეყანაში მიწის რეფორმების განხორციელების თავისებურებები და აღნიშნულია ამ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ყველა ქვეყანას, მიწების განაწილებისას, წარმოეშვა პრობლემები, თუმცა განსხვავებული ხასიათის. თუ ზოგიერთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო მიწის მართვა, დეცენტრალიზაცია, კოლონიური წარსული ტრადიციების განეიტრალება, მიწების ხელმეორედ გადანაწილება და ა. შ, საქართველოში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მსგავსად, როგორც მიწების კონცენტრირებისა და ნაყოფიერების ამაღლების, ასევე გლობალური მიზნების განხორციელების საკითხი დგას.

საკვანძო სიტყვები: მიწა, პოლიტიკა, საქართველო, სოფლის-მეურნეობა, რეფორმები, სტრატეგია

ძირითადი ტექსტი

მიწის პოლიტიკის რეფორმა მოიცავს ცვლილებებს მიწის რესურსების განაწილებაში, მფლობელობის ფორმებში, მიწის გამოყენების მარეგულირებელ წესებში და ინსტიტუტებში, რომლებიც მართავენ მიწას და არეგულირებენ მის გამოყენებას.

საქართველოში მიწის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო და დღესაც რჩება მიწების პრივატიზება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პრივატიზების კვალდაკვალ განხორციელდა ტრადიციული მსხვილი მეურნეობების დანაწევრება და პარალიზება. არსებული მსხვილი მეურნეობები, რომლებიც სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის მთლიანი მოცულობის 90 პროცენტამდე ფლობდა, დაიშალა. ცხადია, რომ რეფორმებმა აქცენტი აიღო მცირე ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე. საკმაოდ მაღალი სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში მიწების განაწილება ემსახურებოდა მხოლოდ შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზანს. განუვითარებელი იყო სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა სასაწყობო და სამაცივრე ნაგებობები, გადამამუშავებელი ქარხნები, სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები, საქონლის საკვები ბაზა, მიწის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა. არსებობდა მოძველებული ტექნოლოგიები და სხვ. ეს აისახებოდა მათი საბოლოო პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე, შრომის დაბალ ნოყოფიერებაში. შედეგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება თანდათანობით მცირდებოდა. მხოლოდ მიწების განაწილებაზე დაფუძნებული ღონისძიებებით სოფლის მეურნეობის განვითარება სუსტად წარიმართა და მიწის რეფორმებმა ვერ გამოიღო შედეგი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, სასოფლო- სამეურნეო მიწების 86.5 პროცენტს 571,900 ოჯახი ამუშავებდა. ამ ოჯახების უმეტესობას მცირე ნაკვეთები აქვთ. ოჯახური მეურნეობების 77 პროცენტი ფლობს მაქსიმუმ 1ჰა

მიწას, ხოლო ოჯახების მიწის ნაკვეთების საშუალო ზომა 1.2 ჰა-ს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობი საქართველოში 2.3 მილიონ ჰა-ს შეადგენს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ყველაზე დიდ ნაწილს საძოვრები შეადგენს. მეორე ადგილზეა სახნავი მიწები, შემდეგ მოდის მრავალწლიანი ნარგავების ფართობები და მდელოები. სასოფლო-სამეურნეო მიწების 45 პროცენტი კერძო საკუთრებაშია და 55 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში. სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების დაახლოებით ორი მესამედი კერძო საკუთრებაშია, მდელოების დაახლოებით 45 პროცენტი და საძოვრების უმეტესობა - სახელმწიფო საკუთრებაშია.

საქართველოში ჩამოყალიბდა მცირე მეწარმეობაზე აგებული სოფლის მეურნეობა. ფერმერების თითქმის 3/4-ს, როგორც ითქვა, 1-ჰა ზე ნაკლები მიწა აქვთ. მათ ასევე მემკვიდრეობით მიიღეს ცუდი ინფრასტრუქტურა .

თუ შევადარებთ საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ადვილი შესამჩნევია, რომ თუ საქართველოში 0-დან 3 ჰა- მდე მიწების ფლობა ჭარბობს სხვა დანარჩენი ზომის მეურნეობებს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადად საკუთრებაშია 5-დან 50 ჰა-მდე მიწები, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი - 5-დან 20 ჰა-მდე (იხ. გრაფიკი 1-2).

პოსტსაბჭოთა და ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მემკვიდრეობით მიღებული აქვთ მიწების დანაწევრება/ფრაგმენტაცია, განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან. შესაბამისად ამ ქვეყნების დღის წესრიგში მიწების გამსხვილებაა, რომლის განხორციელებაც ხანგრძლივი პერიოდის ამოცანაა.

მცირე მეურნეობები უზრუნველყოფენ შინამეურნეობებს სურსათით და იგი სოფლის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობებს ქმნის, მაგრამ მას აქვს მრავალი უარყოფითი მხარე, რომელიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მათ განვითარებას და კომერციალიზაციას.

გრაფიკი 1



გრაფიკი 2



წყარო: EUROSTAT, http://ec.europa.eu/eurostat/data/database

საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გარკვეულ ნაწილს იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა, სახელმწიფო საკუთრების დაახლეობით ერთი მესამედი კი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იყო იჯარით გაცემული. თუმცა ცხა-

დია, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი არ არის გასხვისებული და დაუმუშავებელია.

ამდენად მიწების რეფორმების შედეგად, რომელიც დაემყარა პრივატიზებას, მიწები აღმოჩნდა დანაწევრებული მცირე პარცელებად, ჩამოყალიბდა მცირე მეურნეობები, რომლებიც გამოირჩეოდნენ დაბალი ნაყოფიერებით და უზრუნველყოფდნენ მხოლოდ თავიანთი მოხმარების მინიმალურად სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქციას.

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წარიმართა მიწის რეფორმები. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებული სახელმწიფოსა და კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზება მიმართული იყო კერძო მეურნეობების დამკვიდრებისკენ. პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა მცირე და ფრაგმენტული მეურნეობები. დღის წესრიგში დადგა მიწების კონცენტრაციის ზრდა და მათი სტიმულირება, ახალგაზრდა მეურნეობების ხელშეწყობა და შრომის მწარმოებლურობის გაზრდა. ანალოგიური პრობლემები შეიქმნა პოსტკომინისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. მიწების განვითარების სუსტი სტიმულები მოითხოვს მიწის მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებას, ინოვაციური მიდგომების საშუალებით კონსოლიდაციას, ღარიბი ფერმერებისათვის ფინანსურ ხელშეწყობას.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიწების განაწილება განხორციელდა უთანასწოროდ და ჩავარდა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები. ბაზრის ფუნქციონირების დეფორმაციამ და წარუმატებლობებმა გამოინვია მცირე ფერმერების ექსპროპრიაცია, მიწის განაწილების უთანასწორობისა და სიღარიბის გაზრდა. შედეგად ფერმერების უფლებები მიწაზე, რომელსაც ისინი ამუშავებენ, რჩებოდა სამართლებრივად დაუცველი.

გაჩნდა უმიწოდ დარჩენილი სოფლის მოსახლეობა. შესაბამისად მათი დღევანდელი გამოწვევაა ბაზარზე ორიენტირებული ეფექტიანი რეფორმების ფორმირება და განხორციელება, კოლექტიური მეურნეობების საკუთრების უფლებების აღიარება და სხვ.[1]

აფრიკის ქვეყნებში არსებობს საკანომდებლო შეუსაბამობები მიწების ტიტულთან დაკავშირებით და კოლონიური წარსულის დიდი ზეგავლენა მიწების პოლიტიკაში. ღარიბი გლეხებისათვის მიწები გადაცემულია საერთო მფლობელობაში, ხოლო მიწების გარკვეულ ნაწილზე ყოფილი კოლონიური მფლობელების საკუთრებაა. მიწის პოლიტიკაზე განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ყოფილი კოლონიური მიწის პოლიტიკას, რომელმაც გადაფარა მიწის განაწილების დადგენილი მოდელები და გამოიწვია კარგ მიწებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. სახელმწიფოს შემდგომმა ჩარევამ მიწის საკითხებში, მიწის კოლექტივიზაციის განხორციელების მიზნით, ან ყველა მიწაზე სახელმწიფოს მფლობელობის აღიარების მოთხოვნით, გამოიწვია მიწების არაეფექტიანი გამოყენება, წარმოშვა ბიუროკრატია და სოციალური უსამართლობა.

ამასთან, განსხვავებულია აფრიკის სხვადასხვა ტერიტორიაზე საკუთრების აღიარება. ევროკავშირის ექსპერტები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებებად მიიჩნევენ: მიწების ადმინისტრირების დეცენტრალიზაციას, ღარიბების უფლებების დაცვას, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დიალოგს ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით და სხვ.[2]

აზიის ქვეყნებში კი ჩამოყალიბდა მკაცრი ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემა და უამრავი ადამიანი მიწების გარეშეა დარჩენილი, რის შედეგადაც წარმოიშვა კონფლიქტები განსაკუთრებით მიწების კოლექტიურ გამოყენებასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ამ რეგიონში მიწების ხელმეორედ გადანაწილება, მიწების საარენდო ბაზრის განვითარება და რეფორმები, რომელიც ხელს შეუწყობს მიწის მართვის დეცენტრალიზაციას, გახდა ძირითადი საკითხი. [3]

ყველა ქვეყანას, მიწების განაწილებისას, წარმოეშვა პრობლემები, თუმცა განსხვავებული ხასიათის. თუ ზოგიერთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო მიწის მართვა, დეცენტრალიზაცია, კოლონიური წარსული ტრადიციების განეიტრალება,

მიწების ხელმეორედ გადანაწილება და ა. შ, საქართველოში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მსგავსად, საკითხი დადგა უკვე განაწილებული მიწების კონცენტრირებისა და ნაყოფიერების ამაღლების შესახებ.

გარდა ამისა, საქართველოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა გლობალურად განსაზღვრული და საქართველოს მიერ აღიარებული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება. გაეროს მიერ განსაზღვრული 17 გლობალური მიზნიდან მეორე მიზანი ეხება შიმშილის აღმოფხვრას, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევასა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. გათვალისწინებულია 2030 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების შემოსავლების გაორმაგება, მათ შორის მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებზე და საშუალებებზე, გათვალისწინებულია სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას, ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან, წყალდიდობასა და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს; უზრუნველყოფილი იქნება მეთესლეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, საოჯახო -სამეურნეო და შინაური ცხოველების და მათი მონათესავე ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

გლობალური მდგრადი განვითარების მე-15 მიზანი ეხება ტყეების გამეჩხერების, მიწის დეგრადაციის გაუარესების, ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შეჩერების საკითხებს.[4] დღეს ტყეების მოიცავს დედამიწის მიწის თითქმის 31 პროცენტი ფართობს. დაახლოებით 1.6 მილიარდი ადამიანი დამოკიდებულია ტყეებზე, რომელიც მათი საარსებო წყაროა. მსოფლიოში ღარიბი მოსახლეობის თითქმის 75 პროცენტი ზარალდება უშუალოდ მიწის დეგრადაციით. ცხოველთა ცნობილი 8 300 ჯიშიდან 8 პროცენტი არის სრულად გადაშენებული და 22 პროცენტს

გადაშენების საფრთხე ემუქრებათ. გაეროს გაანგარიშებით, მდგრადი ტყის მართვა გლობალური მასშტაბით დაჯდება 70-160 მილიარდი აშშ დოლარი წელიწადში. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შეფასებით, საჭიროა 50- 440 მილიარდი აშშ დოლარი წელიწადში ამ საუკუნის შუა პერიოდამდე, რათა შეჩერდეს ბიომრავალფეროვნების დაკარგვის რისკები.

საქართველოში ტყეს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40 % უკავია, საერთო ჯამში 2 822 500 ჰა. აქედან დაახლოებით 100 000 ჰა (3,5 %) მდგრადად იმართება. საქართველოსათვის მისადაგებელი ინდიკატორია 2030 წლისათვის ტყეების დაახლოებით 60%-ის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა. 2030 წლისათვის ტყეების დაახლოებით 34 000 ჰა აღდგება და ხელახლა გატყიანდება. 2003-2015 წლების მონაკვეთში დაახლოებით 690.4 ჰა აღდგა სახელმწიფო ფონდის ფარგლებში. 2013 წლის შეფასების თანახმად, 34 000 ჰა საჭიროებს განახლება-აღდგენას.[5] საქართველოში ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით 2013 წელს მიღებული იქნა ტყეების ეროვნული კონცეფცია, ასევე ტყეების სექტორის რეფორმის სტრატეგია. ტყეების მდგრადი განვითარების რეალიზების მიზნით მიმდინარეობს კონკრეტული სამოქმედო გეგმის შედგენა 2021 წლამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. EU Land Policy Guidelines. Guideline for Support to Land Policy Design and Land policy Reform Process in Developing Countries. EU Task Force on Land Tenure. 2004. P. 12.
2. EU Land Policy Guidelines.
3. EU Land Policy Guidelines.
4. Sustainable Development Goals. 17 Goals to Transform our World. UN. http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/
5. Sustainable Development Goals, Georgia (Project).

STRATEGIES OF LAND REFORMS: COMPARATIVE ANALYSIS

Guram Metivishvili
Doctoral Student, the St. Andrews
the First-Called Georgian University

RESUME

The paper deals with the results of implementation of the Land Reform in Georgia and states that after privatization lands were divided into small parcels. The small farms with low productivity have been formed, providing only minimally essential products for their consumption.

Land reforms in different countries are typical and the main challenges to the agriculture policies of these countries are observed. Based on the comparative analysis, it is shown that all countries have different problems in the distribution of lands. For some countries, land management, decentralization, neutralization of colonial past traditions and redistributing of lands were important policy challenges. In Georgia, like in Eastern and Central Europe, the focus is made on the concentration of land, growth of productivity and implementation of global goals.

Key words: Land Policy, Georgia, Agricultural, Reforms, Strategy.

საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები

გოდერძი ტყეშელაშვილი
სტუ, პროფესორი
ნათია ასლამაზაშვილი
სტუ, დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ინვესტირების გარეშე. მისი წყაროა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები. ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან, ხასიათდებიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი ექსპორტის დიდი მოცულობებით. ითვლება, რომ უცხოური ინვესტიციების მოცულობები პროპორციულად აისახება სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებულობაზე.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესი არადამაკმაყოფილებელია, მის გასააქტიურებლად უპირველესად მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატრებაა საჭირო, რაც გამოიხატება შემდეგ მიმართულებებში: საბაზრო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე; საგადასახადო გარემო, მისი ლიბერალურობა და სიმარტივე; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; ბიზნესის სამართებლივი ბაზის სტაბილურობა.

აღნიშნული მიმართულებები უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობ გენერალურ ხაზად. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი ტემპების მიღწევა შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ინვესტიცია, უცხოური ინვესტიცია, ბირჟა, მაკროეკონომიკური ფაქტორები.

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების აუცილებელ ატრიბუტს ინვესტიცია წარმოადგენს. "ინვესტიციის" შინაარსში ესმით, როგორც "ნებისმიერი სახის კაპიტალის განთავსება ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში სამომავლოდ მოგების (სარგებლის) მიღების მიზნით"[1], ან "ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობათა განთავსება სამეწარმეო და სხვა ეკონომიკის სფეროებში მოგების ან სხვა ეფექტის მიღების მიზნით"[2], ანდა „კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით"[3]. მიუხედავად იმისა, რომ აქ მოყვანილი ენციკლოპედიური განმარტებები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, მითუმეტეს მეტი აცდენებია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შინაარსობრივად ისინი მაინც ხასიათდებიან საერთო ნიშნებით, ანუ იგულისხმება, რომ ინვესტიცია ეს არის რაიმე სახით წარმოდგენილი კაპიტალი, რომლის ასახვაც შესაძლებელია ფულადი ფორმით და განკუთვნილია დასაბანდებლად მომავალში ეფექტის (მოგების) მიღებისათვის. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ინვესტიციის განხორციელება და მოსალოდნელი შედეგობრივი სიდიდეები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა და შედეგის დადგომა ზოგჯერ რამდენიმე წლით განისაზღვრება, ინვესტირების პროცესი გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ შედეგის ფაქტიური სიდიდე განსხვავებული იქნება თეორიულად გაანგარიშებულისაგან.

---

1 ინგლისურენოვანი ვიკიპედია. საიტი: https://en.wikipedia.org/wiki/Investment. გადამოწმებულია 28.10.2017.

2 რუსულენოვანი ვიკიპედია. საიტი: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BD%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8. გადამოწმებულია 28.10.2017

3 ქართულენოვანი ვიკიპედია. საიტი: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90. გადამოწმებულია 28.10.2017

ძირითადი ნაწილი

ინვესტიცია გამოიყენება არაფინანსურ აქტივებში კაპიტალის გაზრდის ან ახალი კაპიტალის ფორმირებისათვის. ითვლება, რომ რაც უფრო მეტია ინვესტიციების მოცულობა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში, მით უფრო მიმზიდველია ამ ქვეყნის სამეწარმეო გარემო. საქართველო ამ მხრივ ბოლო პერიოდისათვის მზარდი დინამიკით ხასიათდება, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ოფიციალური სტატიკაც (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში
ინსტუტუციური სექტორების მიხედვით[1] მლნ. ლარი

დასახელება	2011	2012	2013	2014	2015
არაფინანსური კორპორაციების სექტორი	3 275.8	4 107.1	3 657.2	4 981.8	5 985.9
ფინანსური კორპორაციების სექტორი	112.7	144.5	132.7	154.3	162.6
სახელმწიფოს მართვის სექტორი	1 298.0	1 219.0	1 014.9	1 082.3	1 479.0
შინამეურნეობების სექტორი	763.9	1 001.2	1 062.1	1 289.4	1 376.6
შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	23.9	24.9	25.9	26.9	27.9
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში — სულ	5 474.3	6 496.8	5 892.7	7 534.7	9 032.0

1 **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016. თბ. 2017. გვ. 176**

2011 წ-დან 2015 წ-მდე საქართველოს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების საერთო მოცულობა 65 %-ით გაიზარდა და ცხრა მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, თუმცა ეს ციფრი მაინც ძალიან მცირეა. შედარებისათვის სინგაპურის მოსახლეობა 5.6 მლნ. კაცია, ხოლო მხოლოდ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 2015 წ-ს შეადგინა 62.5 მლრდ. $. თუ საკუთარ ინვესტიციებსაც გავითვალისწინებთ ეს ციფრი გაცილებით მაღალი იქნება, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს იგი 50-ჯერ აჭარბებს.[1]

მსოფლიოს სახელმწიფოები ერთდროულად გვევლინებიან ინვესტიციების გამტან და შემომტან ქვეყნებად. 2015 წ-სთვის უცხოური ინვესტიციების შემოდინება ცალკეულ სახელწიფოების მიხედვით ასახულია ნახაზ 1-ში, ხოლო ინვესტიციების გატანა ნახაზ 2–ში.

ნახაზი 1. ინვესტიციების შემოტანა ზოგიერთ სახელმწიფოებში. მლრდ $[2]



1 იხ. ВЕДУЩИЙ КОРПОРАТИВНЫЙ ПОРТАЛ ОФФШОРНОЙ ИНДУСТРИИ НА РУССКОМ ЯЗЫКЕ. საიტი: https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/. გადამოწმებულია 20.10.2017

2 КОНФЕРЕНЦИЯ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ ПО ТОРГОВЛЕ И РАЗВИТИЮ. ДОКЛАД О МИРОВЫХ ИНВЕСТИЦИЯХ. 2016. p., 5. საიტი: file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf.

ნახაზი 2.
ინვესტიციების გატანა ზოგიერთ სახელმწიფოებიდან. მლრდ $



აშშ, წარმოადგენს რა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, გამორჩეულია ინვესტიციების მოზიდვისა და გატანის მიხედვით. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ამ სახელმწიფომ 2015 წ-ს მოიზიდა უცხოეთიდან 380 მლრდ. $, ხოლო გაიტანა სხვა ქვეყნებში – 300 მლრდ. $. ინვესტიციების მოზიდვით მეორე ადგილზეა ჩინეთი 175 მლრდ. $, იგი ინვესტიციების გატანის მხრივ მესამე ადგილზეა (175 მლრდ. $). აღნიშნულ ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს, რამდენადაც ინვესტირების მოცულობა ისედაც დაბალია, მით უფრო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. მონაცემები ასახულია ცხრილ 2-ში.

უცხოური ინვესტიციები ბოლო პერიოდში 2014 წ-ს იყო ყველაზე მაღალი – 1,7 მლრდ. ლარი, რაც მაშინდელი ლარის კურსის გათვალისწინებით დაახლოებით 0.7 მლრდ. $. თუ შევადარებთ ზემოთ მოყვანილ სახელმწიფოთა მონაცემებს სხვაობა ძალიან დიდია და ინვესტიციების მოზიდვის არახელსაყრელ პროცესზე მიუთითებს.

ცხრილი 2. უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (ათასი ლარი)[1]

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	**449.8**	89.4	105.9	75.6	178.9
2006	**1 190.4**	146.0	306.9	280.7	456.7
2007	**2 014.8**	421.4	401.5	489.1	702.9
2008	**1 564.0**	537.7	605.4	134.7	286.2
2009	**658.4**	114.0	177.2	173.2	194.0
2010	**814.5**	166.5	208.3	225.6	214.1
2011	**1 117.2**	209.7	248.3	316.6	342.6
2012	**911.6**	261.2	217.7	199.0	233.7
2013	**941.9**	252.3	207.9	254.8	226.9
2014	**1 758.4**	309.5	196.2	726.0	526.7
2015	**1 564.5**	291.5	462.7	483.2	327.1
2016	**1565.9**	390.1	404.3	501.3	270.2
2017*	**751.0**	404.4	346.6		

ინვესტიციების ზრდის მიმართულებით აუცილებელია ქვეყანაში ბიზნესის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუმჯობესება, რომლებიც შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ესენია: საბაზრო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე; საგადასახადო გარემო, მისი ლიბერალურობა და სიმარტივე; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; ბიზნესის სამართებლივი ბაზის სტაბილურობა.

მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

საბაზრო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება ბაზარზე აგენტების, ბაზრის მონაწილე სუბიექტების თავისუფლება და ორგანიზებული ბაზრების (ბირჟების) ქსელის ფუნქციონირება. "საქა-

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. იხ. საიტი: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017

რთველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთო სიძნელეების დაძლევასთან. სამეურნეო სისტემის გარდაქმნის პრობლემის გადაჭრასთან და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა ხელს უშლის ამ პროცესს."[1]

საქართველოს ბაზარი არ გამოირჩევა თავისუფლების მაღალი დონით. ბაზარზე მრავლადაა როგორც მონოპოლიები (ბუნებრივიც და ხელოვნურად ვშექმნილიც), ასევე ოლიგოპოლიები (მაგალითად ნავთობის და წამლების ბიზნესი, სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის დაზღვევა და ა. შ.).

საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებას ყველაზე უკეთ საბირჟო ქსელის განვითარება და ამ ბირჟებზე წარმოებული ოპერციების მოცულობები ახასიათებენ. არსებული ოთხი ტიპის ბირჟებიდან — სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და შრომის, - ჩვენთან სრულყოფილად მხოლოდ სავალუტო ბაზარი ფუნქციონირებს. რაც შეეხება დანარჩენს — ისინი არ საერთოდ არ არსებობს, ან მათი ფუნქციონირება სიმბოლური ხასიათის მატარებელია (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზარი). საქართველოში მრავლადაა დარეგისტრირებული სასაქონლო ბირჟები, მაგრამ ვერცერთი ვერ ფუნქციონირებს, რაც უარყოფითად მოქმედებს არსებულ საწარმოთა ლოგისტიკური ამოცანების გადაჭრაზე, შესაბამისად მოქმედი საწარმოები, განსაკუთრებით სამრეწველო, ვერ გამოირჩევიან ეფექტურობით, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ხშირად არაკონკურენტუნარიანია. ქვეყანას, თავისი გეპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ შეუძლია გახდეს ლოგისტიკური ცენტრი ამიერკავკასიისათვის, თუ ამ მხრივ მუშაობა გააქტიურდება მოხერხდება ერთი მაინც სასაქონლო ბირჟის ამოქმედება.

რაც შეეხება შრომით ბირჟებს, საქართველოში კლასიკური სახით იგი საერთოდ არ არსებიბს. ამინდს ვერ ჰქმნის ცალკეული დასაქმების საიტები. შედეგად შესაბამისი შრომითი რესურსებით ბინესის უზრუნველყოფა გართულებულია. უფრო მეტიც

1 ასლამაზაშვილი ნ.ინვესტირების პრობლემები საქართველოში. ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" № 2(39). 2017. გვ.270.

ჩვენ ვერ ვახერხებთ უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა სრულყოფილ აღრიცხვასაც კი და ვიღებთ აბსურდულ სტატისტიკას, როცა ჩვენთან უმუშევრობა გაცილებით დაბალია, ვიდრე, ვთქვათ ევროკავშირის სახელმწიფოებში. რეალობა კი სულ სხვაა. მაღალია შრომითი რესურსების მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოში საგადასახადო გარემო შესაბამისობაშია, ან ახლოსაა ევროკავშირის განვითარებული სახელმწიფოების საგადასახადო გარემოსთან, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ჩვენი ეკონომიკის ჩამორჩენილობა, ამიტომ ქვეყანა უნდა ისწრაფოდეს გადასახადთა ლიბრალიზაციისაკენ. ზემოთ მოყვანილი სინგაპურის მაგალითი რომ ავიღოთ, იქ მოქმედებს მხოლოდ კორპორაციებისათვის შემოსავლებზე გადასახადი (მოგების გადასახადი), რომელიც ერთიანია რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის და 18%-იანი განაკვეთით განისაზღვრება, გარდა ამისა როგორც კომპანიები, ასევე მოსახლეობა იხდის ქონების გადასახადს 4%-იანი განაკვეთით, არსებობს აგრეთვე "გერბის მოსაკრებელი", რომელიც უფრო სიმბოლური ხასიათისაა. აღნიშნულის გარდა არავითარი გადასახადი ქვეყანაში არ არსებობს.[1]

საქართველოში კი დღგ-ს გადასახადის განაკვეთი 18%, მოგების — 15%, ქონების კორპორაციებისათვის - 1%, საშემოსავლო — 20%, აქციზი — სხვადასხვა აქციზური საქონლისთვის და ა.შ. რაც უნდა ჩაითვალოს მაღალ გადასახადებად და ბუნებრივია ამით ხელი არ ეწყობა ინვესტიციების მოზიდვის პროცესს.

საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემაც არ ხასითდება სტაბილურობით. გარდა იმისა, რომ საქართველოში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი რამდერჯერმე მაღალია, ვიდრე იგივე ევროკავშირის სახელმწიფოებში, კრედიტების გაცემის სისტემაც რთულია და "უზრუნველყოფის" მაღალი საფასური მოითხოვება. ამასთან ეროვნული ვალუტა — ლარი მკვეთრად გამოხატული არასტაბილურობით ხასიათდება, რომ არაფერი ვთქვათ მის არა-

1 **იხ. Экономика Сингапура. Экономическая модель развития Сингапура. saiti: http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm. გადამოწმებულია 03.11.2017.**

კონვერტაბელურობაზე. ლარის გაცვლითი კურსი კონვერტაბელურ ვალუტებთან მიმართებაში არაპროგნოზირებადად იცვლება მისი გაიაფების, კურსის ვარდნის მიმართულებით (იხილეთ ცხრილი 3 და ნახაზი 3).

მოყვანილი სტატისტიკური მასალის შემდგომ პერიოდში ლარის მერყეობა კიდევ უფრო დიდი ამპლიტუდით ხასიათდება, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირებისათვის გაცემული სესხების მაღალი სიდიდე (მლრდ. ლარს აჭარბებს) და, მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა და სახაზინო ვალდებულებების რეალიზაცია.

ბუნებრივია ლარის კურსის ასეთი მერყეობა უარყოფითად მოქმედებს არა მარტო მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, არამედ სამეწარმეო აქტივობაზეც, რაც საბოლაოდ ხელს არ უწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ის თუ რამდენადაა დაცული ჩადებული ინვესტიცია. აქ ორი ძირითადი მიმართულებაა: პოლიტიკური სტაბილურობა და ინვესტიციების სამართებლივად დაცვის მდგომარეობა. სამეურნეო საქმიანობაში ხშირია დავის წარმოშობა, როგორც პარტნიორებთან, ასევე მომხმარებლებთან და დასაქმებულებთან. აღნიშნული დავები უნდა გადაწყდეს ოპერატიულად და სამართლიანად, დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორისათვის ორივე ამ შემადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტორი კაპიტალის დაბანდებას არ გარისკავს. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა და სამოქალაქო დავები იხილება საერთო სასამართლოების მიერ, კერძოდ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებში, სადაც საქმის განხილვა სამივე ინსტაციის სასამართლოში წლობით ჭიანურდება, ამასთან სასამართლოები არ გამოირჩევიან ობიექტურობით და მათ მიმართ ნდობა არასაკმარისია. ბუნებრივია ასეთი მდგომარეობა აფერხებს ინვესტორთა დაინტერესებას. საქმეს ვერ შველის კერძო საარბიტრაჟო სასამართლოები, რომელთა არსებობა კანონმდებლობით დაშვებულია, მაგრამ მათ მიმართ ნდობის ფაქტორი

ძალიან დაბალია, ამასთან კერძო საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები არ არის შესასრულებლად სავალდებულო.

ცხრილი 3.ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში[1]

პერიოდი	საშუალო $-თან	საშუალო £-თან
2014	**1,8636**	**2,2656**
I 15	2,2275	2,4139
II 15	2,2483	2,4992
III 15	2,3816	2,6736
IV 15	2,3949	2,6169
2015	**2,3949**	**2,6169**
I 16	2,3679	2,6795
II 16	2,3423	2,5976
III 16	2,3297	2,6132
IV 16	2,6468	2,7940
2016	**2,6468**	**2,7940**
I 17	2,4452	2,6266
II 17	2,4072	2,7444

დასკვნა

აქ მოყვანილი მაკროეკონომიკური ხასიათის პრობლემათა აღმოფხვრა უნდა იქცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობ გენერალურ მიმართულებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სასურველი ტემპების მიღწევა შეუძლებელია.

1 იხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები. საიტი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017.

ნახაზი 3. ლარის გაცვლითი კურსის გრაფიკი[1]



გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები:

1. ინგლისურენოვანი ვიკიპედია. https://en.wikipedia.org/wiki/Investment;

2. რუსულენოვანი ვიკიპედია. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%bd%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8.;

3. ქართულენოვანი ვიკიპედია. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%aa%E1%83%98%E1%83%90;

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016. თბ. 2017;

5. Ведущий корпоративный портал оффшорной индустрии на русском языке. saiti: https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/;

6. Конференция организации объединенных наций по торговле и развитию. Доклад о мировых инвестициях. 2016. საიტი: file:///c:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf;

1 იგივე საიტზე.

7.საქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახურისმონაცემები. იხ. საიტი: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017;

8. ასლამაზაშვილი ნ. ინვესტირების პრობლემები საქართველოში. ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" № 2(39). 2017;

9. Экономика Сингапура. Экономическая модель развития Сингапура. საიტი: http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm;

10. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები. საიტი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo.

REFERENCES:

1. ინგლისურენოვანი ვიკიპედია. https://en.wikipedia.org/wiki/Investment;

2. რუსულენოვანი ვიკიპედია. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%bd%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8.;

3. ქართულენოვანი ვიკიპედია. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%aa%E1%83%98%E1%83%90;

4. National statistics office of georgia. Statistical yearbook of georgia 2016. Tb. 2017;

5. The leading corporate portal of the offshore industry in the russian. Lhttps://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/;

6. United nations conference on trade and development. Report on world investmentsanguage. file:///c:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf;

7. National statistics office of georgia. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo. Checked :03.11.2017;

8. Aslamazashvili n. Investments in Georgia. Journal "Transport and Machine Building" # 2 (39). 2017;

9. The economy of Singapore. Economic model of development of Singapore.: http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm;http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm;

10. National statistics office of georgia. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo.

THE PROBLEMS OF ATTRACTING INVESTMENTS IN THE GEORGIAN ECONOMY

G. Tkeshelashvili - GTU, Professor
N. Aslamazashvili - GTU, PhD student

RESUME

Economic development in the modern world is unimaginable without investing. Its source is both the local and foreign investments. The countries that are outlined by high rate of economic development are characterized by large amounts of attracting foreign investments and their export. It is considered that the volume of foreign investments will be proportionate to the economic development of the states.

The process of attraction of foreign investments in Georgia is unsatisfactory and first of all it requires the macroeconomic measures to be activated that are expressed in the following directions: market infrastructure and its development level; tax environment, its liberality and simplicity; monetary policy and national currency stability; stability of business legislative base.

The mentioned directions should become the general line of support for economic development of the country. Otherwise, it is impossible to achieve the desired economic growth of the country.

Keywords: Economy, management, investment, foreign investment, exchange, macroeconomic factors.

კრეატიული ადამიანი - ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი

ვერა ძველაია
სტუ დოქტორანტი

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, ასევე - ქვეყნის ეკონომიკურ უნარზე-გამოიყენოს აღნიშნული რესურსები კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. ეს ყველაფერი კი აისახება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე მოსახლეობის კეთილდღეობის დონეზე. ამაში ძირითად როლს ასრულებს შემოქმედებითი ადამიანი. იგი არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრესი წყარო.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, კონკურენტუნარიანობა, გლობალიზაცია, ინვესტიციები, ინოვაციები, შემოქმედებითი ადამიანი, უახლესი ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური ზრდა განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრების დონეს. რაც უფრო მეტი საქონელი და მომსახურება იწარმოება ქვეყანაში, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე და, შესაბამისად, ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას. იგი მიიღწევა რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით. მას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განათლება, ტექნოლოგიები, ბუნებრივი რესურსები, ქვეყნის პოლიტიკის სწორი მართვა, ინვესტიციები და ა.შ.

ეკონომიკურ ზრდას, როგორც ამ ქვეყნად თითქმის ყველაფერს, აქვს თავისი დადებითი და უაყოფითი მხარეები (ამ უკანასკნელში იგულისხმება მოსახლეობის შემოსავლების დიფერენცირება, გარემოს დაბინძურება და სხვა), თუმცა, უმეტესად, ეკონომიკური ზრდა დადებითი მოვლენაა. მის დადებით მხარეებია: მშპ-ის ზრდა, ტექნოლოგიური პროგრესი, ცხოვრების მაღალი დონე, საქონლისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, კომფორტი და ა.შ.

ჩვენი ქვეყნისათვის ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა. საქართველომ რომ მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ნიშნულს, ამისათვის აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან; ასევე მნიშვნელოვანია მათი კოორდინირებული მუშაობა. ამაში იგულისხმება სწორი სახელწიფო პოლიტიკის გატარება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინოვაციების დანერგვა საწარმოებში, კორპორატიული კულტურის ამაღლება, მომხმარებლებზე ორიენტირება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება, ვინაიდან ქვეყნის განვითარების მთავარი მიმართულება თანამედროვე ეკონომიკის პირობებში არის შემოქმედებითი ადამიანი - ახლის შექმნის საწყისი, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მთავარი ბერკეტი და ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ძირითადი რესურსი. მასში უნდა ხდებოდეს მუდმივად ინვესტირება, რათა შევძლოთ წარმატების მიღწევა, როგორც ცალკეული ფირმის, ისე ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით. ადამიანური რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება მოგვცემს საშუალებას, საკუთარი ადგილი მოვიპოვოთ გლობალიზებულ სამყაროში.

ეკონომიური წინსვლისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანამ განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა გლობალურ ბაზარზე. ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ხარისხი განისაზღვრება ღია საბაზრო ეკონომიკისა და სამართლიანი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, კონკურენტებთან

შედარებით რესურსების უფრო მაღალმწარმოებლურად გამოყენების, მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის უწყვეტი წარმოებისა და მიწოდების უნარით. ეკონომიკური კონკურენტუნარინობის მაღალი ხარისხი გულისხმობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ისეთ მონაწილეობას, რომლის შედეგად ადგილი აქვს დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდას. ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია ამა თუ იმ მიზეზით განპირობებული სპეციფიკური კონკურენტული უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე. ეს შეიძლება, იყოს გეოგრაფიული მდებარეობა — ამ პრივილეგიას გონივრული გამოყენება ჭირდება. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მქონე ქვეყანას შეუძლია, თავისი ნიშა იპოვოს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში.

ყველაზე სასურველია, როდესაც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია წარმოების ორგანიზაციის მემკვიდრეობით მიღებული პროგრესული ფორმების გამოყენებით, თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობით, სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებითა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის მაღალი ხარისხით, რაც მისი მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებისა და ტექნოლოგიურად რთული და, შესაბამისად, ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. Eეს შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების გარანტიაა.

საქართველომ, განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება სწრაფად ცვალებად გარე გარემოსთან და შეფარდებითი უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სექტორებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება (7).

ადამიანური რესურსი ძალზე მნიშვნელოვანი რესურსია, ამი-

ტომ იგი ინტერესის საგანი იყო ყოველთვის. Aადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი კი არის ცოდნა. მასში იგულისხმება ახალი იდეებისა და ინიციატივების შემუშავება, ახალი პროდუქტის შექმნა, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა და ა.შ. თავის მხრივ კი, ინოვაცია ახალ ბაზრებს აჩენს და ახალი ფირმებისა და სამუშაო ადგილებისთვის სათანადო პირობებს ქმნის. ამასთან იგი არაკონკურენტუნარიან ფირმებს ბაზრიდან განდევნის და არაეფექტიან სამუშაო ადგილებსაც აუქმებს. ამ ყველაფრის "ავტორი" კი არის შემოქმედებითი ადამიანი, რომელიც დაუღალავად იღვწის თავისი საწარმოს განვითარებისა და წარმატებისათვის.

ცოდნის ეკონომიკის შესახებ მსოფლიო საზოგადოებას პირველად ავსტრო-ამერიკელმა მეცნიერმა ფრიც მახლუპმა ჯერ კიდევ 1958 წელს აცნობა. მან თავის ნაშრომში "ცოდნის წარმოება და გავრცელება აშშ-ში" აღნიშნა, რომ ცოდნის ეკონომიკის სექტორმა აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 29 %-იანი წვლილი შეიტანა. ცოდნის ეკონომიკის სექტორში ფრიც მახლუპმა ადამიანის საქმიანობის მრავალი სახეობა გამოყო და ისინი 5 ჯგუფად დაყო. ეს ჯგუფებია:

1. განათლება (44.1 %);
2. მეცნიერული კვლევები და დამუშავებები (8.1 %);
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — რადიო, ტელევიზია, ტელეფონი და ა.შ. (28.1 %);
4. საინფორმაციო ტექნიკა (6.5%);
5. საინფორმაციო მომსახურება (13.2 %).

მახლუპის შეხედულებით, ცოდნის ეკონომიკა არის ისეთი ეკონომიკა, რომელშიც ცოდნა ასრულებს გადამწყვეტ როლს, ხოლო ცოდნის წარმოება განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო.

დღევანდელ რეალობაში წინა პლანზე სწორედ ცოდნის დაგროვებამ გადმოინაცვლა. Პრიორტეტი ენიჭება ინტელექტუალურ კაპიტალს, კრეატიულ ადამიანს, მოწინავე ტექნოლოგიებსა და, ზოგადად - ინოვაციებს. Ცქვეყნის კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო

ეკონომიკაში. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში. ისინი ცდილობენ, განავითარონ ერთი ან რამდენიმე დარგი, ანუ მოიპოვონ საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობა. თუმცა ჩვენი საუკუნე ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს, ვინაიდან 21-ე საუკუნე აღიარებულია ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ. დღეს ეკონომიკაში ფასეულია ხარისხი, ნოუ-ჰაუ, შემოქმედებითი ადამიანი, მოწინავე ტექნოლოგიები, რითაც შესაძლებელია კონკურენტული უპირატესობის მიღწევა. ამიტომაც დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია თანდათან ადგილს უთმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიას. ამ მხრივ კარგი მაგალითია ირლანდია, როგორც მიმზიდველი ქვეყანა ინოვაციური კაპიტალდაბანდებებისთვის, რამაც შედეგად მის განვითარებას შუეწყო ხელი.

მაღალტექნოლოგიური წარმოების კუთხით, საქართველო ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია. ამ ჩიხიდან გამოსასვლელად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ კი - ინვესტიციების მოზიდვა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციის წარმოება, რაც კონკურენტულ ბრძოლაში უდავო წარმატებას მოგვიტანს; ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ. გლობალიზაციის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. არა ერთმა განვითარებადმა ქვეყანამ წარმატებას და ეკონომიკურ ზრდას სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით მიაღწია. ეს საკითხი საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ აუცილებელია, ინვესტიციების ჩადება მოხდეს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანურ კაპიტალში.

გლობალიზაციის პირობებში, როცა კონკურენცია ასე მძაფრია, განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ცოდნას, შემოქმედებითობას და შემოქმედ ადამიანს — ახლის შექმნის საწყისს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. პირველ ადგილზე სწორედ ადამიანური კაპიტალი, უფრო

კონკრეტულად კი, შემოქმედებითი ადამიანი უნდა იდგეს. ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, მას შეუძლია, მოუტანოს სახელმწიფოსა და ბიზნესს უდიდესი წარმატება, თუ მისი ძალისხმევა მიმართული იქნება ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომაც ინვესტიციები ჩვენს საუკუნეში, პირველ რიგში, სწორედ ადამიანში უნდა ჩაიდოს — მის დატრენინგებაში, სწავლასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. შედეგად კი მივიღებთ კონკურენტუნარიან და მაღალი მოგების მქონე ბიზნესს, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს და რეალიზებულ და სრულფასოვან პიროვნებას.

დასკვნა

ამრიგად, შემოქმედებითი ადამიანი არის სწორედ ის მთავარი ბერკეტი, რაც, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ისეთი პატარა ქვეყნის წარმატების მისაღწევად და მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში საკუთარი ნიშის საპოვნელად, როგორიც საქართველოა. ადამიანური რესურსის, ადამიანური კაპიტალის, შემოქმედებითი ადამიანის და, ზოგადად, ადამიანის უნარისა და ცოდნის გამოყენების გარეშე ვერ განვითარდება ეკონომიკა და ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას დღევანდელი მძაფრი კონკურენციის დროს. საჭიროა, დავსახოთ გზები ადამიანური რესურსების განვითარებისა და ეკონომიკაში მისი სწორად გამოყენებისათვის, ასევე - სწორი საინვესტიციო-საინოვაციო პოლიტიკის შესამუშავებლად ადამიანური კაპიტალის სფეროში.

ლიტერატურა:

1. რევაზ შენგელია — „კრეატიული ადამიანი, როგორც თვითმზარდი ღირებულება“, ჟ. „ეკონომიკა“, № 7-8 , 2016;

2. რევაზ შენგელია — “ადამიანისეული კაპიტალი — ინვესტირების განსაკუთრებული სფერო და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი პირობა”, ჟ. „ეკონომიკა“, №11-12, 2016;

3. ჟ. „ეკონომიკა“, №3-4, №5-6, 2016;

4. ჟ. „ეკონომისტი“, № 6, 2013.

REFERENCES:

1. Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia -A Creative Person as Self-increasing His Value. Journal "Economics", #11-12, 2016 y. (in Georgian Language).

2. Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia-Human Capital- the Special Sphere of Investment and the Main Condition for Inrceasing a Country's Competitiveness**.** Journal "Economics", #7-8, 2016 y. (in Georgian Language).

3. Journal "Economics", #5-6, #5-6, 2016 y. (in Georgian Language).

4. Journal "Economist", # 6, 2013.

THE CREATIVE PERSON- THE KEY FACTOR FOR RAISING THE COMPETITIVENESS AND ECONOMICS GROWTH OF A COUNTRY

Vera Dzvelaia
PHD student,
Georgian Technical University

RESUME

Economic growth is important for any country development. The economic growth rate depends on the use of labor and natural resources, as well as the country's economic ability to use these resources to produce competitive goods and services. All this will be reflected in the economic growth of the country as well as the welfare of the population. The main role in this is the creative person. It is a major factor for the growth of the country's competitiveness and economic growth.

Key words: Economic growth, competitiveness, globalization, investments, innovations, creative people, the latest technologies.

ლიდერობა - ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საფუძველი

თამარ დუდაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება სიტუაცია, როდესაც კომპანიები შრომის ბაზარზე ეძებენ არა მხოლოდ პროფესიონალ თანამშრომელს, არამედ ადამიანს, რომელსაც გაჩნია ლიდერის თვისებები. ლიდერების ძირითადი ამოცანაა ადამიანებში ქმედებისადმი მზადყოფნის აღძვრა. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ბაზარზე შეიქმნა ისეთი კონკურენტული სიტუაცია, რომ აღიარებული ლიდერების გარეშე შეუძლებელია გადარჩეს, როგორც კომერციული, ისე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია. თანამედროვე ბიზნესში ლიდერობა შედგება არა მხოლოდ უნარისაგან აიძულონ ადამიანები დაემორჩილონ ვინმეს, არამედ ლიდერმა უნდა მოახდინოს იდეების გენერირება და მისცეს ამის საშუალება სხვებსაც. ორგანიზაციაში უნდა შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც ყველა თანამშრომლისაგან შექმნის ლიდერს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული თანამშრომლების პირადი პოტენციალი და ამით წარმატებით გადაწყდეს კომპანიის კონკურენტუნარიანობის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ლიდერი, ლიდერობა, თანამოაზრეთა გუნდი, კონკურენტუნარიანობა, სოციალური ზემოქმედება, ხარისხის კონტროლი,

შესავალი

ლიდერობის თემა წარმოადგენს საკვანძო საკითხს ადამიანის ცხოვრების მრავალი სფეროსათვის, როგორებიცაა: ბიზნესი, პოლიტიკა, სპორტი, ხელოვნება და სხვა. არის ორგანიზა-

ციები, რომლებშიც ერთი შეხედვით ყველაფერი სწორად არის ორგანიზებული, მაგრამ მაინც რაღაცა არ ხორციელდება ისე, როგორც უდა იყოს. მათში არ არის სული, არ არის მექანიზმი, რომელიც შთაბერავს სიცოცხლეს მკვდარ სისტემას. ისინი არსებობენ რწმენის, სიყვარულისა და ესე იგი იმედის გარეშე. ასეთი ორგანიზაციები განწირულები არან, თუ არ მოინახება ადამიანი, ან თანამოაზრეთა გუნდი, რომლებიც დაადგენენ ამ სისტემის არსს და მიზანს და მაშინ გაჩნდება იმედი. ასეთ ადამიანს ეწოდება ლიდერი, ხოლო კონცეფციას, რომლის ჩარჩოში ასრულებს იგი წამყვან როლს - ლიდერობა. ლიდერობა, ეს არ არის ხელმძღვანელობა, როგორც მას ხშირად წარმოაჩენენ, მართალია ლიდერი შესაძლოა იყოს ხელმძღვანელიც, მაგრამ ყველა ხელმძღვანელი ლიდერი არ არის.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ხარისხის სისტემის მუტაცია TQM-ის (TQM- Total Quality Management-ხარისხის ტოტალური მართვა) საფუძველზე, ვინაიდან დაჩქარებულად ხდება ხარისხის კონცეფციის შერწყმის პროცესი საერთო მენეჯმენტთან. მაგრამ ნათელია, რომ საკვანძო საკითხს ამ შემთხვევაში წარმოადგენს კონკურენტუნარიანობა. რა როლიც არ უნდა ითამაშოს მომავალში ხარისხის კონცეფციამ, ცხადად ჩანს ისიც, რომ იგი უკვე წარმოუდგენელია ლიდერობის გარეშე.

ლიდერობის პრობლემური არსის ანალიზს, დაფუძნებულს მისი ძირითადი თეორიების დიაქრონულ კვლევებზე, გააჩნია დიდი მნიშვნელობა, როგორც მართვის თეორიის, ისე ლიდერის თვისებების ფორმირების თვალსაზრისით. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ეფექტური და დინამიური მართვის საფუძველზე, ასევე იმის გამო, რომ ორგანიზაციის ლიდერები მის მართვას უდგებიან ინოვაციურად, ორგანიზაცია წარმატებით ვითარდება. ამრიგად, მთლიანობაში მართვა და ლიდერობა არ წარმოადგენენ ურთიერთშეცვლად მნიშვნელობებს. ლიდერობა წარმოადგენს მართვის ურთიერთობების განსაკუთრებულ სახეს, რომელიც ეფუძნება ორგანიზაციაში სოციალური ზემოქმედების პროცესს. აღნიშნული ფენომენი, მართვისაგან

განსხვავებით, გულისხმობს ორგანიზაციაში არა ხელქვეითებს, არამედ მიმდევრებს, ე.ი. ურთიერთობა „უფროსი-ხელქვეითი“ იცვლება ურთიერთობით „ლიდერი-მიმდევარი“. ლიდერი ხდება სამაგალითო მიმდევრებისათვის იმის გამო, რომ მას შეუძლია დაინახოს ის, თუ რა იქნება მიღებული ან მიღწეული იმ ძალისხმევის შედეგად, რასაც სწევენ თვითონ და მისი მიმდევრები.[1]

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში ბევრ ორგანიზაციაში ცდილობენ შექმნან მოტივაციურ სისტემაზე დაფუძნებული გუნდი. ორგანიზაციის ხელმძღვანელები იმდენად ჭკვიანურად ქმნიან „სულების“ შესყიდვის სისტემას, რომ სჯერათ სასურველი ეფექტის მიღებისა (მუშაკების კეთილსინდისიერი მუშაობის). ასეთი ორგანიზაციები ჰგავს დაქირავებულ არმიას. ისინი კარგად იბრძვიან სანამ უხდიან, მაგრამ ასეთი მებრძოლები ვერ ჩაიდენენ გმირობას.

თანამედროვე მსოფლიოში ორგანიზაციები, რომლებიც აგებულნი არიან ძლიერი მოტივაციის სისტემაზე არიან საკმაოდ წარმატებულნი. არის ლიდერები, რომლებიც ისე წარმატებით ქმნიან ასეთ სისტემებს, რომ მათ შეგვიძლია ვუწოდოთ ბიზნეს-შედევრები.[2]

არავინ იცის, საიდან მოდიან ლიდერები. მაგრამ, როდესაც ორგანიზაციას გაუჩნდება ლიდერი (ინდივიდუალური ან ჯგუფური) შეუიარაღებელი თვალითაც კი კარგად ჩანს, რომ მისი საქმეები თანდათან უმჯობესდება. ამჟამად აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ლიდერობა არის ბიზნესის საკვანძო ელემენტი.

დოქტორი დემინგი წერდა, რომ ხარისხის კონტროლი - ეს არის მისი უზრუნველყოფის მხოლოდ 2% [3]. მაგრამ რა არის სხვა დანარჩენი? რამდენად ეფექტურად იმუშავებს სისტემა, თუ ჩაირთვება ყველა ელემენტი ლიდერობის გარდა? ლიდერობის არ არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სისტემა დაინგრევა. მიუხედავად ამისა ლიდერობა არის ხარისხის სისტემის მუშაობის გამშვები მექანიზმი და მის გარეშე ეს სისტემა უფრო

ფიქციაა, ვიდრე რეალობა. „ლიდერობა საჭიროა სისტემის ყველა კომპონენტისათვის“ -აღნიშნავდა ედუარდ დემინგი ნივას წიგნის წინასიტყვაობაში [3]. პირველ რიგში მნიშვნელოვანია უმაღლესი ხელმძღვანელობის ლიდერის როლი, რომლის გარეშეც კონსტრუქციული გარდაქმნების გატარება გაძნელებულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ნათელია, რომ ლიდერობა არის ორგანიზაციაში ინოვაციური პროცესისა და ხარისხის კულტურის მხარდაჭერის საკვანძო ელემენტი.[4]

ის, რომ მენეჯერს, რომელიც მართავს სხვა ადამიანების ქცევას, უნდა გააჩნდეს ლიდერის თვისებები, არავისში არ იწვევს ეჭვს. ბიზნესის მართვის ყველა წამყვან მოდელში იგრძნობა ლიდერის წამყვანი როლი [5]. 2000 წელს ბუდაპეშტში გამართულ კონფერენციაზე პროფესორმა კენდომ აღნიშნა, რომ: „ლიდერობის მნიშვნელობის უგულვებელყოფა შეუძლებელია უმაღლესი და საშუალო რგოლების მენეჯერების მიერ“[6]. ასევე ამერიკელმა მეცნიერმა პიტერ სენგემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ორგანიზაციას უნდა ყავდეს სამი ტიპის ლიდერი: ლიდერი-კომპანიის ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი; ლიდერი მენეჯერები, რომლებიც ატარებენ კომპანიის პოლიტიკას ადგილებზე და ლიდერი აქტივისტები, რომლებიც არიან კომპანიის რიგითი თანამშრომლები, ისინი უძღვებიან საქმიანობას, როცა მენეჯერები არ არიან ადგილზე [7].

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია ლიდერობის შეცვლა კონტროლის დახვეწილი, მკაცრი სისტემით, სადაც გამოყენებული იქნება დასჯისა და წახალისების მეთოდები. ე.ი. არ არის ლიდერი და მკაცრია კონტროლი (გაკონტროლება უნდა ხორციელდებოდეს უფრო ხშირად), ამ შემთხვევაში დიდი დრო იხარჯება ამოცანების დაყენებაზე, გაუარესებულია კლიმატი კოლექტივში, ხდება როგორც ადამიანური, ასევე დროითი დანაკარგების ზრდა. საჭიროა თანხების მოძიება დამატებითი კონტროლიორების დასაქირავებლად, იზრდება კადრების დენადობა, უარესდება კლიმატი კოლექტივში და შედეგად უარესდება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა. ყოველივე ეს აუარესებს წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხს. წა-

რმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი იწვევს ხელსაყრელი კონტრაქტების დაკარგვას და პროდუქციის იძულებით შედარებით დაბალ ფასში რეალიზაციას. ამასთან, სახსრების მოჩვენებითი ეკონომიის მაგიერ, რომელიც უნდა მოეცა კონტროლის გამკაცრებას, ვიღებთ დანახარჯების ზრდას. ამრიგად, გამოდის, რომ ლიდერობა - არის კონტროლზე საჭირო სახსრებისა და დროის ეკონომია და იმის რწმენა, რომ ყველაფერი კეთდება უფრო უკეთესად ვიდრე ყველაზე მკაცრი კონტროლი.

ეს მაგალითი არის ძალიან ნათელი. ხშირად გვხდება შემთხვევა, როდესაც ერთი ადამიანი გუნდში, აღარ ვლაპარაკობთ ხელმძღვანელთა გუნდზე, არ იზიარებს საერთო მიზნებს, მაშინ იგი უნებლიეთ ხდება პროცესების დამამუხრუჭებელი. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ელემენტის შეცვლა (ისეთის როგორიცაა ლიდერობა), მისი იგნორირება ან ნაწილობრივი რეალიზაცია იწვევს ფინანსურ დანაკარგებს. მათი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, უფრო ძნელია განისაზღვროს მათი გამომწვევი მიზეზები, მაგრამ მათი თავიდან აცილებაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ორგანიზაციის მართვა არ არის დაფუძნებული ლიდერობაზე, ლაპარაკიც კი ზედმეტია ხარისხზე ე.ი, კონკურენტუნარიანობაზე.

იმის მიუხედად, რომ ლიდერობა მოქმედებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე, მათ ეფექტიანობაზე და წარმოადგენს კარგ ორგანიზაციასა და კონკურენტუნარიანობას გლობალურ მასშტაბში, ლიდერობის შესაძლებლობები მენეჯმენტში არასოდეს არ გამოიყენება სრულად. მხოლოდ ცალკეულმა კომპანიებმა, კერძოდ რამდენიმე იაპონურმა კომპანიამ, დაიწყო მიახლოება მაქსიმალურ შედეგთან. ლიდერობის როლის და მისი დიდი შესაძლებლობების დემონსტრირების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კომპანია „Xcerox". მისი პროგრამა „ლიდერობა ხარისხისათვის" გახდა შესწავლისა და მიბაძვის მაგალითი. საჭიროა, რომ კომპანიების ხელმძღვანელობამ რაც შეიძლება მალე მოახდინოს ლიდერობის როლის გააზრება და გაანალიზება. [8]

ცხრილი 1
გლობალური რეიტინგი „საუკეთესო კომპანიები ლიდერებისათვის“ პირველი ათეული (2016 წ.)[9]

1.	Proctor & Gamble
2.	Microsoft
3.	General Electric
4.	Coca-Cola
5.	Unilever
6.	IBM
7.	Wal-Mart
8.	McDonald's
9.	Telefonica
10.	Facebook

საერთაშორისო კონსალტინგური კომპანია Hay Group-ის მონაცემებით ორგანიზაციები, რომლებიც შევიდნენ ევროპულ რეიტინგში „საუკეთესო კომპანიები ლიდერებისათვის“ (Best Companies for Leadership), ბაზრის სხვა მოთამაშეებისაგან განსხვავდებიან პირველ რიგში ეფექტიანი ლიდერებით, რომლებიც მხარში უდგანან თანამშრომლებს და შთააგონებენ მათ იმუშაონ მაღალი უკუგებით. ამ კვლევების თანახმად კომპანიებში, სადაც ლიდერობა წამყვან პოზიციებს იკავებს, ლიდერების დახმარებით, წარმატებით ვითარდებიან ტალანტები და ინერგება ინოვაციები. ყოველწლიურად ამ კვლევებში მსოფლიოს მასშტაბით მონაწილეობას იღებს 2200-მდე მსხვილი ორგანიზაცია.[9]

კომპანია Hay Group-ის კვლევების თანახმად გლობალური რეიტინგი „საუკეთესო კომპანიები ლიდერებისათვის“ პირველი ათეული მოცემულია პირველ ცხრილში.

დასკვნა

მსოფლიო ბაზრის ეკონომიკური პერსპექტივების განუსაზღვრელობით იხსნება ორგანიზაციების დიდ მოთხოვნილება ლიდერებზე, რომელთაც უნარი შესწევთ შთააგონონ და სტიმული მისცენ თანამშრომლებს უკეთ და მოტივირებულად იმუშაონ. ყველა კომპანიამ თავის პრიორიტეტებში უნდა ჩართოს თანამშრომელებში ლიდერული თვისებების განვითარება, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბიზნესის წინსვლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Фонарев А.В. Воспитание лидерства: от основных теорий к практике. Альманах современной науки и образования, № 3 (70) 2013. Ст. 198-201.

2. Лысов С.А. Как создается команда? Деловой мир. **https://delovoymir.biz/2016/08/03/kak-sozdaetsya-komanda.html**

3. Henry r. Neave The Deming Dimension.1st Paperback Edition Edition. 1990.

4. Juran, J.M. Strategies for world class quality //Quality Progress. — 1991. Pp. 81. **http://www.pqm-online.com/assets/files/lib/books/juran.pdf**

5. Juran J. M. Juran on leadership for quality. An executive handbook. — New York, N.Y.: Free Press. 1989. ttps://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=_30uNnb6dQIC&oi=fnd&pg=PP7&dq=Juran+J.+M.+Juran+on+leadership+for+quality.+An+executive+handbook.+—+New+York,+N.Y.:+Free+Press.+1989.&ots=PudmE3n0w&sig=CLSfdZMPCmHaT8fhm13kJCBLgLg&redir_esc=y#v=onepage&q=Juran%20J.%20M.%20Juran%20on%20leadership%20for%20quality.%20An%20executive%20handbook.%20%E2%80%94%20New%20York%2C%20N.Y.%3A%20Free%20Press.%201989.&f=false

6. Kondo Yoshio. Participation and Leadership. — Proceedings 44th EOQ Congress, Vol. 2. — Budapest, 2000. — p. 110-117.

7. Сенге П. «Как научиться изменяться». Интервью с Аланом Вебером, // Искусство управления, март, 2000. — С. 6-20.

8.. Kearns D. T., Nadler D. A. Prophets in the Dark: How Xerox Reinvented Itself and Beat Back the Japanese // HarperCollins, 1993. Pp. 352

9. Dan Weinfurter and J.P. Donlon. 2016 Best Companies for Leaders. http://chiefexecutive.net/2016-best-companies-for-leaders/

REFERENCES

1. Fanarev A.B. Leadership education: from basic theories to practice. Almanac of modern science and education, № 3 (70) 2013. Pp. 198-201. (In Russian Language).

2. Lisov C.A. How to create a team? Practical online magazine for business. **https://delovoymir.biz/2016/08/03/kak-sozdaetsya-komanda.html** (In Russian Language).

3. Henry r. Neave The Deming Dimension.1st Paperback Edition Edition. 1990.

4. Juran, J.M. Strategies for world class quality //Quality Progress. — 1991. Pp. 81. **http://www.pqm-online.com/assets/files/lib/books/juran.pdf**

5 Juran J. M. Juran on leadership for quality. An executive handbook. — New York, N.Y.: Free Press. 1989. ttps://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=_30uNnb6dQIC&oi=fnd&pg=PP7&dq=Juran+J.+M.+Juran+on+leadership+for+quality.+An+executive+handbook.+—+New+York,+N.Y.:+Free+Press.+1989.&ots=P-udmE3n0w&sig=CLSfdZMPCmHaT8fhm13kJCBLgLg&redir_esc=y#v=onepage&q=Juran%20J.%20M.%20Juran%20on%20leadership%20for%20quality.%20An%20executive%20handbook.%20%E2%80%94%20New%20York%2C%20N.Y.%3A%20Free%20Press.%201989.&f=false

6. Kondo Yoshio. Participation and Leadership. — Proceedings 44th EOQ Congress, Vol. 2. — Budapest, 2000. — p. 110-117.

7. Senge P. “How to learn to change.” Interview with Alan Weber, // The Art of Management, March, 2000. - P. 6-20. (In Russian Language).

8. Kearns D. T., Nadler D. A. Prophets in the Dark: How Xerox Reinvented Itself and Beat Back the Japanese // HarperCollins, 1993. Pp. 352

9. Dan Weinfurter and J.P. Donlon. 2016 Best Companies for Leaders. http://chiefexecutive.net/2016-best-companies-for-leaders/

LEADERSHIP - THE BASIS FOR PROVIDING OF ORGANIZATION COMPETITIVENESS

Tamar Dudauri-Academic Doctor of Economics, Associate Professor of Caucasus International University

RESUME

The article says that more recently, we have to deal with the situation when companies are looking at the market not just at a professional employee, but also a person with strong leadership qualities. The main task of the leaders, in our opinion, is to "light" people - to evoke in them a readiness for action. Today in the world market such competitive situation was created, that without the recognized leaders it is impossible to survive neither commercial, nor any other organization. Business people, in whatever corner of the world they conduct business, they need a leader of thought, a leader of intuition, a leader of the heart. In today's business, leadership is not so much the ability to make everyone submit to something, but rather the ability to generate ideas and let others do it. It is necessary to create conditions for making each employee a leader. In this case, you can more effectively use the personal potential of employees, put creativity on the flow and thereby successfully solve the problem of the firm's competitiveness.

Key Words: Leader, leadership, team of companions, competitiveness, social impact, quality control.

კრიპტოვალუტა: უნიკალურობა, უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

ნინო სამჭკუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ახალი სახის უნიკალური ელექტრონული ფულის კრიპტოვალუტის თეორიული გააზრების პრობლემები. აღწერილია კრიპტოვალუტის ფუნქციონირების თავისებურებების სისტემატიზაციის გამოცდილება და მათი გავლენა რეგიონების ეკონომიკური სისტემების განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესზე. სტატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა დათმობილი აქვს კრიპტოვალუტის გავრცელებისა და ბრუნვის დინამიკას. ამასთან ყურადღება გამახვილებულია ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობებს მომხმარებლებს შორის, ამიტომ აუცილებელია კრიპტოვალუტების არა მხოლოდ დეტალური შესწავლა, არამედ ინსტიტუციონალური ნორმების შემუშავება. ნაჩვენებია მისი, როგორც უარყოფითი ასევე დადებითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, დაცვის კრიფტოგრაფიული მეთოდები, ჩრდილოვანი ეკონომიკა, გადახდები, ვირტუალური ფული.

შესავალი

ნებისმიერი მონეტარული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს საგადამხდელო საშუალება. საგადამხდელო საშუალებების ისტორიული წარმოშობა და განვითარება გვიჩვენებს, რომ

ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ მიიღება საქონელგაცვლითი ურთიერთობების დამრეგულირებელ საშუალებად, ხვდება ფულის განსაზღვრებაში. ფული წარმოადგენს სოციალურ ინსტრუმენტს განსაზღვრულს საზოგადოების ევოლუციით. აქედან გამომდინარე ფულადი სახსრების ფორმა ვითარდება და ადაპტირდება შესაბამისი დროითი პერიოდის წინაპირობების მიხედვით.

თანამედროვეობის ერთ-ერთ წინააღმდეგობრივ ნოვაციას წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური ფენომენის გამოჩენა, როგორიცაა ვირტუალური ფული - კრიპტოვალუტა, მათი 600-მდე ნაირსახეობა არსებობს, მაგალითად: Bitcoin, Lifecoin, Namecoin, QuarN, WebMoney, Ripple და სხვა, რომლთა მთლიანმა კაპიტალიზაციამ 2017 წლის 31 აგვისტოსათვის შეადგინა 168 მილიარდ დოლარზე მეტი [1]. დღესდღეობით მსოფლიოში კრიპტოვალუტის არსის ერთიანი გაგება არ არის. კრიპტოვალუტას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც ციფრული ვალუტის სახეობას, რომლის ანგარიში და ემისია ეფუძნება ასიმეტრიული დაშიფვრის მეთოდს და დაცვის კრიფტოგრაფიული მეთოდების გამოყენებას, ისეთების როგორებიცაა Proof-of-worN და Proof-of-staNe. [2]

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა არა მხოლოდ ბიზნესის წარმოების მრავალი შესაძლებლობა, არამედ გარიგებების წარმოებისათვის კომფორტული პირობები. ასე შეიქმნა ელექტრონული ფული, მომხმარებლებმა შეიძინეს ელექტრონული საფულეები, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ხარჯავდნენ არა ვირტუალურ თანხას, არამედ რეალურს მათ მიერ გამომუშავებულს და ამ ელექტრონულ საფულეებში შენახულს. კრიფტოვალუტა წარმოადგენს ციფრული ვალუტის სახეს და იმის მიუხედავად, რომ იგი გამოჩნდა მხოლოდ 2008 წელს, მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1992 წელს არაფორმალურ პირთა ჯგუფის მიერ, რომლთა ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა კრიპტოგრაფია და ანგარიშგების ანონიმურობის შენარჩუნება. პირველად 1993 წელს ამერიკელმა პროგრამისტმა ერიხ ჰიუზმა განაცხადა გა-

დახდების განხორციელების კონფიდენციალურობის შესაძ-ლებლობის შესახებ, განსაკუთრებული სისტემის მრავალ ეტა-პიანი დაშიფვრის გამოყენებით. 2008 წლის ბოლოს სატოში ნიკამოტომ აღწერა და გამოაქვეყნა კრიპტოვალუტის ბიტკოი-ნის მუშაობის საერთო პრინციპები, ხოლო 2009 წლის 3 იანვა-რს მან გაუშვა სისტემის კოდი, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა ბლოკების ჯაჭვმა, ამ სისტემასთან მუშაობენ თანამედროვე მაინერები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ემიტირებული ვალუტის მხარდაჭერაზე. [3]

თვით კრიპტოვალუტის არსებობის ფაქტი იწვევს ცხარე პო-ლემიკას ეკონომისტებს შორის, ასევე ამ საკითხზე ცხარე კა-მათი მიმდინარეობს სპეციალური გამოცემების გვერდებზეც. ამის მიუხედავად ეკონომისტებისა და ტრეიდერების მნიშვნე-ლოვანი ნაწილის აზრით ბიტკოინი ახლო მომავალში გახდება ყველაზე საიმედო ვალუტა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონული კომერცია და ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ყო-ველწლიურად ფართოვდება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ფინანსური და სავაჭრო ურთიერთობები, სთავაზობენ რა მყიდველებს მომსახურების სულ უფრო ფართე სპექტრს. მაგრამ, ბოლო დრომდე, ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო იყო ბანკის ჩართულობა, რადგა-ნაც იგი წარმოადგენდა პატიოსანი გარიგების გარანტს ორივე მხრიდან, რამაც მსოფლიო ეკონომიკა მიიყვანა ისეთი ფენომე-ნის პოპულარიზაციასთან, როგორიცაა კრიპტოვალუტა. ვინაი-დან კრიპტოვალუტის ბაზარმა დაიწყო ფორმირება ბიტკოინით (Bitcoin), გავაანალიზოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მასზე, ასევე მოვიყვანთ მისი განვითარების უპი-რატესობებს, უარყოფით მხარეებს და რისკებს.

ბიტკოინი მუშაობს პირინგულ სისტემაში და აქვს დეცენტრა-ლიზებული სახე, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ გააჩნია ერთი მესაკუთრე. ყოველივე ეს ანიჭებს მას აბსოლუტური უნიკა-

ლური საგადასახადო სისტემის ტიტულს ინტერნეტის ქსელში. აქედან გამომდინარე დიდი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი ამ სისტემის გაკონტროლება შეუძლებელია. ბიტკოინის ემისიასა და კონტროლს არავინ ახორციელებს. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ყველა ინტერნეტ რესურსი, თვითონ არეგულირებს თავის თავს, ე.ი. მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია მომხმარებლებზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომხმარებლებთან ზიან სისტემური ადმინისტრატორები. არიან პროგრამისტები, რომლებიც აუმჯობესებენ პროგრამულ უზრუნველყოფას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ პროტოკოლი. პროტოკოლი წარმოადგენს ბიტკოინის სისტემის საერთო წესების ნაერთს. თვით პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა შესაძლებელია მხოლოდ ამ პროტოკოლის ჩარჩოებში. ბიტკოინის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სრული თანხმობა ყველა მომხმარებელს შორის. [4]

ბიტკოინების შექმნა ხდება მაშინ, როცა მომხმარებელი ნახულობს ახალ ბლოკს. ბლოკების შექმნის სიხშირე არის მუდმივი: ექვსი ცალი საათში. გამოშვებული ბიტკოინების რაოდენობა ბლოკში მცირდება გეომეტრიული პროგრესიით. ბლოკის შექმნის პირველსაწყისი ემისია შეადგენდა 50 ბიტკოინს. 2012 წლის 28 ნოემბერს განხორციელდა ემისიური გასამრჯელოს პირველი შემცირება 50-დან 25 ბიტკოინამდე. 2016 წლის 9 ივლის მოხდა ემისიური გასამრჯელოს მეორე შემცირება 12,5 ბიტკოინამდე. 2031 წლისათვის ემისიის ზომა ბლოკის შექმნისას იქნება ერთ ბიტკოინზე ნაკლები და გააგრძელებს შემცირებას ნულისაკენ. როგორც ვარაუდობენ ემისია შეჩერდება 2140 წელს, ამ დროისათვის გამოშვებული ბიტკოინების რაოდენობა მიაღწევს მაქსიმუმს 21 მილიონს, ვინაიდან ბიტკოინების ემისიის საერთო მოცულობა წარმოადგენს კლებადი გეომეტრიული პროგრესიის წევრთა ჯამს. [5] აქედან გამომდინარე ბრუნვაში არსებული ბიტკოინების რაოდენობის ყოველწლიური ნამატიც მცირდება (იხ. ცხრილი 1). [4]

ცხრილი 1.
ბრუნვაში არსებული ბიტკოინების რაოდენობა. 2010-2019 წლებში*

თარიღი	რაოდენობა (მილიონი)	ნამატი %-ში
იანვარი 2010	2,63	-
იანვარი 2011	5,25	+100,0
იანვარი 2012	7,88	+50,0
იანვარი 2013	10,50	+33,3
იანვარი 2014	11,81	+12,5
იანვარი 2015	13,13	+11,1
იანვარი 2016	14,44	+10,0
იანვარი 2017	15,75	+9,1
იანვარი 2018	16,41	+4,2
იანვარი 2019	17,06	+4,0

***2018-2019 წლის მონაცემები**
წარმოადგენს საპროგნოზო მაჩვენებელს

იმის მიუხედავად, რომ ბიტკოინის ღირებულება არ არის მიბმული არც ერთი ქვეყნის არსებულ ვალუტასთან, ან რაიმე აქტივთან, არსებობს მათი გადაცვლის შესაძლებლობა რეალურ ვალუტაზე.

შეგვიძლია გამოვყოთ ბიტკოინის გამოყენების რიგი უპირატესობები:

- ანონიმურობა. ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შექმნას ელექტრონული საფულე და მისი საშუალებით მიიღოს და გასცეს ბიტკოინები. ყველა ტრანზაქცია არის საჯარო, მაგრამ სახსრების გამგზავნის და მიმღების ვინაობა არის ანონიმური. ბიტკოინების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის თვალყურის მიდევნება შეუძლებელია. ამ ფაქტის გამო ბიტკოინი და სხვა კრიპტოვალუტები წარმოადგენენ გავრცელებულ გადახდის საშუალებას.
- აქტივების ამოღებისა და გაყინვის შეუძლებლობა.

- საიმედოობა. შეუძლებელია ასეთი სახის „ვალუტის“ გაყალბება. პროტოკოლი შემუშავებულია იმდაგვარად, რომ ბიტკოინი მდგრადია ონლაინ შეტევების მიმართ.
- ტრანზაქციების განხორციელების სიმარტივე.
- დაბალი საკომისიო და გადასახადების არ არსებობა.
- ტრანზაქციების განხორციელების სისწრაფე. ბიტკოინებით ტრანზაქციების განხორციელება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სადაც არის ინტერნეტი.
- ბიტკოინების რაოდენობის ფიზიკური შეზღუდვის არსებობა (შეუძლებელია იმაზე მეტი ბიტკოინის გენერირება, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ალგორითმით).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობასთან ერთად უნდა აღინიშნოს ასევე ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნია ბიტკოინს:

- ბიტკოინ-ანგარიშის დაკარგული პაროლის აღდგენის შეუძლებლობა, ვინაიდან პაროლის აღდგენის პროცედურა არ არის გათვალისწინებული.
- ბიტკოინების დაბრუნების ან ტრანზაქციის გაუქმების შეუძლებლობა.
- თაღლითური ოპერაციების შესაძლებლობა.
- ახალი ბიტკოინების გენერაციისათვის დიდი რესურსების მოთხოვნილება.
- ბიტკოინების მოპარვის ფაქტის დამტკიცების შეუძლებლობა.
- საკანონმდებლო შეზღუდვების არსებობა მრავალ ქვეყანაში.
- ინტერნეტ მაღაზიებში ბიტკოინების გამოყენების შემთხვევაში საგადასახადო გაანგარიშებებთან დაკავშირებული პრობლემები.

არის მრავალი შეტყობინება ბიტკოინების მოპარვისათვის სისტემის შეცდომებისა და სუსტი ადგილების გამოყენების შესახებ. საყოველთაოდ ცნობილი OC Android-ის ქსელში შემთხვევითი რიცხვების გენერატორის პრობლემამ საშუალება წარმოშვა შერჩეულ ყოფილიყო ელექტრონული გასაღები, მათ

შორის ბიტკოინის სისტემისათვისაც. 2011 წელს გამოვლენილ იქნა შეცდომა დაუმოწმებელი ტრანზაქციების დამუშავებაში ზოგიერთი გაცვლითი სერვისის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში, რომელმაც საშუალება მისცა განხორციელებულიყო სახსრების ჩარიცხვა ბიტკოინების გადაცემის გარეშე [7]. ამ პრობლემის იგნორირებამ გამოიწვია ციფრული ვალუტების ბირჟის Mt.Gox-ის გაკოტრება [8]. ასევე დაფიქსირებულია სხვა ციფრული ვალუტების გაცვლითი სერვერების გატეხვის შემთხვევები [9]. მაგალითად, 2013 წლის ბოლოს მაღაზია Sheep Marketplace-ის სატრანზიტო ანგარიშიდან მოიპარეს 96000 ბიტკოინი, რომლებიც ეკუთვნოდათ მომხმარებლებს. [10]

ვინაიდან ბიტკოინებით განხორციელებულ ოპერაციებს აქვს შეუქცევადი ხასიათი, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მყიდველისათვის ფულადი სახსრების დაბრუნების მექანიზმი იმ შემთხვევაში, როდესაც მან ვერ მიიღო ან მიიღო უხარისხო საქონელი. ბიტკოინის შემქმნელები სთავაზობენ მყიდველებს მიუთითონ სპეციალური მისამართი სადაც შესაძლებელი იქნება გადახდილი თანხის დაბრუნება, ვინაიდან გამყიდველს არ გააჩნია ინფორმაცია თუ რომელი მისამართიდან გადმორიცხა მყიდველმა თანხა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველი ვერ გამოიყენებს ბიტკოინებს თანხის დასაბრუნებლად, ვინაიდან თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს ჩვეულებრივი ვალუტით, მაგალითად დოლარებში.

დასკვნა

ნებისმიერ კრიპროვალუტას და მათ შორის მის ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას ბიტკოინს, როგორც ინტერნეტის „ღრმა ქსელის“ პირმშოს გააჩნია საინტერესო თვისებები და უპირატესობები რეალურ ფულთან მიმართებაში.

ამრიგად, დაახლოებით ცხრა წლის უკან გამოჩენილმა, კრიპროვალუტებმა მიიღეს ფართო გავრცელება და უკვე ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მსოფლიო ბაზარზე. ნათელი ხდება, რომ კრიპტოვალიუტის მიმართ სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაზე ბევრად იქნება დამოკიდებული მისი მდგომარე-

ობა და კონკურენტუნარიანობა საფინანსო ბაზარზე, იმ პირობით, რომ ვირტუალური ვალუტები შეინარჩუნებენ თავისი განვითარების ტემპებს. ამიტომ მსოფლიოს ქვეყნები და მათ შორის საქართველო, უნდა მივიდეს კრიპტოვალუტის სამართლებრივი სტატუსის ერთიან განსაზღვრამდე და შეიმუშაოს მისი რეგულირების ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს კრიპტოვალუტების შემდგომ განვითარებას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES

1. CryptoCurrency Market Capitalizations. https://coinmarketcap.com/currencies/views/all/
2. Cryptocurrency. Wikipedia. The Free Encyclopedia. https://en.wikipedia.org/wiki/Cryptocurrency
3. Крайнев А. Казнить нельзя помиловать. Финансовая газета. 04.06.2016. (http://fingazeta.ru/technology/kaznit-nelzya-pomilovat-201462/
4. Русскоязычный информационный сайт о криптовалюте Bitcoin. – URL: http://btcsec.com/
5. Satoshi Nakamoto. Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System. — 2008. — 9 Pp. https://bitcoin.org/bitcoin.pdf
6. Старая уязвимость в Android «бьет» по кошелькам Bitcoin. http://www.securitylab.ru/news/443298.php
7. Pagliery J. Bitcoin is under attack. http://money.cnn.com/2014/02/12/technology/security/bitcoin-attack/
8. Bitcoin становится ещё более неприступной. https://bits.media/bitcoin-security-history/
9. Взломаны сервера на Linode, украдено около 50K BTC ($250K). https://habrahabr.ru/post/139314/
10. Edwards J. A Thief Is Attempting To Hide $100 Million In Stolen Bitcoins — And You Can Watch It Live Right Now. http://www.businessinsider.com/a-thief-is-attempting-to-hide-100-million-in-stolen-bitcoins-and-you-can-watch-it-live-right-now-2013-12

CRYPTOCURRENCY: UNIQUENESS, ADVANTAGES AND DISADVANTAGES

Nino Samchkuashvili.
Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian National University

RESUME

The article discusses the problems of the theoretical understanding of the new type of electronic money criteria. The experience of systematization of peculiarity functionalities and their impact on the development and realization of economic systems development strategy of regions are described. The article is of particular importance to the dynamics of the distribution and rotation of cryptocurrency. It emphasizes the lack of a normative-legal basis that regulates relations between the users, so it is necessary to not only diagnose cryptographs but also to develop the institutional norms. There are shown as the disadvantages as well as the advantages.

Key words: Cryptocurrency, bitcoin, cryptographic protection methods, shadow economy, payments, virtual money.

მობილური ტელეფონების ბაზრის კვლევა ქ. ქუთაისში

ირაკლი კინწურაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

რეზიუმე

საქართველოში, კერძოდ კი ქ. ქუთაისში მობილური ტელეფონების ბაზარს, მის დღევანდელ მდგომარეობას, განვითარებას და ამ სფეროში არსებულ პრობლემების კვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კვლევის მიზანია ქ. ქუთაისში მობილური ტელეფონების ბიზნესში არსებული მდგომარეობის, მასში ჩართული ფირმებისა თუ სავაჭრო ცენტრებში გამოყენებული მარკეტინგული სტრატეგიების გამოკვლევა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოჩენილი სიძნელეების დაძლევის გზების ძიება.

ამ სფეროში მოქმედმა ბიზნეს-სუბიექტებმა საჭიროა განახორციელონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ფართო მასების თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიების მქონე მობილური ტელეფონებით მომარაგების საქმეს. ბუნებრივია, მომხმარებლები რომლებიც შეიძენენ რომელიმე ბიზნეს-სუბიექტისაგან ხარისხიან საქონელს მათთვის მისაღები პირობებით, მომავალში განხორციელებენ განმეორებით შესყიდვას და თანდათან ხდებიან მოცემული ფირმის მუდმივი კლიენტები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ მართვის თანამედროვე სისტემაზე, რამაც საშუალება მისცა აღნიშნულ ბიზნეს-სუბიექტებს გამხდარიყვნენ წარმატებული, საუბარია განვადებების, საგარანტიო პირობების, ონლაინ შესყიდვების და სხვა

მომხმარებელთათვის საურველ შეთავაზებაზე. გამოკვეთილია სეგმენტთა მოთხოვნები, მათი სურვილები შეიძინონ საქონელი კიდევ უფრო შეღავათიანი ფასებით, თუმცა აღნიშნულია სეგმენტი, რომელიც მზად არის ცნობილი ბრენდების საქონელი უყოყმანოდ შეიძინონ ფირმის მიერ შეთავაზებულ ფასებში.

შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება საშუალებას მისცემს აღნიშნულ ბიზნეს-სუბიექტებს კიდევ უფრო გაზარდონ გაყიდვების მოცულობა და გამოყონ კიდევ ახალი საბაზრო სეგმენტები, რომელიც გააფართოვებს მობილური ტელეფონებით დაინტერესებულთა ბაზარს.

საკვანძო სიტყვები: ტექნიკა, პროდუქტი, ეკონომია, კომპანია, სერვისი, სეგმენტი, მეგატექნიკა, კომპეტენცია.

ძირითადი ტექსტი

მობილური ტელეფონი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღეისათვის მთელ მსოფლიოში მობილური ტელეფონი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა საქმიანი ადამიანებისთვის, თუმცა მისი დახმარებით გართობაც ადვილი შესაძლებელია.

ზოგადად მობილური ტელეფონი არ წარმოადგენს პირველადი მოხმარების საქონელს, თუმცა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, ფირმების წინაშე მრავალ ახალ ამოცანას აყენებენ, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია ბაზარზე თავის დამკვიდრება, რაც მიიღწევა სწრაფი კომუნიკაციით, სწრაფი ინტერნეტ ქსელის გამოყენებით, რაც შესაძლებელია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დამუშავების მობილური ტელეფონის საშუალებით.

მობილური ტელეფონების ბაზრის კვლევის მიზანი იყო ქართულ ბაზარზე პოპულარული და მეტად მოთხოვნადი მობილურის ბრენდების გამორკვევა. შევისწავლეთ ქართულ ბაზარზე (კერძოდ ქ. ქუთაისში) არსებული მობილური ტელეფონების მაღაზიები, მათ მიერ შემოთავაზებული სერვისები და დამატებითი მომხსახურებები. როგორია კონკურენცია მობი-

ლურების ბაზარზე და როგორ ცდილობენ მაღაზიები კონკურენტულ გარემოში სხვებთან შედარებით უპირატესობების მოპოვებას. ასევე გამოვარკვიეთ მომხმარებლების დამოკიდებულება მობილური ტელეფონების მიმართ, თუ რა ფაქტორებს ანიჭებენ ისინი უპირატესობას მობილურის შეძენისას, სად ურჩევნიათ შეძენა და სხვა.

მობილური ტელეფონების ბაზრის კვლევის ლოკაციაა იმერეთის რეგიონი და ხაზგასმით ქ. ქუთაისი. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ 25 მობილური ტელეფონის მაღაზია და 100 მობილური ტელეფონის მომხმარებელი. გამოკითხული მაღაზიების უმრავლესობა 5 წელზე მეტია, რაც ბაზარზე ფუნქციონირებს. თუმცა ამასთან აღსანიშნავის ის ფაქტიც, რომ მრავლადაა ახლად გახსნილი მაღაზიები და სხვა სავაჭრო ობიექტები, სადაც შესაძლებელია თანამედროვე მობილური ტელეფონების შეძენა, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მობილურ ტელეფონებზე მოთხოვნა კვლავაც იზრდება.

კვლევის პროცესში გამოირკვა, რომ ბაზარზე არსებობს არა მარტო უბრალოდ სხვადასხვა ბრენდის მობილურების მაღაზიები, არამედ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ერთი ბრენდის მობილურებით ვაჭრობენ, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ამა თუ იმ მობილური ტელეფონების მწარმოებელ ქვეყნებთან, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ პროდუქცია ხარისხიანია.

დღესდღეისობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებულ ბაზარზე თითქმის ყველა ფირმის მობილური ტელეფონებია წარმოდგენილი. თუმცა არსებობს ისეთი მობილური ტელეფონები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ფასით, ამიტომაც მათი მოწოდება შეზღუდულია. მობილური ტელეფონების მაღაზიების კვლევისას გამოიკვეთა ძირითადი ბრენდები, რომლებიც მაღაზიების უმეტესობაში შეგხვდებათ. ესენია: Nokia, Sony Ericsson, Samsung, Motorola, LG, Apple, Siemens, Panasonic. თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო გავრცელებული ბრენდები, რომელთა მობილურებიც ძირითადად მოგხვდებათ თვალში მაღაზიებში შესვლისას Nokia, Sony Ericsson, Samsung, Lenovo, Huawei და Motorola.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა მობილური ტელეფონების კონკრეტული ბრენდები, რომლებიც მომხმარებლებს აინტერესებთ და მეტ ყურადღებას იჩენენ მათ მიმართ. ამიტომ კვლევის პროცესში ყურადღება გავამახვილე ოთხ ბრენდზე - **Lenovo-ს, Huawei-ს, Nokia-ს** და **Samsung -ის** მიმართ და ერთმანეთისაგან გამოვყავი როგორც მოთხოვნადი ბრენდი და შედარებით პოპულარული ბრენდის სახით.

მოთხოვნადი ბრენდი

Lenovo-ს რევოლუციური პლანშეტი ინტეგრირებული პროექტორით - Lenovo YOGA Tablet 2 Pro-ს შეძენა დღეისათვის შესაძლებელია თითქმის ყველა მობილურით მოვაჭრე მაღაზიებში, თუმცა გამოკვეთილად გვთავაზობენ „ელიტ ელექტრონიქსში“, „ტექნო ბუმში“, ჯეოსელის, მაგთისა და ბილაინის ოფისებში.

ახალი Lenovo YOGA Tablet 2 Pro - პირველი 13 ინჩიანი პლანშეტია. ინტეგრირებული პროექტორი ამ ახალი მოდელის მთავარი თავისებურებაა. ახალი პლანშეტი საშუალებას იძლევა წამებში გადავაქციოთ კედელი 50 ინჩიან ეკრანად, რაც ძალიან მოსახერხებელია ფილმების და სატელევიზიო პროგრამების საყურებლად. ამგვარად YOGA Tablet 2 Pro - სთან ერთად სახლის კინოთეატრი მუდამ თქვენს ხელთაა. ამ მოდელს ციფრულ მედია ფაილებთან მუშაობა - იქნება ეს სამუშაო პრეზენტაცია თუ ოჯახურ გარემოში ფილმების ყურება - სრულიად ახალ დონეზე აყავს.

პლანშეტის ბატარეა უზრუნველყოფს დატენვის შემდეგ ვიდეო ფაილების ჩვენებას 4 სთ - მდე დროის განმავლობაში. ხოლო 8 ვატი სიმძლავრის სრულყოფილი აუდიო სისტემა უზრუნველყოფს ხმის შეუდარებელ გამოცემას.

„YOGA Tablet 2 Pro შეიქმნა კომპანია Lenovo-ს მიერ ჩატარებული ყველაზე მასშტაბური მარკეტინგული კვლევის შედეგად. ახალ Lenovo YOGA Tablet 2 Pro-ს აქვს ყველაფერი საუკეთესო YOGA Tablet-ის წინა თაობისგან - მრავალრეჟიმულობა და დატენვის გარეშე დიდხანს მუშაობა, ასევე დაემატა ახალი

ტექნოლოგიები, რომელიც ცვლის პლანშეტების შესახებ წარმოდგენას“, - აცხადებს Mobile Business Group, Lenovo-ს ვიცე პრეზიდენტი ჯეფ მერედიტი, ამასთან პლანშეტი არის ძალიან თხელი და მსუბუქი - 3.7 მმ სისქის მოწყობილობა 950 გრამს იწონის. Lenovo YOGA Tablet 2 Pro-ს აქვს ვერცხლისფერი კორპუსი (Platinum). მოწყობილობის ბატარეა ავტონომიურ რეჟიმში 15 სთ-მდე მუშაობს.

ახალ პლანშეტს გააჩნია პროგრამა Brewster. ეს „გონიერი“ პროგრამაა, რომელიც საშუალებას მოგცემთ კონტაქტების ერთიან ბაზაზე გააერთიანოთ ელექტრონული ფოსტის რამდენიმე ყუთი და სოციალური ქსელების ექაუნთები. ამასთან Brewster-ს სხვადასხვა წყაროდან შეუძლია კონტაქტის შესახებ მონაცემთა კონსოლიდირება, წაშალოს განმეორებადი მონაცემები, დაამატოს გამოსახულება, ასევე გადმოგცეთ შემოწმებული საკონტაქტო ინფორმაცია ამა თუ იმ პირის შესახებ.

კომპანია Huawei მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქციითა და ოფიციალური გარანტიით უზრუნველყოფს

მულტინაციონალური ქსელური და სატელეკომუნიკაციო კომპანია “ჰუავეი” ქართულ ბაზარზე შემოსვლით კმაყოფილია და ქვეყანაში ერთი წლის მუშაობას დადებითად აფასებს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში მან უკვე შეძლო საკუთარი მყიდველის პოვნა და ნიშის დამკვიდრება.

ქართულ ბაზარზე “ჰუავეის” ბესტსელერი შემოსვლისთანავე huawey იყო, რომლის ღირებულება მომხმარებელისთვის ხელმისწვდომი გახდა, სრულყოფილი ანდროიდის სმარტფონმა ყველა აპლიკაციით მომხარებელში საკმაოდ დიდი აღირება მოიპვა.

ვინც პროდუქტის ტექნიკურ მხარეში ერკვევა, იცის, რომ “ჰუავეის” პროდუქცია არაფრით ჩამოუვარდება ცნობილი ბრენდების პროდუქტებს. Huawei Ascend P6 აღიარა არა მხოლოდ მომხმარებელმა, არამედ ის დიდი მოწონებით სარგებლობს ექსპერტებს შორის. ეს არის ყველაზე თხელი ტელეფონი, მძლავრი ტექნიკური მონაცემებით, ფასისა და ხარისხის შეფარდების გათვალისწინებით, შესაბამისად, ჩვენ ვაგრძელებთ ქართულ ბაზარზე მუშაობას და მომავალი წლიდან გაფართოებასაც არ

გამოვრიცხავთ", - განმარტავს "ჰუავეის" ქართული წარმომადგენლობის გაყიდვების მენეჯერი ზურაბ ვასაძე.

პოპულარული ბრენდები

Samsung-ი სამხრეთ კორეის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო კონცერნია, რომელიც შეიქმნა 1938 წელს. მსოფლიო ბაზარზე ის ცნობილია, როგორც მაღალტექნოლოგიური კომპონენტების, სატელეკომინიკაციო აღჭურვილობის, საოჯახო ტექნიკის,აუდიო- და ვიდეო მოწყობილობების მწარმოებელი.

სიტყვა „სამსუნგი" კორეულ ენაზე ნიშნავს სამ „ვარსკვლავს". შესაძლებელია სახელი Samsung დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ სამსუნგის დამაარსებელს ლი ბიონ ჩოლს (Lee Byung-chull) ჰყავს სამი ვაჟი.

1991-1992 წლებში დამზადდა პირველი პერსონალური მობილური მოწყობილობები და მობილური ტელეფონები.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია, რომელი მობილური ტელეფონები სარგებლობენ პოპულარობით მომხმარებლებს შორის. 100 მობილური ტელეფონის მომხმარებლების გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათi 32% Nokia-ს ანიჭებს უპირატესობას და 28% Samsung-ს, შემდეგ მოსდევს Lenovo 22%-ით და Huawei 18%-ით.. როგორც კვლევიდან ჩანს Nokia-ს დღეისათვის ლიდერის პოზიცია უკავია.

რადგან უკვე გამოვარკვიეთ პოპულარული და ყველაზე მოთხოვნადი ბრენდები და მკვეთრად გამოისახა ლიდერი კომპანია, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ განვიხილოთ NOKIA-ს ისტორია, თუ როგორ გახდა იგი ასეთი წარმატებული და პოპულარული ბრენდი მთელი მსოფლიოს მაშტაბით. საიდან და როგორ დაწინაურდა მობილურების მსოფლიო ბაზარზე.

ნოკია (NOKIA) - არის ფინური მულტინაციონალური კომუნიკაციების კორპორაცია, რომელსაც ჰყავს 112.262 თანამშრომელი მსოფლიოს 120 ქვეყანაში, თავის პროდუქციას ყიდის 150-ზე მეტ ქვეყანაში. ნოკია აწარმოებს მობილურ ტელეფონებს თითქმის ყველა სეგმენტისათვის.

მობილური ტელეფონების ბაზარი მზარდი ტენდენციით

ხასიათდება. იხსნება უფრო მეტი და მეტი მაღაზიათა ქსელები, რაც მათ შორის კონკურენციას კიდევ უფრო ამძაფრებს. გამოკითხული მაღაზიები მომხმარებელს ემსახურებიან 233 სხვადასხვა მაღაზიათა ქსელში.

კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში მობილური ტელეფონების შეძენა ძირითადად ხდება მაღაზიათა ქსელების საშუალებით. მომხმარებელთა 27% სარგებლობს მაღაზიათა შემოთავაზებებით, უფრო ნაკლები 5% იყიდება ინტერნეტით, ხოლო 8% შეკვეთებით.

შექმნილ სიტუაციას მაღაზიათა ქსელები პასუხობენ მომხმარებლისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზებით. მაგალითად, გამოკითხული მაღაზიების 45.5% სთავაზობს მომხმარებელს განვადებას, 30.5% - გარანტიას, 3.3% - ადგილზე მიტანას, ხოლო დარჩენილი პროცენტები ნაწილდება შეკეთებაზე, პროგრამულ უზრუნველყოფასა და სხვა შეთავაზებებზე შესაბამისად 19 და 16%-ებით. განსხვავება აღინიშნება მაღაზიათა მიერ შეთავაზებულ საგარანტიო დროებშიც. მაღაზიათა 56.8 % მომხმარებელს სთავაზობს 12 თვიან გარანტიას, 21.6% -6 თვიან გარანტიას, 8.1 %- 1 თვიან გარანტიას, ხოლო დანარჩენი 13.5 % ნაწილდება 3, 8, და 36 თვიან გარანტიებზე.

როგორც მობილური ტელეფონების მაღაზიათა კვლევამ გამოავლინა, გაყიდული ტელეფონების თითქმის ნახევარი გაიყიდა განვადებით, რომელსაც მაღაზიები მომხმარებელს სთავაზობენ სხვა და სხვა ბანკებთან თანამშრომლობით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მობილურების ბაზარზე მაღაზიები იყენებენ სხვადასხვა აქციის სახეებს, როგორიცაა ფასდაკლებები, რეკლამები, მიბმითი გაყიდვები და სხვ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მაღაზიების უმეტესობა დახვეწას საჭიროებს. გამოკითხული მაღაზიების 20%-მა აღნიშნა, რომ საერთოდ არ მიმართავს არანაირ აქციებს. დღევანდელი ზრდადი კონკურენციის პირობებში კი საჭიროა სხვადახხვა აქციებისა და რეკლამების გამოყენება წარმატების მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. ი. კინწურაშვილი, „მარკეტინგი“. ქუთაისი, გამომცემლობა ხანძთა, 2012წ.

2. ი. კინწურაშვილი, მარკეტინგი - საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპები. ქსუ-ს გამომცემლობა, 2007.

3. ა. სოხაძე. „მარკეტინგის საფუძვლები“, ქუთაისი ,1997წ.

4. ფ. კოტლერი; ამსტრონგი. „მარკეტინგი“, 2012წ.

5. გ. შუბლაძე. „მარკეტინგის საფუძვლები“ თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2009წ

6. ნ. თოდუა. „მარკეტინგი“, თბილისი, 2009.

7. ა. სოხაძე , „მარკეტინგი“, ქუთაისი 2011წ.

LITERATURE:

1. I. Kintsurashvili ,“marketing”, Kutaisi , edition ‘khandzTa ,2012 y.

2. I. Kintsurashvili, marketing-International Marketing principles. KSU-S edition, 2007

3. A. Sokhadze “marketing basics”, Kutaisi, 1997y.

4. F. Kotleri; Amstrongi. “Marketing”, 2012y.

5. G. Subladze. “Marketing Basics”, Tbilisi, edition “Universal” ,2009 y.

6. N. Todua ,“Marketing” ,Tbilisi , 2009.

7. A. Sokhadze ,“Marketing” , Kutaisi, 2011y.

THE MOBILE PHONE MARKET RESEARCH IN KUTAISI

Irakli Kintsurashvili
A. Tsereteli State University
Assoc. Professor, Academic Doc. in Economics.

RESUME

The main attention in this work is paid to the mobile phone market in Georgia, Kutaisi, its condition nowadays, development and all the problems in this field.

The aim of this research is to find out the ways to cope with the obstacles and all the steps it passes through.

Moreover, there is also emphasized that for development it is necessary to pass such steps that will support the consumers with modern mobile phones supply. It should be noted that the customers who purchase some goods in the reduced rates, buy another product in the future and step by step become their permanent clients.

In this work, main attention is paid to the modern management system that helped the businessman to succeed. This includes the deferred payment, online purchase, and other essential offers.

This work defines the segment requirement, their wishes to purchase the goods in more preferential price, though there exists a segment, which is ready to buy the well-known brand goods without the hesitation in price offered by the company.

Many recommendations and offers are processed in this work and they can help the company increase the purchase volume and mark new market segments, which will expand the mobile phone market.

Key words: technique, product, economy, company, service, segment, megatechnique, competition.

ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები და მისი როლი საქართველოს ორგანიზაციებში

ნინო სებისკვერაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ხარისხი არის ყველა კომპანიის წარმატების საფუძველი, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება რომ მხოლოდ წარმოებული პროდუქტი უნდა იყოს ხარისხიანი, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის შიდა პროცესებიც და ყველა მათ შორის ელემენტარული მოქმედებაც კი იყოს ხარისხიანი. თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს ერთიანი ხედვა იმის თაობაზე რომ მათ მიერ ხარისხიანად შესრულებული სამუშაო წარმატებას მოუტანს მათ კომპანიას და პირადად მათ. ხარისხიანი კომპანია ხდება უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი, რაც საბოლოო ჯამში მის კონკურენტულ უპირატესობად გადაიქცევა. ხარისხი კომპანიის კულტურაა და ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად ყველაზე რთული იქნება ამის დაყვანა თითოეულ თანამშრომლამდე. იმისათვის, რომ კომპანია მთლიანად გახდეს ორიენტირებული ხარისხზე, მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომელს სჯეროდეს ამის და ყოველდღიურ საქმიანობაში იყოს ხარისხზე ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, საერთაშორისო სტანდარტები ISO, ISO 9000 ხარისხის სისტემის სტანდარტები,ისო 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტი, SL დანართი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

დღესდღეობით, მსოფლიოში 20 ათასამდე სხვადასხვა სტანდარტია, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი კი მსოფლიოს 164 ქვეყანა, მათ შორის საქართველო. ISO-ს სტანდარტებს შორის რამდენიმე მათგანს - ISO 9001, 2008 და ISO 22000 : 2005 - ქართული კომპანიებიც ფლობენ.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოების გარდა, კომპანიისთვის ეს არის ერთგვარი რეკლამაც, რომ წარმოებაში დანერგილი აქვს ხარისხი. „ეს არ არის ერთი ფარატინა დოკუმენტი. ეს არის დანერგილი სისტემა, რომ მართო ყველა რგოლი დაწყებული ნედლეულის შესყიდვის, დახარისხების, საწარმო კონტროლის მექანიზმებიდან და დამთავრებული საფრთხეების კონტროლით. ეს არის მთელი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის მუდმივ კონტროლს საწარმოში, სისტემის ეფექტურობის მუდმივ გაუმჯობესებას, სამუშაო პროცესების სტანდარტიზაციასა და მართვას, ზედმიწევნით იცავს ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს. ISO-ს ინსტრუქციების შესაბამისად საწარმოში ყოველდღიურად ხდება მანქანა-დანადგარების დეზინფექცია-დასუფთავება. მკაცრად მოწმდება პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხელის ჰიგიენა და საწარმოში ქცევის წესები. წესები ერთნაირად მკაცრია, როგორც მომსახურე პერსონალის, ასევე საწარმოს ტერიტორიასა და მანქანა-დანადგარებთან მიმართებაში.

ISO გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე იღებს და მიზნად არა მხოლოდ მეწარმეების, არამედ საზოგადოების დაკმაყოფილებას ისახავს. ISO-ს სტანდარტები მთელს მსოფლიოშია მიღებული და ხარისხის სინონიმად მიიჩნევა

ექსპერტთა განცხადებით, ISO-ს სტანდარტები ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ვინაიდან მათი მეშვეობით: პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება და მიწოდება უფრო ეფექტური, უსაფრთხო და სუფთა ხდება, იზრდება პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი.

ISO 9000 ხარისხის სისტემის სტანდარტები გახდა ყველაზე

მიმართვადი და ინტერესის აღმძვრელი საერთაშორისო სტანდარტი მისი პირველი გამოქვეყნებისთანავე 1987 წელს.

ISO 9001 წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას. იგი მიეკუთვნება ისო 9000 სერიის სტანდარტებს, ISO 9004 სტანდარტთან ერთად, და ეხმარება ორგანიზაციებს მუდმივად შეესაბამებოდნენ მომხმარებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და მოლოდინს, აგრეთვე ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

ISO (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) არის საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მეწარმეობას, ბიზნესს და მომხმარებლებს მისი სტანდარტიზაციის სამუშაოების შედეგად .

ISO:

• რომელიც აუმჯობესებს ორგანიზაციაში ხარისხის გაგებას;

• რომელიც ზრდის მოგებას, პროდუქტიულობას და საბაზრო წილს;

• რომელიც უზრუნვეყოფს ეფექტურ მენეჯმენტს;

• რომელიც ამცირებს ხარჯებს;

• რომელიც ზრდის პერსონალთა კმაყოფილებას;

• რომელიც აუმჯობესებს კომუნიკაციას ორგანიზაციის შიგნით;

• რომელიც უზრუნველყოფს ფართო მონიტორინგს და კონტროლს ყველა ქმედებაში;

• რომელიც ამცირებს რეგრესს;

• რომელიც ამცირებს მომხმარებელთა პრეტენზიებს და ზრდის მათ კმაყოფილებას;

• რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე;

ISO 9000-სთან დაკავშირებულია შემდეგი განსაზღვრებები:

პროცესი:

• აქტივობების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ან ურთიერთქმედებენ და ხარჯებს გარდაქმნიან პროდუქციის წარმოებად;

• პროდუქტი: პროცესის შედეგი;

სისტემა:

• ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ან ურთიერთქმედებენ;

• მართვის სისტემა: პოლიტიკის და მიზნების ჩამოყალიბება და მიზნების სისტემაში წარმატებების მიღწევა;

• ხარისხის პოლიტიკა: ხარისხის ყველა მიზანი და მენეჯმენტი, რომელიც ფორმალურად გამოხატულია ორგანიზაციის • მენეჯმენტში;

ხარისხის მართვა:

• ქმედებები, რომელთა კოორდინაციაც ხდება ორგანიზაციის კონტროლის და მენეჯმენტის მიზნით ხარისხთან დაკავშირებით;

• უწყვეტი გაუმჯობესება: ქმედებები, რომლებიც მეორდება მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარის ზრდის მიზნით;

პროდუქტიულობა:

• ურთიერთობა მიღებულ შედეგებსა და გამოყენებულ რესურსებს შორის.

ISO 9001 სტანდარტი არის საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტი, რომელიც გაიცემა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ISO) როგორც საერთაშორისო სტანდარტი და ისევ გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნების მიერ როგორც სერთიფიკაციის მოდელი და დაფუძნებულია 8 ხარისხის პრინციპზე.

მომხმარებელზე ორიენტირებულობა: ორგანიზაციები დამოკიდებულნი არიან მომხმარებლებზე, მაშასადამე ორგანიზაციები უნდა აცნობიერებდნენ მომხმარებლების არსებულ და სამომავლო საჭიროებებს და აკმაყოფილებდნენ მათ მოთხოვნებს და იყვნენ მზად ყურადღებით მოეკიდნონ მომხმარებელთა მოლოდინებს.

მმართველობა: მმართველები უზრუნველყოფენ მიზნის და ადმინისტრაციის ერთობლიობას. მათ უნდა შექმნან და შეინარჩუნონ შიდა გარემო, რომელშიც ხალხი მონაწილეობს ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში.

ხალხის მონაწილეობა: ხალხი თოთოეული დონიდან წარმოადგენენ ორანიზაციის ბირთვს, მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების გამოყენებას ორგანიზაციის სარგებლის მიზნით.

პროცესის დადგომა:როცა სასურველი შედეგი, ქმედებები და საჭირო რესურსები გაერთიანდება პროცესში მათი მიღწევა უფრო ეფექტური ხდება.

სისტემური მიდგომა მენეჯმენტში: ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესების როგორც სისტემის განსაზღვრა, გაცნობიერება და მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის ეფექტურობას და პროდუქტიულობას მიზნების მიღწევაში.

უწყვეტი გაუმჯობესება: ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესება უწყვეტად უნდა იყოს ორგანიზაციის მუდმივი მიზანი.

რეალისტური მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისას: ეფექტური გადაწყვეტილებები დამოკიდებულია მონაცემთა ანალიზსა და ცოდნაზე.

მომწოდებელთან ურთიერთობა დაფუძნებული ორმხრივ სარგებელზე: ორგანიზაცია და მისი მომწოდებლები ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან და ორმხრივ სარგებელზე დაფძნებული ურთიერთობა ხელს უწყობს თითოეული მათგანის დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობას.

2015 წლის 23 სექტემბერს "სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ" ოფიციალურად გამოაქვეყნა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის ახალი ვერსია.

განახლებული სისტემა არის ბიზნესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული, ნაკლებად ბიუროკრატიული დოკუმენტაციის მოთხოვნის მხრივ და უფრო მეტად სისტემის შედეგიანობასა და გაუმჯობესებაზე მიმართული. აგრეთვე მოთხოვნები ფოკუსირდება რისკებზე დაფუძნებულ ხედვაზე და პრიორიტეტს ანიჭებს ანალიტიკურ სამუშაოებს ორგანიზაციის კონტექსტის განსაზღვრის მიზნით, რაც გაძლევთ კონკურენტუნარიანობის უპირატესობას.

„რისკზე დაფუძნებული ხედვა" - რას მოითხოვს განახლებული ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტი?

განახლებულ ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტში მოცემულია „რისკებზე დაფუძნებული ხედვის“ კონცეფცია, რომელზეც შეუძლებელია თქვა, რომ ეს ის სიახლეა, რომელიც ჯერ არასოდეს ყოფილა სტანდარტის მოთხოვნებში.

ISO 9001 მისი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის ითვალისწინებდა პრევენციულ მიდგომას მენეჯმენტის სისტემაში არსებული პრობლემების მიმართ. ISO 9001 სტანდარტი იყო და რჩება ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის მენეჯმენტის ინსტრუმენტად.

ISO 9001 სტანდარტის 2015 წლის ვერსიაში ეს საკითხი უფრო მკაფიოდ არის გადმოცემული, რადგან სხვა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების მსგავსად, შემოაქვს ცნება „რისკზე დაფუძნებული ხედვა“. სტანდარტში არსებობს რამდენიმე მინიშნება, რომლის საშუალებით სტანდარტი მხარს უჭერს პრევენციას და რისკზე დაფუძნებულ ხედვას:

• სტანდარტის მომხმარებლებს მოეთხოვებათ დაადგინონ ორგანიზაციაში და მის გარეთ არსებული ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათზე, შემდეგ კი, მონიტორინგი გაუწიონ ამ ფაქტორებს და მზად იყვნენ გაზარდონ ნებისმიერი წარმოქმნილი შესაძლებლობა ან შეამცირონ და მართონ ნებისმიერი რისკი;

• მკაფიოდაა ხაზგასმული წინასწარი დაგეგმვის საჭიროება. შესაბამისად, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ფოკუსირება იმ საქმიანობაზე, რომელიც მათ სჭირდებათ წარმატების მისაღწევად;

• მეტად ხაზგასმულია მონიტორინგი და გაზომვები, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციები მიიღებენ ადრეულ სიგნალს იმ საკითხებზე, რომლებიც არ სრულდება დაგეგმილის შესაბამისად.

ამავდროულად, ISO 9001:2015 სტანდარტში ნაკლებად არის საუბარი, რომ ორგანიზაციებმა პროცესების კონტროლისთვის გამოიყენონ „რისკებზე დაფუძნებული ხედვა“. ეს ლოგიკურია, რადგან მაღალი რისკის მქონე პროცესებს სჭირდებათ უფრო მკაცრი და ზუსტი კონტროლი და მონიტორინგი, ხოლო დაბა-

ლი რისკის მქონე პროცესებს სჭირდებათ ნაკლები ფორმალობა კონტროლისთვის.

ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტში გამოყენებულმა „რისკზე დაფუძნებული ხედვის“ კონცეფციამ შესაძლებელი გახადა ზოგიერთი დირექტიული მოთხოვნის შემცირება და მათი ჩანაცვლება საქმიანობაზე დაფუძნებული მოთხოვნებით. ISO 9001:2008 სტანდარტთან შედარებით, უფრო მეტი მოქნილობაა პროცესების, დოკუმენტირებული ინფორმაციის და ორგანიზაციული პასუხისმგებლობების მიმართ მოთხოვნებში.

15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ISO 9001 სტანდარტმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. 2015 წლის ვერსია ფუნდამენტურად განსხვავდება მისი წინამორბედისაგან და შემოაქვს საუკეთესო მენეჯმენტის პრაქტიკა:

• ნაკლები მოთხოვნა დოკუმენტირებული პროცედურების მიმართ, რაც შეიძლება ჩანაცვლდეს თანამშრომლების მაღალი კვალიფიკაციით და შესაბამისი ცოდნით;

• უფრო მეტი ყურადღება ბიზნესის დაგეგმვაზე, რომელიც აგრეთვე მოითხოვს რისკების და შესაძლებლობების გაანალიზებას;

• ამაღლებული მოთხოვნა საქმიანობის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებაზე;

• ლიდერობა და მუდმივი გაუმჯობესება.

ყველა სხვა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტი, ადვილად ინტეგრირებადი ხდება ISO9001:2015 სტანდარტთან, რადგან მომავალში ყველა მათგანი წარმოდგენილი იქნება ერთი სტრუქტურით და აქცენტები გაკეთდება მენეჯმენტის სისტემის შესაბამის დისციპლინებზე

ISO 9001 - არის მსოფლიოს ყველაზე ფართოდ აღიარებული სტანდარტი მენეჯმენტის სისტემებში. იმის დასადასტურებლად, რომ ISO 9001 სტანდარტი კვლავ ასახავს თანამედროვე ბიზნესის საჭიროებას, 2015 წელს იგი განახლდა და უკვე წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტს.

ISO 9001 საუკეთესო სისტემაა, რომელიც დაგვეხმარება ვმა-

რთოთ ბიზნესი შედეგიანად. იგი მოსახერხებელია ნებისმიერი ზომის ბიზნესისთვის, როგორც პროდუქციის მწარმოებლების, ასევე სერვისის მიმწოდებლებისთვის.

მრავალი ორგანიზაცია ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტი, დანერგოს ის პრაქტიკაში და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი. ეს სიტემები განსხვავდებიან მათი დისციპლინის მიხედვით: ხარისხის, გარემოს დაცვის, სურსათის უვნებლობის, შრომის ჰიგიენის და უსაფრთხოების და სხვა სისტემები. დამეთანხმებით, რომ ყველა მათგანს აქვს განსხვავებული სტრუქტურა და შინაარსი, თუმცა ყველა მათგანში მოიძებნება რაღაც საერთო, რომელიც ფუნდამენტურია მენეჯმენტის სისტემებისთვის. ხშირ შემთხვევაში მენეჯმენტის სისტემის სხვადასხვა სტანდარტში ერთი და იგივე მოთხოვნა სხვადასხვა თავებში ან პუნქტებში იყო მოცემული, რაც ართულებდა მდგომარეობას.ამ სირთულის დასაძლევად, ISO-ს ტექნიკურმა საბჭომ (ISO/TMB) 2014 წელს გადაწყვიტა მენეჯმენტის სისტემების ყველა სტანდარტს ჰქონოდა ერთი საერთო სტრუქტურა. ამისათვის შეიმუშავა და გამოსცა დირექტივა „ISO/IEC Directives, Part 1. Consolidated ISO Supplement — Procedures specific to ISO“, რომელიც SL დანართში ადგენს საერთო სტრუქტურას მენეჯმენტის სისტემის ყველა სტანდარტისთვის, რომელიც ISO-ს მიერ იქნება გამოცემული.

SL დანართის დანიშნულებაა უზრუნველყოს, რომ ISO-ს მენეჯმენტის სისტემის ყველა სტანდარტს ჰქონდეს ერთი და იგივე სტრუქტურა და შინაარსი, იყენებდნენ ერთი და იმავე მიდგომას მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად,ტერმინებსა და განმარტებებს. ასეთ მიდგომას სარგებელი მოაქვს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ ერთი ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის სისტემის რამდენიმე სტანდარტს.

ISO-ს სტანდარტებმა სერტიფიცირებულ კომპანიებს გზა გაუხსნა გარე ბაზრებზე და მათი იმიჯიც ერთიორად გაიზარდა. საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი პერ ეკლუნდი ISO-ს სტანდარტების აუ-

ცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, საჭიროებს სტანდარტების მასობრივ დანერგვას, რათა ქართულმა კომპანიებმა უზრუნველყონ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება. საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი პერ ეკლუნდი: "სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია" (ISO) არის სტანდარტების განმსაზღვრავი საერთაშორისო ორგანო. უფრო სწორად, ეს არის ქსელი, რომელიც 157 ქვეყნის ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანოს აერთიანებს. ის ადგენს ინდუსტრიულ და კომერციულ სტანდარტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ISO გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე ღებულობს და მიზნად არა მხოლოდ მეწარმეების, არამედ მთელი საზოგადოების დაკმაყოფილებას ისახავს. ISO-ს სტანდარტები მთელს მსოფლიოშია მიღებული და ევროპაში ისინი ხარისხის სინონიმია. მაგალითად, ევროპელი მომხმარებლის თვალში, ISO 9000 (ხარისხის მართვის სისტემები საწარმოო გარემოში) და ISO 14 000 (გარემოს დაცვის მართვის სისტემები საწარმოო გარემოში) არა მხოლოდ სასურველი, არამედ სავალდებულოცაა, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ მათ მიერ ნაყიდი საქონელი აკმაყოფილებს ხარისხის და გარემოს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მწარმოებლებს შორის გაჩაღებულია კონკურენცია მომხმარებლის მოსაზიდად, შესაბამისად, თუ მათი პროდუქცია აკმაყოფილებს ხარისხის, გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, სანდოობისა და ეფექტურობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მით უფრო მეტი შანსი აქვთ მოიზიდონ მომხმარებელი და, შესაბამისად, მიიღონ უფრო დიდი შემოსავალი.

სტანდარტებს უზარმაზარი და პოზიტიური გავლენა აქვთ ჩვენი ცხოვრების უამრავ ასპექტზე. სტანდარტები უზრუნველყოფენ ნაწარმისა და მომსახურების სასურველ მახასიათებლებს.

კერძოდ, ხარისხს, ეკოლოგიურ სისუფთავეს, უსაფრთხოებას, სანდოობასა და ეფექტურობას და თანაც ისინი უზრუნველყოფენ ამ მახასიათებლებს ეკონომიკური თვალსაზრისით მო-

მგებიან ფასად. სტანდარტების არარსებობა საგრძნობი ძალიან მალე ხდება.

ჩვენ მაშინვე ვამჩნევთ, როცა ნაწარმი დაბალი ხარისხისაა, როცა ტანსაცმლის ზომა მოსალოდნელს არ ემთხვევა ან როცა ახლადშეძენილი ტექნიკური მოწყობილობა უკვე არსებულთან თავსებადი არაა, როდესაც საქონელი არასანდო ან, საერთოდ, საშიშია. პროდუქციის, სისტემების, ხელსაწყოებისა და დანადგარების გამართული და უსაფრთხო მუშაობა უმეტესწილად სწორედ სათანადო სტანდარტების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სწორედ კომპიუტერული პროტოკოლების სტანდარტიზაცია აძლევს სხვადასხვა მწარმოებელსა და პროდუქციის მომხმარებლებს ურთიერთკომუნიკაციის საშუალებას. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის, ქართველი მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის აუცილებელია სტანდარტების შემოღება.

ბიზნესისთვის საერთაშორისო სტანდარტების ფართოდ გავრცელება ნიშნავს იმას, რომ მწარმოებელს შეუძლია შეიმუშაოს და მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქცია და მომსახურება, რომელიც შესაბამის სექტორებში საერთაშორისოდ აღიარებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მომუშავე ბიზნესი ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზრებზე. ტერმინოლოგიის, თავსებადობის და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები ახალი ტექნოლოგიების შემქმნელებს საშუალებას აძლევს, დააჩქარონ საკუთარი გამოგონებების გავრცელება და გარდაქმნან ისინი წარმოებისა და მარკეტინგის თვალსაზრისით ხელსაყრელ პროდუქციად. მომხმარებლისათვის ტექნოლოგიის მსოფლიო მასშტაბით თავსებადობა, რის საშუალებასაც ნაწარმისა და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა იძლევა, ფართო არჩევანს ნიშნავს. მომხმარებლისთვის ასევე მომგებიანია მწარმოებლებს შორის კონკურენცია. საქონლისა და მომსახურების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მომხმარებელს ხარისხის, უსაფრთხოებისა და სანდოობის გარანტიას აძლევს.

ISO-ს სტანდარტები ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ვინაიდან მათი მეშვეობით: პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება და მიწოდება უფრო ეფექტური, უსაფრთხო და სუფთა ხდება; იზრდება პროდუქციის საექსპორტო პერსპექტივები; მთავრობებს ეძლევათ ტექნიკური საფუძვლები ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის მისაღებად და მის შესადარებლად საერთაშორისო მოთხოვნებთან; ხდება ტექნოლოგიური მიღწევებისა და მართვის მოწინავე ფორმების გაზიარება; ხდება უახლოესი მიღწევების ურთიერთგაზიარება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა."

ეროვნულ ბაზარზე წარმატებით მუშაობს საერთაშორისო და ევროპაში ყველაზე ავტორიტეტული მასერტიფიცირებელი ორგანოს – TUV SUD-ის ოფიციალური წარმომადგენლობა, კომპანია "მენეჯმენტის სისტემები", რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტ კომპანიას მისცეს საშუალება, ISO-ს სტანდარტების დანერგვით მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. "მენეჯმენტის სისტემები" ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მეშვეობით, სხვადასხვა კომპანიებში ეწევა საკონსულტაციო სამუშაოებს, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

დღეისათვის, საქართველოში დიდი მოთხოვნაა ISO 9001:2000 სტანდარტზე. თუმცა კვების პროდუქტების მწარმოებელ ორგანიზაციებში გაჩნდა HACCP (Hazard Analiysis and Critical Control Points) სისტემის დანერგვის მოთხოვნაც. HACCP-ის სახელი მსოფლიო მასშტაბით ასოცირდება "უსაფრთხოებასთან", რაც ნიშნავს, რომ HACCP-ის სისტემის დანერგვით ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საკვები პროდუქტების წარმოებას და მიწოდებას სარეალიზაციო ქსელში. აღნიშნული სისტემის დანერგვაზე აქტიურად მუშაობენ ღვინის, ლუდის, რძისა და სხვა, კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები.

ISO-ს სტანდარტები ნდობასთან ასოცირდება, რადგან მომხმარებლებმა იციან, რომ იმ კომპანიას, რომელიც ISO 9001:2000

სტანდარტის სერტიფიკატის მფლობელია, უმაღლესი ხარისხის პროდუქცია აქვს. წინასასერტიფიკაციო პროცედურა შემდეგნაირია: სანამ კომპანიას ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭება, მანამდე კომპანიაში წინასასერტიფიკაციო სამუშაოები ტარდება. წინასასერტიფიკაციო სამუშაოების დროს, უპირველესად ყურადღება ექცევა ტექნიკურ უზრუნველყოფას, თუ რამდენად გამართულია საწარმო, რამდენად აკმაყოფილებს იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რასაც ISO-ს სტანდარტი ითხოვს. თუ კომპანიას სჭირდება ბევრი სამუშაო იმისთვის, რომ სტანდარტის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები დააკმაყოფილოს, გარდა ტექნიკური უზრუნველყოფისა, სტანდარტის დასანერგად აუცილებელია კომპანიას ჰყავდეს შესაბამისი კადრი, რადგან სისტემის შემუშავება არ ხდება მხოლოდ კონსულტანტის მიერ, ამ პროცესში საწარმოს კადრიც უნდა ჩაერთოს. თუ ეს პირობები დაკმაყოფილებულია, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება კომპანიაში ხარისხის მენეჯმენტის შემუშავება და დანერგვა. წინასასერტიფიკაციო სამუშაოების ხანგრძლივობა თვითონ კომპანიაზეა დამოკიდებული, მის მოცულობაზე, სირთულეზე და ა.შ. წინასწარი სამუშაოები მოიცავს მინიმუმ სამ-ოთხ თვეს. ISO-ს ხარისხის მენეჯმენტის სერტიფიკატი უპირველესად არის ნდობა, მომხმარებელზე ორიენტირებულობა და არ აქვს მნიშვნელობა, ეს მომხმარებელი საქართველოში იქნება თუ მის ფარგლებს გარეთ. ვინაიდან ISO-ს სტანდარტი საერთაშორისოა, იგი ხშირად საშვის ფუნქციასაც ასრულებს კომპანიისთვის ამა თუ იმ საერთაშორისო გამოფენაზე. ISO-ს სტანდარტებს ნერგავენ რეგიონებში მოქმედი კომპანიებიც. პირველად ISO 9001:2000 ხარისხის მენეჯმენტის სერტიფიკატი უკვე მიიღო ბათუმში მოქმედმა კომპანიამაც. ქართველი ბიზნესმენები დარწმუნდნენ, რომ ISO-ს სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსადგენად, არამედ შიდა ბაზარზე. სტანდარტის დანერგვის მოთხოვნა, ძირითადად, თბილისში მომუშავე კომპანიებისგან არის, რადგან, როგორც "მენეჯმენტის სისტემებში" აცხადებენ, რეგიონებში ჯერ კიდევ ინფორმაციის დეფიციტია.

დასკვნა

საერთაშორისო სტანდარტები ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას და მას უფრო სამართლიანს ხდის. ისინი საერთაშორისო კონსენსუსის შედეგისა და ტექნოლოგიური "ნოუ ჰაუს" მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. საერთაშორისო სტანდარტები, განსაზღვრავენ რა საექსპორტო პროდუქციისათვის და მომსახურებისთვის საჭირო მახასიათებლებს, ხელს უწყობენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს მწირი რესურსების ინვესტირებისას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. სავაჭრო სფეროს ოფიციალური პირებისათვის საერთაშორისო სტანდარტები ქმნიან "მყარ სათამაშო ასპარეზს" ამ ბაზრებზე მოქმედი ყველა კონკურენტისათვის და სადაც განსხვავებულმა ეროვნულმა თუ რეგიონულმა სტანდარტებმა შეიძლება ვაჭრობის განვითარებას ტექნიკური ბარიერები შეუქმნას. საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენენ ტექნიკურ საშუალებას, რომელთა დახმარებით შესაძლებელია პოლიტიკური სავაჭრო ხელშეკრულებების რეალობაში განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lloyd's "ბიზნესის გაუმჯობესების სატრენინგო პროგრამები";

2. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition John S. Oakland;

3. გამომცემლობა სინერჯი ჯგუფი.

REFERENCES:

1. Lloyd's "Business Improvement Training Programs";

2. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition John S. Oakland;

3. Publication Group: Synergy Group.

INTERNATIONAL STANDARDS ON QUALITY AND ITS ROLE IN GEORGIAN ORGANIZATIONS

Nino Sebiskveradze,
Doctoral Student,
Georgian Technical University

RESUME

The quality is the basis for success of all companies; in this case it does not mean that only a derivative product should be of a good quality, it is important that the internal processes of the company and all the simple actions be of a high quality. Each employee must have an integrated vision that the quality work done by them will benefit not only the company but also them personally. The quality the company makes more efficient, and more flexible, it ultimately turns into its competitive advantage. The quality should be the culture of the company and one of the main goals, but the most important and at the same time the most difficult to bring this to each employee. For the company to become fully oriented on the quality it is important that every employee should believe in this and be quality- oriented in everyday activities.

Key words: Quality Management System, International Standards ISO, ISO 9000 Quality System Standards, ISO 9001: 2015 International Standard, SL Appendix.

დიაგნოსტირების ინსტრუმენტების გამოყენებით ორგანიზაციის განვითარების პროცესების მართვა

ეკატერინე კვირიკაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

თვითგანვითარებად ორგანიზაციაზე მიზანმიმართული გადასვლა, ისევე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობის ნებისმიერი გაუმჯობესების მცდელობა, მიზანშეწონილია დავიწყოთ არსებული მდგომარეობის დიაგნოსტირებიდან.

ინსტრუმენტის შესარჩევად, სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი და აღიარებული შეფასებისა და მართვის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც ორგანიზაციის განვითრებას ემსახურება. მათ შორის: ხარისხის მართვის ევროპის ფონდის საქმიანი სრულყოფის მოდელი **(EFQM),** ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა **(BSC),** საქმიანობის მაჩვენებლების უნივერსალური სისტემა **(TPS),** ინტელექტუალური კაპიტალის რეიტინგი **(IC Rating),** აგრეთვე შემსწავლელი ორგანიზაციის დიაგნოსტირების მეთოდოლოგია **(LO);**

მთავარი მიგნება არის ის, რომ დიაგნოსტირების არც ერთი სისტემა სრულად არ შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციის შესაფასებლად წამოყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ ყოველი მათგანი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც შეიძლება გამოდგეს ახალი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის დასამუშავებლად.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაცია, დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, მართვა, თვითგანვითარება.

ძირითადი ტექსტი

ორგანიზაციული დიაგნოსტირება წარმოადგენს კვლევით საქმიანობას, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციული მენეჯმენტის ეფექტურობის განვითარებისა და ზრდის პრობლემების დადგენას; ანალიზსა და შეფასებას და აგრეთვე, მათი გადაწყვეტილებების ძირითადი მიმართულებების გამოვლენას.[1]

ზოგიერთი ავტორი, ორგანიზაციაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, კვლევის მიმართულების გამოსავლენად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, დიაგნოსტირების ძირითად მიზნად ინფორმაციული ბაზის შექმნას გამოყოფს. პროცესის სირთულე მდგომარეობს ერთგვაროვანი მონაცემების შეკრებასა და დამუშავებისას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვალიწინებაში, აგრეთვე ლატენტური ცვლადების არსებობაში, რომელთა გაზომვა შესაძლებელია მხოლოდ ირიბი მაჩვენებლებით.[2] შედეგების სარწმუნოობა, რომლებიც მიღებულია ეკონომიკური გაზომვების პროცესში, დამოკიდებულია მკვლევერის მიერ გასაზომი ეკონომიკური სიდიდის არჩევანზე, ინდიკატორის სისტემის დასაბუთებით, კვლევის ჩატარების პროცედურებზე და მიღებული მასალის დამუშავების მეთოდებზე.[3] რამდენადაც, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზების სადიაგნოსტიკო პროცესები დაფუძნებულია ინდივიდის ქცევით მექანიზმებზე (რომლებიც ატარებენ შინაგან ხასიათს), რაოდენობრივი და თვისებრივი გაზომვა არის საკმაოდ რთული პროცესი (რომლის შედეგები ატარებენ სუბიექტურ ხასიათს).

კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენების კრიტერიუმი ჩამოთვლილ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის ხარისხია.

1 Карась Л. Управленческая диагностика – основа совершенствования менеджмента // Проблемы тео-рии и практики управления. 1996. №6. გვ. 78-82. ავტორები (მაგალითად იხ. Новожилов А.С. Формирование механизма диагностики систем управления предприятиями:дис.канд. экон.наук: 08.00.05. СПб., 2009. გვ.169.)

2 Viswanathan M. Measurement Error and Research Design. Thousand Oaks, CA: Sage Publications, 2005.

3 Елохова И.В., Молодчик М.А. Подходы к диагностике самоорганизующихся и саморазвивающихся систем для инновационного предприятия //Фундаментальные исследования. 2012. №9. გვ. 724.

1) მეთოდოლოგიამ, თვითგანვითარების გამოყოფილი მაჩვენებლების პოზიციიდან, უნდა ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თვითგანვითარების მიმდინარე მდგომარეობა; ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციების მიზნებისა და ინტერესების თანხვედრა; საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, თვითკონტროლი; მრავალდონიანი ლიდერობა, გუნდური მუშაობა, სინერგია; ჩართულობა, შინაგანი გრძელვადიანი მოტივაცია და მისი ინტენსივობა; დეცენტრალიზაცია და შინაგანი მეწარმეობა; თვითსწავლა, ცოდნის დაგროვება და გაცვლა, ინიციატივის გამოვლენა და მაქსიმალური შედეგის მიღწევა;

2) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თვითგანვითარების მაჩვენებლების გაზომვის შესაძლებლობა ინდივიდუალურ, გუნდურ და ორგანიზაციულ დონეებზე; გაუმჯობესებისათვის სფეროების იდენტიფიცირების შესაძლებლობა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას თვითგანვითარების დონის ამაღლებისათვის აუცილებელი გაარდაქმნები;

3)გაზომვის შედეგების შედარებითი ანალიზის ჩატარება ბენჩმარკებთან;

4) თვითშეფასებისთვის გამოყენების სიმარტივე;

5) მიღებული შედეგების თვალსაჩინო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა;

გაანალიზდა შეფასებისა და მართვის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულია ორგანიზაციის განვითარებისკენ. მათ შორის: ხარისხის მართვის ევროპის ფონდის საქმიანი სრულყოფის მოდელი **(EFQM),**[1] ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა **(BSC),**[2] საქმიანობის მაჩვენებლების უნივერსალური სისტემა **(TPS),**[3] ინტელექტუალური კაპიტალის რეიტინგი

1 Подход EFQM. URL: http://www.efqm-rus.ru/

2 Kaplan R.S.and Norton D.P. The Balanced Score card–measures that drive performance // Harvard Business Review. 1992. Vol.70. № 1. გვ.71-9; Каплан Роберт С., Нортон Дейвид П. Сбалансированная система показате-лей. От стратегии к действию / пер. с англ. М.: ЗАО «Олимп-Бизнес», 2003.

3 Рамперсад К.Х. Универсальная система показателей деятельности: Как достигать результатов, сохра-няя целостность: пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс, 2004. გვ. 352.

მოთხოვნები დიაგნოსტირების სისტემასთან	EFQM	BSC	TPS	რეიტინგი IC	LO, უოტკინსი და მარსიკი	LO, დ.გარვინი,ა.ედმონდსონი,ფ.გინო
თვითგანვითარების მაჩვენებლების გაზომვა						
ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციების მიზნებისა და ინტერესების თანხვედრა	1	3	3	1	1	1
შინაგანი გრძელვადიანი მოტივაცია და მისი ინტენსივობა	2	2	3	3	3	2
დეცენტრალიზაცია და შინაგანი მეწარმეობა	0	0	1	0	2	0
თვითსწავლა, ცოდნის დაგროვება და გაზიარება	3	2	3	2	3	3
მრავალდონიანი ლიდერობა, გუნდური მუშაობა, სინერგია, ჩართულობა	2	3	3	2	2	2
საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება,თვითკონტროლი	2	0	1	1	3	1
ინიციატივის გამოვლენა და მაქსიმალური შედეგის მიღწევა	2	3	3	2	2	1
სამი ორგანიზაციული დონის გაზომვა						
ორგანიზაციული დონე	3	3	3	3	3	3
გუნდური დონე	3	3	3	3	3	3
ინდივიდუალური დონე	0	3	3	3	3	0
საერთო მოთხოვნები						
გაზომვის შედეგების შედარებითი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა ბენჩმარკებთან	3	0	0	3	3	3
გამოყენების პრაქტიკულობა და სიმარტივე	3	0	0	0	3	3
მიღებული შედეგების თვალსაჩინო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა	3	0	0	3	2	0
სულ	27	22	26	26	33	22

(IC Rating),[1] აგრეთვე შემსწავლელი ორგანიზაციის დიაგნოსტირების მეთოდოლოგიები **(LO),**[2] რომლებიც შემოთავაზებულია მარსიკის, ედმონდსონის და გინოს მიერ (იხ. ცხრილი).

ქულები ასახავენ დიაგნოსტირების ყველა სისტემის გამოყენებადობის შეფასებას თვითგანვითარების მაჩვენებლების გაზომვისათვის და მის შესაბამისობას წამოყენებული მოთხოვნებისადმი, ხოლო მათი მნიშვნელობები შეესაბამება დებულებებს:

0-ინსტუმენტი არ იძლევა გაზომვის შესაძლებლობას/არ შეესაბამება გაცხადებულ მოთხოვნას;

1-ინსტრუმენტი გულისხმობს მოცემული მაჩვენებლის არსებობას, მაგრამ არ იძლევა მისი გაზომვის შესაძლებლობას;

2-ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა გაზომოს მაჩვენებელი მხოლოდ ნაწილობრივ/ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნას;

3-ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა გაზომოს მაჩვენებელი/მთლიანად შეესაბამება მოთხოვნას;

დიაგნოსტირების ჩამოთვლილი სისტემებიდან ორი მათგანი განვიხილოთ დეტალურად:

ხარისხის მართვის ევროპის ფონდის საქმიანი სრულყოფის მოდელი (EFQM).ხარისხის მართვის საქმიანი სრულყოფის მოდელი (EFQM) დამუშავებულია 1991 წელს და არის ევროპის დონეზე ორგანიზაციის საქმიანობისა და სრულყოფის მიმართულებით მისი განვითარების მრავალმხრივი შეფასების მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიას წარმატებულად იყენებენ მაგ. გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ლატვიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, თურქეთში. საქართველოში ევროპული შიდა ხარისხის მართვის (EFQM) „სრულყოფის მოდელის“ დანერგვა 2013-2014 წლებში 6 საპილოტე კოლეჯში (3 სახელმწიფო,

1 Edvinsson L. and Malone M.S. Intellectual Capital: Realizing Your Company's True Value by Finding its Hidden Brainpower. N.Y: Harper Business, New York, Inc., 1997.

2 Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998. Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? // Harvard Business Review. 2008. March. გვ. 109–116.

3 კერძო) განხორციელდა (ანგარიაში-2103-2014-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

მიდგომა EFQM.[1] მოდელი შედგება 9 ელემენტისაგან-კრიტერიუმებისაგან, რომელთაგან 5 აფასებს ორგანიზაციის შესაძლებლობებს, 4-მიღწეულ შედეგებს.

ბლოკი „შესაძლებლობები“: 1.ლიდერობა;2.პოლიტიკა და სტრატეგია. 3.ადამიანები . 4.პარტნიორობა და რესურსები. 5. პროცესები.

ბლოკი „შედეგები“ 1. შედეგები მომხმარებლებისთვის 2. შედეგები პერსონალისთვის. 3. შედეგები საზოგადოებისთვის. 4. საქმიანობის ძირითადი შედეგები. ბლოკი „შესაძლებლობების“ ყველა კრიტერიუმი შედგება 5 სუბკრიტერიუმისაგან, რომლებიც საშუალებას იძლევა ზუსტად აღწეროს და შეაფასოს, რის ხარჯზე აღწევს ორგანიზაცია შედეგებს ხუთივე სფეროში.

კრიტერიუმები „შედეგები“ შედგება 2 სუბკრიტერიუმისაგან და საშუალებას იძლევა გავზომოთ, რა არის მიღწეული რეალიზებული შესაძლებლობების ხარჯზე.

შეფასება მოდელით EFQM ითვალისწინებს ჯერ ყველა კრიტერიუმის შეფასებას სკალაზე 0-დან 100%-მდე **RADAR**-ის ლოგიკით: **Results**- შედეგები; **Approach** - მიდგომა; **Deployment** - განლაგება; **Assessment** - შეფასება; **Review** - გადახედვა;

თითოეული 9 კრიტერიუმის მნიშვნელობების გამოსათვლელად იანგარიშება სუბკრიტერიუმების საშუალო მაჩვენებელი, შემდეგ შედეგები ჯამდება 9 კრიტერიუმის მიხედვით წონადი კოეფიციენტების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავენ კრიტერიუმების მნიშვნელობას ორგანიზაციის საქმიანობის ინტეგრალური შეფასების პოზიციიდან.

ორგანიზაციის თვითგანვითარების გაზომვისთვის, მიდგომა საკმაოდ მოქნილია. ის შესაძლებელს ხდის მოდელის თითოეული ელემენტისათვის მივიღოთ როგორც დიფერენცირებული, ისე კუმულაციური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის საქმიანობის ინტეგრარულ შეფასებას.

ამგვარად, EFQM მოდელი შესაძლებელს ხდის ორგანიზაცია-

1 URL: http://www.efqm-rus.ru/

ში გაიზარდოს თანამშრომლების მხარდაჭერისა და აღიარების ეფექტური ხერხების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ინტერესების მიმართ მათ ერთგულებას. როგორც მოტივაციური მექანიზმი, შემოთავაზებულია ურთიერთობებისა და ინფორმაციის ღიაობა, აგრეთვე თანამშრომლების უნარების რეალიზების შესაძლებლობება. არ იზომება პირადი და ორგანიზაციული მიზნების თანხვედრის ხარისხი, ე.წ. შემოქმედებითი დაძაბულობა და თანამშრომელთა შორის ჯანსაღი კონკურენცია; არ მჟღავნდება ქცევითი მოტივები, რომლებიც თანამშრომლების მოტივაციის გასაღებია.

მოდელი საშუალებას არ იძლევა შევაფასოთ ორგანიზაციული სტრუქტურის შესაძლებლობები, რომლებიც მეწარმეობის საშუალებას იძლევიან და ხელს უწყობენ მას.

„თვითგანვითარება, ცოდნის დაგროვება და გაცვლა“ ფასდება ორი პოზიციიდან:

1) კომპეტენტური დასაქმებულების საჭიროება, რომელიც პროფესიულად ვითარდებიან ამ საჭიროებების შესაბამისად;

2) დაინტერესებულ მხარეებთან და გარემოსთან ინფორმაციის გაცვლის ქსელი.

დასაქმებულებისთვის საკუთარი უნარების სრული რეალიზების შესაძლებლობის მიცემით, წახალისებულია პიროვნული და პროფესიული განვითარება.

ლიდერობა ხასიათდება უნარით, ლიდერებმა რეაგირება მოახდინონ გარემოს დინამიურ ცვლილებებზე, აგრეთვე პირადი მაგალითით, სრულყოფისა და ცვლილებების გასატარებლად, მოტივაცია შეუქმნან და შთააგონონ თანამშრომლები.

მოდელით გათვალისწინებული არ არის გუნდური მუშაობის შეფასება. მაქსიმალური შედეგების მიღწევა და თანამშრომელთა ინიციატივა იზომება ორგანიზაციის საქმიანობის ინტეგრალური მაჩვენებლების მიღწევით. თანამშრომლები ეძებენ შესაძლებლობებს ინოვაციებისა და გაუმჯობესებისათვის. შეფასება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორგანიზაციის ან მისი სტრუქტურული ერთეულების დონეზე, ცალკე აღებული თანამშრომლის შეფასება შეუძლებელია. მოდელი საშუალებას

არ იძლევა შევაფასოთ პირადი და ორგანიზაციული მიზნების თანხვედრის დონე, შინაგანი გრძელვადიანი მოტივაცია და მისი ინტენსივობა. არ ფასდება ორგანიზაციულ სტრუქტურის ინიციატივის გამოვლენაში შესაძლებლობები და შეზღუდვები. ამის გარდა, იგნორირებულია ინიციატივიანი ქცევა როგორც ასეთი, რომელიც დევს თვითგანვითარებადი ორგანიზაციის კონცეფციის საფუძველში.

თვითგანვითარების დიაგნოსტირებისათვის მიზანშეწონილია რიგი ელემენტების გამოყენება, რომელიც შემოთავაზებულია მოდელით EFQM.

შემსწავლელი ორგანიზაცია (Learning organization).შემსწავლელი ორგანიზაციის კონცეფციის ჩარჩოში უნდა განვიხილოთ ორაგნიზაციული დიაგნოსტირების ორი უფრო მეტად ცნობილი მეთოდოლოგია, როგორც აღნიშნავს მოლინენი,[1] უფრო დაწვრილებითი ინსტრუმენტი შემოთავაზებულია უოტკინსის და მარსიკის მიერ 1998 წელს. გაზომვა ხდება კითხვარის საშუალებით, რომელიც შედგენილია ოთხ ნაწილად და შეესაბამება ორგანიზაციის ინდივიდუალურ, გუნდურ, ორგანიზაციულ და გლობალურ დონეს. შეკითხვები საშუალებას იძლევა გაიზომოს შემსწავლელი ორგანიზაციის შემდეგი მაჩვენებელი: დიალოგი და კვლევა, გუნდური სწავლება, სისტემის მდგომარეობის ჩაშენებული ინდიკატორები, შესაძლებლობებისა და უფლებების გაფართოება, ლიდერობა, ფინანსური მაჩვენებლები, ცოდნის ნაყოფიერება."[2] შემოთავაზებულ ინსტრუმენტს „აქვს მეცნიერული და ემპირიული საფუძველი, ამიტომ იგი გამოიყენება უფრო ხშირად, ვიდრე გაზომვის დანარჩენი ინსტრუმენტები, რომლებიც შემოთავაზებულია სხვა ავტორების მიერ".

ინდივიდუალურ დონეზე შეკითხვები წარმოდგენილია ორი ჯგუფით: სწავლების შესაძლებლობები, რომელსაც ორგანიზაცია აძლევს ყველა თანამშრომელს და სწავლების კულტურა, რომელიც გაბატონებულია ორგანიზაციის თანამშრომ-

1 Moilanen R. Diagnostic tools for learning organizations The Learning Organization // MCB University Press. 2001. Vol. 8. № 1. გვ. 6-20.

2 Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998.

ლებს შორის. შესაძლებლობებიდან ფასდება: სწავლებისათვის ორგანიზაციის მიერ დროისა და რესურსების დათმობა, გადაწყვეტილებებისთვის აუცილებელი კორპორატიული ინფორმაციის ღიაობა, დაჯილდოება და სწავლისათვის წახალისება.

კორპორატიული კულტურა იზომება ატმოსფეროს, თანამშრომლებს შორის ურთიერთობების, შეცდომებისადმი დამოკიდებულების, ურთიერთობების სანდოობის პოზიციიდან.

ჯგუფების დონეზე იზომება სწავლების კულტურა და გუნდური მუშაობის შესაძლებლობები.

შესაძლებლობებიდან ფასდება: ერთობლივი შედეგისათვის ჯგუფის მონაწილეების დაჯილდოება, დამოუკიდებელი მუშაობის დროს თავისუფლების ხარისხი.

ჯგუფში სწავლების კულტურა იზომება გუნდის წევრებს შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობებით, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობის მხრიდან ჯგუფური მუშაობის შედეგების გამოყენების ხარისხით.

ორგანიზაციულ დონეზე იზომება შესაძლებლობები ცოდნის გაცვლისათვის, ინფორმაციის ღიაობისათვის; ყველა თანამშრომლისთვის სწავლების შესაძლებლობები, დაჯილდოება ინიციტივისათვის, მონაწილეობის მიღება ხედვის დამუშავებაში, სწავლებისათვის აუცილებელი რესურსების განკარგვაში უფლებამოსილებების დელეგირება, ხედვის დამუშვების დროს უფლებამოსილების მინიჭება, ლიდერების მენტორობა.

ორგანიზაციულ დონეზე კულტურა გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებისას მორალური ასპექტების მხედველობაში მიღებას, დარგის ტენდენციების, კონკურენტების, განვითარების მიმართულებების, ფასეულობების შესაბამისად მოქმედებების შესახებ პერსონალის ინფორმირებას. ამის გარდა, კორპორატიულ დონეზე იზომება სწავლების შედეგიანობა, სასურველ და რეალურ შედეგებს შორის არსებული განსვლა.

ამ მეთოდის უდავო ღირსება არის ონლაინ ტესტირების გავლის შესაძლებლობა და მყისიერი შედეგების მიღება.[1] კითხვა-

1 Watkins & Marsick/ Dimensions of the Learning Organization Questionnaire. URL: http://www.partnersforlearning.com/instructions.html

რი საშუალებას აძლევს გამომყენებელს მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უჭერს ორგანიზაცია მხარს სწავლებას ინდივიდუალურ, გუნდურ და ორგანიზაციულ დონეზე, მის გამოყენებას და პროდუქტიულობას.

მოცემული კითხვარზე პასუხის გაცემისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ერთი რესპოდენტის პასუხი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მოცემულ საკითხზე მხოლოდ მისი სუბიექტური აზრი.

პრობლემის გადაჭრა „ორგანიზაციული ერთეულების ყველა თანამშრომლის გამოკითხვის გზით და შედეგების გასაშუალებით უნდა მოხდეს, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას სტრუქტურული ერთეულის, სამუშაო ჯგუფის პროფილი, როგორც ორგანიზაციული სწავლების გაუმჯობესები საფუძველი“.

შედეგების დამუშავების მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნას ორგანიზაციის თვითგანვითარების შეფასების დროს. კონკრეტულ ინტერესს წარმოადგენს თვისებრივი მახასიათებლების გაზომვა და მათი რაოდენობრივ შეფასებაში გადაყვანა, რაც შესაძლებელს ხდის ორგანიზაციული სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე გაიზომოს გასაანალიზებელი პროცესების განვითარების ხარისხი.

მოცემული ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა გაიზომოს ორგანიზაციის თვითგანვითარების პროცესების მაჩვენებლების ხარისხი: მრავალდონიანი ლიდერობა, შინაგანი გრძელვადიანი მოტივაცია, ინდივიდების, ჯგუფების და ორგანიზაციების მიზნებისა და ინტერესების თანხვედრა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და თვითკონტროლი, სწავლება, ცოდნის დაგროვება და გაცვლა, ინიციატივის გამომჟღავნება და მაქსიმალური შედეგის მიღწევა. კითხვარის არჩევითი შეკითხვები შეიძლება გამოყენებული იყოს თვითგანვითარების დიაგნოსტირებისათვის.

უდავოა, ყველა განხილული ინსტრუმენტიდან, მოცემული ანკეტა უფრო ახლოა დასახულ ამოცანასთან, მაგრამ მოცემული კვლევის მიზნებისათვის არის რამდენიმე ნაკლი, რომლიც არ იძლევა მისი სრულად გამოყენების საშუალებას: ანკეტა არ

შეიცავს შეკითხვებს ორგანიზაციული სტრუქტურის შესაძლებლობების შესახებ, შეკითხვების სისტემა საშულებას არ იძლევა შეაფასოს სიახლის ძებნასა და მის რეალიზებაში თანამშრომელთა შესაძლებლობები (რაც შეიძლება გაიზომოს ინიციატივის გამოვლენის რეალური ფაქტებით). სწავლისათვის დახარჯული ძალისხმევის მიუხედავად, ორგანიზაციამ შეიძლება ვერ მიიღოს შესაბამისი უკუგება. საჭიროა გამზომები, რომლებიც დაახასიათებენ აქტიურობის, ინიციატივისა და შესაძლებლობების გამოყენების ფაქტებს.

შემსწავლელი ორგანიზაციის ჩარჩოში მეორე მეთოდი შემოთავაზებულია დ.გარვინის, ა.ედმონდსონის და ფ.გინოს მიერ ჟურნალ **Harvard Business Review**-ში 2008 წელს და გათვალისწინებულია ორგანიზაციაში სწავლების პროცესების ხარისხის შეფასებისათვის.[1] მეთოდის არსი ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციის სწავლების უნარების შეფასებასა და მათ შემდგომ შედარებაში მდგომარეობს. ანალიზის შედეგი არის სფეროს გამოვლენა, სადაც აუცილებელია გაძლიერდეს ცოდნის გაცვლა, გამოვლინდეს და აღმოიფხვრას შეცდომები.

შეფასება ხდება კითხვარის საშუალებით, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისგან: პირველი ნაწილი ოთხი პოზიციიდან ავლენს, რამდენად უწყობს ხელს ორგანიზაციის ატმოსფერო სწავლების პროცესებს და ცოდნის გაცვლას. „ფსიქოლიგიური უსაფრთხოება“ შესაძლებელს ხდის შევაფასოთ რამდენად კომფორტულად და უსაფრთხოდ შეუძლიათ თანამშრომლებს გამოხატონ საკუთარი აზრი, დასვან შეკითხვები, დაუშვან შეცდომები. „განსხვავებულობათა ფასეულობა“ ავლენს, ორგანიზაციაში რამდენად მიესალმებიან სხვადასხვა აზრებისა და იდეების გაცვლას. „ღიაობა ახალ იდეებს“ შეიცავს შეკითხვებს დასახული მიზნების გადასაწყვეტად ახალი მიდგომების გამოყენების სიხშირის, ახალი იდეების წახალისებისა და განხილვის შესახებ.

1 Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? //Harvard Business Review. 2008. March. გვ. 109–116.

„დრო რეფლექსიისათვის“ საშუალებას იძლევა გამოავლინო, ტარდება თუ არა საქმიანობის, შეცდომების, პრობლემების ანალიზი.

მეორე ნაწილი ცოდნის გაცვლის პროცესის და მისი გამოყენების ანალიზს ხდის შესაძლებელს.

„სიახლეები“ ავლენს რამდენად ხშირად გამოიყენება ახალი მეთოდები და ექსპერიმენტები სტრუქტურულ ერთეულებში (ორაგნიზაციებში). „სიახლეების ძებნა“ საშუალებას იძლევა შეაფასო ფორმირების პროცესების, კონკურენტების, მომხმარებლების, ეკონომიკური და სოციალური, ტექნოლოგიური ტენდენციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების ხარისხი. „სწავლების პროგრამები“ ავლენენ მხარდაჭერის, ცოდნის განახლებისა და მათი შეფასების პროცესებს, აგრეთვე სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ორგანიზაციებიდან, ქვეყნებიდან თანამშრომლების სწავლების შესაძლებლობებს. „ცოდნის გაცვლა“ თანამედროვე საშუალებების გამოყენებაში, ურთიერთობისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, გაანალიზდეს აქტიურობა.

მესამე ნაწილი აფასებს ლიდერობას, რომელიც აძლიერებს სწავლებას. კონკრეტულად კი ლიდერების უნარებს შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელსაყრელია სწავლისათვის. მათი მზაობა მხარი დაუჭირონ ალტერნატიულ შეხედულებებს, მოუსმინონ, წაახალისონ.

დიაგნოსტირება ტარდება ონლაინ გამოკითხვის სახით.[1] მეთოდოლოგია საშუალებას აძლევს ორგანიზაციას შეადაროს საკუთარი თავი სხვა ორგანიზაციას. მოახდინოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შეფასება ორგანიზაციის შიგნით. იგი მოცემული კვლევის მიზნებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ორი მაჩვენებლის გასაზომად - თვითსწავლის შეფასებისა და ნაწილობრივ, ლიდერობისა.

1 **Learning Organization Survey. URL: los.hbs.edu**

დასკვნა

მართვის სისტემებისა და დიაგნოსტირების ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზის შედეგის შეჯამებისას, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა საშუალებას შევაფასოთ, რამდენად არის რეალიზებული არა მხოლოდ დირექციის, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა თანამშრომლის პოტენციალი სკოლის განვითარებაში. არ განიხილავს თანამშრომელთა ინიციატივიანობას, როგორც განვითარების წყაროს. არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციისა და თანამშრომლების მიზანთა თანხვედრას.

ვინაიდან არ არსებობს დიაგნოსტირების კომპლექსური სისტემა, რომელიც შესაძებელს გახდის გამოყოფილი მაჩვენებლების საფუძველზე გაიზომოს ორგანიზაციის თვითგანვითარება, მიზანშეწონილია დამუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს დიაგნოსტირების განხილული სისტემების ისეთ ცალკეულ შემადგენლებს, რომლებიც გამოყენებადია თვითგანვითარების დიაგნოსტირებაში.

ლიტერატურა:

1. Елохова И.В., Молодчик М.А. Подходы к диагностике самоорганизующихся и саморазвивающихся систем для инновационного предприятия //Фундаментальные исследования. 2012. №9. გვ. 724.

2. Карась Л. Управленческая диагностика – основа совершенствования менеджмента // Проблемы тео-рии и практики управления. 1996. №6. გვ. 78-82. ავტორები (მაგალითად იხ. Новожилов А.С. Формирование механизма диагностики систем управления предприятиями:дис.канд. экон.наук: 08.00.05. СПб., 2009. გვ.169.)

3. Рамперсад К.Х. Универсальная система показателей деятельности: Как достигать результатов, сохра-няя целостность: пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс, 2004. გვ. 352.

4. Edvinsson L. and Malone M.S. Intellectual Capital: Realizing

Your Company's True Value by Finding its Hidden Brainpower. N.Y: Harper Business, New York, Inc., 1997.

Viswanathan M. Measurement Error and Research Design. Thousand Oaks, CA: Sage

5. Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? //Harvard Business Review. 2008. March. ვ3. 109–116. Publications, 2005.

6. Kaplan R.S.and Norton D.P. The Balanced Score card–measures that drive performance // Harvard Business Review. 1992. Vol.70. № 1. ვ3.71-9; Каплан Роберт С., Нортон Дейвид П. Сбалансированная система показате-лей. От стратегии к действию / пер. с англ. М.: ЗАО «Олимп-Бизнес», 2003.

7. Moilanen R. Diagnostic tools for learning organizations The Learning Organization // MCB University Press. 2001. Vol. 8. № 1. ვ3. 6-20.

8. Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998. Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? //Harvard Business Review. 2008. March. ვ3. 109–116.

9. Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998.

10. Learning Organization Survey.URL: https://hbs.qualtrics.com/jfe/form/SV_b7rYZGRxuMEyHRz

11. Подход EFQM. URL: http://www.efqm-rus.ru/

12. URL: http://www.efqm-rus.ru/

13. Watkins & Marsick/ Dimensions of the Learning Organization Questionnaire. URL: http://www.partnersforlearning.com/instructions.html

REFERENCES:

1. Elokhova I.V., Molodchik M.A. Approaches to the diagnostics of self-organising and self-developing system for innovative enterprises. Fundamental research, 2012, no. 9, pp. 724-728.

2. Karas L. Managerial diagnostics - the basis for improving management // Problems of management theory and practice. 1996. № 6. p. 78-82. Novozhilov A.S. Formation of the mechanism of diagnostics of enterprise management systems: dis.cand. Econ.: 08.00.05., St. Petersburg, 2009.p. .169.)

3. Rampersad K.H. Universal system of performance indicators: How to achieve results, preserving integrity: trans. with English. Moscow: Alpina Business Books, 2004. p. 352.

4. Edvinsson L. and Malone M.S. Intellectual Capital: Realizing Your Company's True Value by Finding its Hidden Brainpower. N.Y: Harper Business, New York, Inc., 1997.

Viswanathan M. Measurement Error and Research Design. Thousand Oaks, CA: Sage

5. Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? //Harvard Business Review. 2008. March. 33. 109–116. Publications, 2005.

6. Kaplan R.S.and Norton D.P. The Balanced Score card–measures that drive performance // Harvard Business Review. 1992. Vol.70. № 1. p.71-9;

7. Moilanen R. Diagnostic tools for learning organizations The Learning Organization // MCB University Press. 2001. Vol. 8. № 1. p. 6-20.

8. Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998. Garvin D.A., Edmondson A.C., Gino F. Is Yours a Learning Organization? //Harvard Business Review. 2008. March. p. 109–116.

9. Watkins, K.E. and Marsick, V.J. Dimensions of the Learning Organization Questionnaire, Partners for the Learning Organization, Warwick, RI., 1998.

10. Learning Organization Survey.URL:https://hbs.qualtrics.com/jfe/form/SV_b7rYZGRxuMEyHRz

11. URL: http://www.efqm-rus.ru/

12. URL: http://www.efqm-rus.ru/

13. Watkins & Marsick/ Dimensions of the Learning Organization Questionnaire. URL: http://www.partnersforlearning.com/instructions.html

MANAGEMENT OF ORGANIZATION DEVELOPMENT PROCESSES BY USING THE DIAGNOSTIC INSTRUMENTS

Ekaterine Kvirikashvili
PhD Student, the St. Andrews
First-Called Georgian University

RESUME

A deliberate movement to self-developing organization, as well as an attempt to improve of the effectiveness of the general education institution, it is advisable to start from the diagnose of the existing condition.

In order to select the instrument, the article analyzes the major instruments for assessment and management, which is known and recognized in the world practice, which provides developing the organization, including the European Foundation for Quality Management (EFQM), The balanced scorecard(BSC), Universal system of Positon indicators (TPS), Intelligent Capital rating (IC Rating), and Diagnostic methodology for Learning the Organization (LO).

The main finding is that none of the diagnostic systems are in full compliance with the requirements of the general education system, but each of them contains the elements that can be used to develop a new diagnostic instrument.

Keywords: organization, a diagnostic tool, management, self-development.

მარკეტინგული ღონისძიებები თანამედროვე ტურიზმის განვითარებაში

ირაკლი კინწურაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

რეზიუმე

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში კურორტებისა და სასტუმროების, საკურორტო დასასვენებელი სახლების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გზების ძიებას.

კვლევის მიზანია საქართველოს საკურორტო მეურნეობისა და სასტუმროთა ქსელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სიძნელეების მარკეტინგული გამოკვლევა და მისი დაძლევის გზების დასახვა. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების თვალსაზრისით საჭიროა სახელმწიფომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმიანობაში დაკავებულ მეწარმე-ბიზნესმენებს და გაატაროს მასტიმულირებელი ღონისძიებები ამ ბიზნესის განსავითარებლად .

ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი საქართველოში არსებული კურორტების განვითარების აუცილებლობა და სამომავლო პერსპექტივები, აქვეა აღნიშნული ამ სფეროს პოსტსაბჭოური განვითარების მასშტაბები, რომლის გათვალისწინება დღესაც აქტუალური და აუცილებელია.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტურიზმი, კურორტი, ტურისტული ბიზნესი, მომსახურების პაკეტი, მარკეტინგული კვლევა, ეროვნული მეურნეობა, ტურმომხმარებელი, ტურისტი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ტურიზმის დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნები საქართველოს მიმართ ტურისტული ინდუსტრიის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს განსაკუთრებულ პირობებს უყენებს, რომელთა ხარისხიანი დაკმაყოფილება შეუძლებელია თანამედროვე მარკეტინგის პრინციპების გამოყენების გარეშე. თუმცა სამწუხაროდ ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში მარკეტინგს ნაკლები ყურადღება ექცევა, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ბიზნეს-სუბიექტებს ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ შეუფასებიათ მარკეტინგის შესაძლებლობანი ამ სფეროში და მათი საქმიანობა დამყარებულია პრაქტიკულ გამოცდილებაზე და აფექტურ ქმედებაზე. თანამედროვე პერიოდში სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, ტურისტული მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდება ტურიზმის ინდუსტრიაში, კაპიტალის კონცენტრაცია მოითხოვს მარკეტინგისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.

1990 წლამდე საქართველოში ტურიზმის განვითარების საფუძველი მინერალური წყლები და შვებულების პერიოდში მკურნალობა და გამაჯანსაღებელი დასვენება იყო. ეს იყო დრო, როდესაც საქართველო 4 მილიონ ტურისტს იღებდა წელიწადში. ამ დროისათვის ტურისტთა განთავსება ხდებოდა სახელმწიფო სასტუმროებში, პანსიონებსა და დასასვენებელ სახლებში, ამ საქმიანობაში ფართედ იყო ჩართული საქართველოს პროფკავშირები, რომელთა საკუთრებაში იმყოფებოდა სასტუმროები, დასასვენებელი სახლები და სეზონური ბანაკები.

საქართველოში კურორტების აქტიური შენება მე-19 საუკუნიდან იწყება, ამ დროს ათვისებული იქნა ბორჯომი, აბასთუმანი, აგარაკად იქცა კოჯორი. ასევე აქტიურად იწყება შავიზღვისპირეთის ათვისება. კურორტების გეგმაზომიერი ათვისება 1926 წლიდან დაიწყო და უმაღლეს დონეს ყოფილ პოსტსაბჭოთა პერიოდში მიაღწია, ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის სამედიცინო პროფილის კურორტები: კარდიოლოგიური, ალერგოლოგიური, ნევროლოგიური, დერმატოლოგიური, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი, მაგნიტური ქვიშები,

სამკურნალო მღვიმეები, ზამთრისა და ზაფხულის კურორტები და სხვა.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა 90-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, კონფლიქტური სიტუაციების გამწვავების გამო არახელსაყრელი და საშიში შეიქნა დასვენება, რამაც შელახა ქვეყნის იმიჯი და ტურისტთა ჩამოსვლა მკვეთრად შეამცირა.

დღეისათვის ჩამოყალიბებულია კომბინირებული მარშრუტებით მომსახურების ტრადიცია. ტურის ხანგრძლივობა 7-21 დღემდე გრძელდება, აქ შესაძლებელია ანტიკური ხანის ნაქალაქარების – არმაზი (მცხეთა), ციხე-გოჯი (ნოქალაქევი სენაკი), ანტიკური კოლხეთის (ვანი), კლდეში ნაკვეთი ქალაქის – ვარძია, უფლისციხე, დიდი ქალაქების თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმის დათვალიერება, ასევე კურორტებზე ბორჯომში, წყალტუბოში, ქობულეთში, ბაკურიანში, გუდაურში დასვენება.

თანამედროვე ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა თანამედროვე მარკეტინგული მიდგომები. ტურიზმის სფეროს ბიზნესი სხვა სფეროებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა, მაგ: სეზონურობა. – სწორედ აქაა ადგილი უშუალოდ ჩაერთოს მარკეტინგი არსებულ საქმიანობაში და გამონახოს ეფექტური გზები ტურისტთა ფართო მასების მოზიდვისათვის და საჭიროა მოახერხოს მაქსიმალური სიამოვნება მიანიჭოს დამსვენებლებს.

მას შემდეგ, რაც ტურისტული ფირმა განაცხადს გააკეთებს და უშუალოდ ჩაერთვება საქმიანობაში, იგი ექცევა განსაკუთრებულ როგორც მიკრო, ასევე მაკრო გარემოში. ყოველივე ეს სერიოზულ გავლენას ახდენს ფირმის საქმიანობაზე, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს მის მომავალზე, თუკი დროულად არ უზრუნველყოფს მარკეტინგის პრინციპების კომპლექსურ გამოყენებას.

ამგვარ გარემოში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დემოგრაფიულ ფაქტორს უჭირავს. მარკეტინგი განიხილავს სწორედ იმ სა-

კითხს, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის რიცხოვნობასთან, მათ დაყოფასთან წლოვანების მიხედვით სეგმენტებად, რადგან ტურისტულმა ფირმამ ცალკ-ცალკე უნდა შესთავაზოს შესაბამისი მარშრუტი ცალკეულ მომხმარებელთა სეგმენტს. მაგალითად: ახალგაზრდები შეიძლება უფრო ეტანებოდნენ აჭარის რეგიონს და აქტიურ დასვენებას, ისინი უპირატესობას ანიჭებენ უშუალოდ ბათუმსა და მის სანაპიროს, მაშინ, როცა ხანშიშესულებმა შესაძლებელია უპირატესობა მიანიჭონ ქობულეთს, როგორც უფრო წყნარ ადგილს, დასასვენებლად უფრო კომფორტულს და თავი უკეთესად იგრძნონ მის ქვიშიან სანაპიროზე, ხოლო ახალგაზრდებმა, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ, ამოირჩიონ მაგნიტური ქვიშები როგორც ბავშვის ჯანმრთელობისათვის საუკეთესო და დასასვენებლად ურეკი აირჩიონ და ა. შ. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მოსახლეობის თითოეული ასაკობრივი ჯგუფები სხვადასხვა ტურპროდუქტების მომხმარებლები არიან და ამიტომ ტურისტულმა ფირმებმა კვლევის საფუძველზე უნდა გამოავლინონ და ცალკეულ სეგმენტებად გამოყონ თითოეული ჯგუფები.

განსაკუთრებულ განსაზღვრას საჭიროებს მომხმარებელთა ეკონომიკური ფაქტორებიც. შემოსავლების დონე ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია და მარკეტინგული კონცეფცია სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. ტურისტულმა ფირმამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების სხვადასხვაგვარი პაკეტი დაბალშემოსავლიანი, საშუალოშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი კლიენტურისათვის, საჭიროა ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა შეძლონ ჯეროვნად მოემსახურონ დამსვენებელთა ყველა სეგმენტს.

ასევე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ტურის ფსიქოლოგიური ასპექტები. მარკეტინგმა უნდა განსაზღვროს ეთნიკურია ტურიზმი, რელიგიური, სოციალური თუ ექსკლუზიური. საჭიროა განისაზღვროს ტურის მოტივი, საფუძველი, რომლითაც შეიძლება ნაკარნახევი იყოს ტური. განსასაზღვრია ტურის ხანგრძლივობა, ჯგუფურია თუ ინდივიდუალურია ტური, შესაბამისად უნდა მოხდეს დამსვენებელთა განთავსება ტურისტულ

სახლებში, კემპინგებსა თუ სასტუმროებში.

თანამედროვე მარკეტინგული ღონისძიებების გატარებისას ტურისტული ფირმა კარგად უნდა ერკვეოდეს კონკურენციულ საქმიანობაში, მას უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი დამსვენებელი რაიმე ექსცესებისაგან, უნდა დაეხმაროს მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში (მაგალითად: ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესება), უნდა შეეძლოს დამსვენებელს შესთავაზოს დასვენებისა და გართობის საშუალებები, გასვლითი ტური ბუნებაში, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს ტურისტული სააგენტოს კონკურენტუნარიანობას და დამსვენებელთა მხრიდან სანდოობას.

დასკვნა

მარკეტინგული ქმედებები და მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინება დადებითად აისახება ტურისტული ფირმების მუშაობაზე. მარკეტინგის მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ ფირმამ მხოლოდ დღეს მიიღოს მოგება თავისი საქმიანობიდან, არამედ დღევანდელი მისი საქმიანობით შექმნას ხვალინდელი მომხმარებელი, კეთილგანაწყოს იგი და აღუძრას სურვილი კიდევ ისარგებლოს მისი მომსახურებით. სტატიაში მოყვანილია მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები, ასევე მოცემულია კონკრეტულად თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება ტურისტულ ბიზნესში მოღვაწე პირების მიერ, რათა მიღწეული იქნეს წარმატება ამ სფეროში.

ნაშრომში დამუშავებული და მითითებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს დაძლეულ იქნეს კრიზისი და გაუმჯობესდეს ქვეყანაში ამ სფეროში არსებული მდგომარეობა.

ლიტერატურა:

1. ი. კინწურაშვილი , „მარკეტინგი“. ქუთაისი, გამომცემლობა ხანძთა, 2012წ.

2. ი. კინწურაშვილი, მარკეტინგი - საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპები. ქსუ - ს გამომცემლობა, 2007.

3. ა. სოხაძე. „მარკეტინგის საფუძვლები“, ქუთაისი ,1997წ.
4. ფ. კოტლერი ; ამსტრონგი. „მარკეტინგი“, 2012წ.
5. გ. შუბლაძე . „მარკეტინგის საფუძვლები“ თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2009წ
6. ნ. თოდუა. „მარკეტინგი“, თბილისი, 2009.
7. ა. სოხაძე , „მარკეტინგი“, ქუთაისი 2011წ.

REFERENCES:

1. I. Kintsurashvili ,“marketing”, Kutaisi , edition ‘Khandzta ,2012 y.
2. I. Kintsurashvili, Marketing-International Marketing principles. KSU-S edition, 2007
3. A. Sokhadze “Marketing Basics”, Kutaisi, 1997y.
4. F. Kotleri; Amstrongi. “Marketing”, 2012y.
5. G. Subladze. “Marketing Basics”, Tbilisi, edition “Universal”, 2009 y.
6. N. Todua ,“Marketing” ,Tbilisi , 2009.
7. A. Sokhadze ,“Marketing” , Kutaisi, 2011y.

MARKETING IN THE SERVICE OF THE DEVELOPMENT OF MODERN TOURISM

Irakli Kintsurashvili,
Academic Doctor of Economics,Associated professor, Akaki Tsereteli State University

RESUME

The active construction of the resorts in Georgia has been started since XIX century. In that period there have been developed Borjomi, Abastumani, and Kojori as the relaxing places. From the end of XIX the black sea territory have started the development. The regular development of the resorts has been started since 1936 and it has reached to the higher level in the former Soviet period. There are also listed the different medical resorts: cardiologic, allergologic,

neurologic, dermatologic, mineral waters, medical mud, magnetic sand, medical caves, winter and summer resorts and etc.

The events and conflict situations, happened at the beginning of 90th years, in the country made dangerous and disadvantageous. It humiliated the image of the country and reduced the number of tourists.

In such environment the main place is taken by demographic factor. Marketing discusses just that question which is connected with the number of population, their dividing into segments according to ages as the tourist firm shall separately offer the relevant rout to the separate consumers' segment. For example: the young people may prefer Adjara region and active relax, Batumi and seaside, when the elders may prefer Kobuleti as it is a more quiet and comfortable place and feel themselves better in its sandy coast, and the youth whu have small children may prefer the magnetic sand and choose Ureki and etc.

While carrying out such marketing events, the tourist firm shall know the competitive activity well in order the firm to defend its tourists from any excess, to help in solving any problems (for example: health problem), the firm can offer to tourists relaxing and entertaining means, also tours in the nature which will increase the competitiveness of the tourist firm and the reliability from tourists.

Such kind of marketing actions and considering the world practice it will be positively reflected on operations of the tourist firms. We know that the main goal of marketing isn't to get a profit today from the activity, but the main goal of marketing is to create future customers for its activity, to raise the will of the tourists to apply their service again.

Key words: modern tourism, resort, tourist business, service package, marketing research, national economy, tours, consumer, tourist.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობა

მარიკა ოქრომჭედლიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მეწარმეობის კრიტერიუმები, პრიორიტეტები, საწარმოთა ზრდის ოთხი ასპექტი და მათი სიცოცხლისუნარიანობის წყაროები. ამ წყაროებს შორის ყურადღება გამახვილებულია ინოვაციების დანერგვაზე და მეწარმეთა მემწარმული უნარის ამაღლებაზე.

დადებითად არის შეფასებული საქართველოს მთავრობის ინიციატივა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეწარმეობის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად შემოღების შესახებ და აგრეთვე, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაში ამ ინიციატივის დასახელება.

საკვანძო სიტყვები: მცირე მეწარმეობა, საშუალო მეწარმეობა სიცოცხლისუნარიანობა, პრიორიტეტები, მეწარმული უნარი, მეწარმე.

ძირითადი ტექსტი

შესავალი

მცირე და საშუალო მეწარმეობის სათანადო განვითარებით რომ ქვეყნის აღორძინება ხდება, ეს აღარავისთვის აღარ არის უცხო. ამ გზით განვითარდნენ მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყნები, ასევე „აზიის ვეფხვებიც“ – სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი და სხვები.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ, ამ გზას დაადგა საქართველოც. ამ დაგვიანების მიზეზი იყო სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობის თვისობრივი კრიტერიუმების და პრიორიტეტების არცოდნა, ამით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების დაუფასებლობა.

1. მცირე და საშუალო მეწარმეობის თვისობრივ-რაოდენობრივი კრიტერიუმები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განსაზღვრა უპირატესად სხვადასხვა თვისობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით ხდება.

თვისობრივ კრიტერიუმებს მიეკუთვნება [1, გვ. 9]:

- სამართლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა;
- საკუთრებისა და მართვის ერთიანობა;
- ექსტერნული კაპიტალის მიღების შეზღუდული შესაძლებლობა.

რაოდენობრივ კრიტერიუმებს მიეკუთვნება [1, გვ. 10]:

- ფულის ნაკადის სიდიდე წლიწადში;
- ბალანსის ჯამი (აქტივები);
- თანამშრომელთა რაოდენობა.

დღეს საქართველოში კანონით „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მცირე საწარმოდ მიიჩნევს 20 კაცამდე დასაქმებულის და 500 000 ლარამდე წლიური ბრუნვის საწარმოს, საშუალო საწარმოდ – 20-დან 100 კაცამდე დასაქმებულის და 0,5-დან 1,5 მლნ ლარის წლიური ბრუნვის საწარმოს, ხოლო მსხვილ საწარმოდ – 100 კაცზე მეტი დასაქმებულის და 1,5 მლნ ლარზე მეტი წლიური ბრუნვის საწარმოს [2].

საგადასახადო შეღავათების მიცემის კუთხით კი 2011 წელს ახალ საგადასახადო კოდექსში მიკროსაწარმოდ დაფიქსირდა 30000 ლარი წლიური ბრუნვის, ხოლო მცირე საწარმოდ 100 000 ლარი წლიური ბრუნვის მქონე საწარმო. ასეთ საწარმოებს მიეცათ შესაბამისი სტატუსი (მიკრო და მცირე). მცირე და საშუალო საწარმოების სიდიდის განსაზღვრის ასეთი ორადი მიდგომა იწვევს მათ აღრიცხვაში დაბნეულობას.

2. მცირე და საშუალო მეწარმეობის პრიორიტეტები

მცირე ბიზნესის როლს ეკონომიკაში განაპირობებს შემდეგი პრიორიტეტები [3, გვ. 28]:

- ქმნის სამუშაო ადგილებს. განვითარებულ ქვეყნებში მცირე

ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის კერძო სექტორის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი და მასზე ახალი სამუშაო ადგილების 2/3-დან 3/4-მდე მოდის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სამუშაო ადგილების ამგვარ ზრდას ძირითადად ისეთი მცირე ბიზნესების საქმიანობა განაპირობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საშუალო ან სულაც დიდ საწარმოებად გარდაიქმნან, თორემ მცირე ბიზნესთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰყავს დაქირავებული თანამშრომლები.;

➢ ქმნის ახალ ნაწარმს. სიახლეთა თავისუფლად დანერგვის შესაძლებლობა, რაც ბევრი მცირე ფირმისათვის არის დამახასიათებელი, კვლავაც უამრავ უპირატესობას იძლევა როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ბაზარზე გასატანი სქონლისა თუ მომსახურების გამრავალფეროვნების მხრივ. ზოგ შემთხვევაში სიახლე მარკეტინგული შესაძლებლობების ხედვის განახლებაში მდგომარეობს; სხვა დროს კი – ამა თუ იმ სიახლის დამნერგავი თავად ქმნის ახალ ტექნოლოგიას, რომლის საფუძველზეც ზრდის და აფართოებს საკუთარი კომპანიის საქმიანობას, ან მთელ თავის ბიზნესს უფრო დიდ კომპანიაზე ყიდის, რომელსაც ამ ტექნოლოგიის დანერგვა სჭირდება საკუთარ საწარმოო ხაზზე;

➢ აკმაყოფილებს უფრო დიდი ორგანიზაციების მოთხოვნილებებს. უამრავი მცირე ბიზნესი დიდი კორპორაციებისათვის დისტრიბუტორებად, მომსახურე რგოლებად გვევლინება. ამავე დროს, სამთავრობო სააგენტოები თავიანთი სავაჭრო კონტრაქტების გარკვეულ ნაწილს ხშირად საგანგებოდ სწორედ მცირე ბიზნესთან აფორმებენ;

➢ ეკონომიკაში შეაქვს ფულის მნიშვნელოვანი მასა. მაგალითად, აშშ-ის მცირე ბიზნესი ერთ ეკონომიკურ აგრეგატად რომ წარმოვიდგინოთ, მისი ეკონომიკა მსოფლიოში მესამე ადგილს დაიკავებდა;

➢ მიდის ისეთ რისკზე, რისგანაც უფრო დიდი კომპანიები ზოგჯერ თავს იკავებენ ხოლმე. მეწარმეები ზოგადად, როგორც რისკიანი და ახალი, ჯერ გამოუცდელი იდეების დანერგვის მოსურნე ხალხი, ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ;

➢ გვთავაზობს საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ

სახეობებს. ხშირ შემთხვევაში სწორედ მცირე ბიზნესი იკავებს იმ ნიშას, რომელსაც დიდი კომპანიები, როგორც წესი, უგულებელყოფენ.

ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოები არიან მოქნილი და სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას და ცვლილებებს თვით საწარმოებში. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ ოპერატიულად შექმნან და დანერგონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რასაც ვერ ახორციელებენ მსხვილი ფირმები, რადგან პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოშვება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არღვევს მსხვილ მასშტაბიანი, სერიული წარმოების სტაბილურობას. მესამეც, მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელია ინიციატივისა და დინამიზმის სულისკვეთება. ბოლო გარემოება მნიშვნელოვნად განასხვავებს მსხვილ და მცირე ფირმებს. ეს გამოიხატება განსაკუთრებულ ადამიანურ ურთიერთობებში და სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში, რომელიც ახასიათებს პატარა კოლექტივს, რომელშიც ყველა გაერთიანებულია დამოუკიდებლობისა და გადარჩენის მიზანსწრაფვით.

მცირე საწარმოს შეუძლია ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანის გადაჭრას ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტითაც, როგორიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება. იგი საკუთარ თავზე იღებს ეროვნული მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციის შესრულებას, რომელსაც ვერ ახორციელებენ მსხვილი საწარმოები.

3. მცირე და საშუალო მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობა და ზრდა

მეცნიერები მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდას ოთხ ასპექტში იხილავენ [1, გვ. 17]:

- ფინანსური;
- სტრატეგიული;
- სტრუქტურული;
- ორგანიზაციული.

ფინანსური ზრდა ნიშნავს იმას, რომ იზრდება კომერციული

ბიზნესი, რაც გამოიხატება საქონელბრუნვის ზრდით. ამასთანავე იზრდება დანახარჯები, ინვესტიციები და მოგება.

სტრატეგიული ზრდა გამოიხატება საწარმოს ურთიერთობის გაუმჯობესებით გარემოსთან, რაც, საბოლოოდ, განაპირობებს მის კონკურენტულ უპირატესობას.

სტრუქტურული ზრდა დაკავშირებულია საწარმოს შიგნით მიმდინარე ცვლილებებთან – როლებისა და ვალდებულებების განაწილებასთან, კომუნიკაციების და მართვის სისტემის განვითარებასთან.

ორგანიზაციული ზრდა გამოხიატება ბიზნესის კულტურის ცვლილებაში. საწარმოთა ზრდის მართვა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა. საწარმოთა მართვის პროცესში ფართოდ გამოიყენება ე. წ. „სასიცოცხლო ციკლის მოდელი“, რომლის აუცილებელი ელემენტია კრიზისი, რომელიც ზრდის ახალ საფეხურზე გადასვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მცირე და საშუალო საწარმოთა მუდმივი, სტაბილური განვითარებისთვის მთავარია რომ ისინი იყვნენ ინოვაციურნი, ანუ მუდმივად ნერგავდნენ სიახლეებს და ამით სჯობნიდნენ კონკურენტებს [4, გვ. 53].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს არა მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოები, არამედ, მსხვილი საწარმოებიც კი, ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილი არიან. ცნობილმა ამერიკულმა ორგანიზაციამ – „რენდ კორპორეიშენმა“ 2006 წელს გამოაქვეყნა ანაგრიში 2020 წლისთვის ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის შესახებ, კერძოდ, როგორ შეუძლიათ მათ აითვისონ 16 უმნიშვნელოვანესი ახალი ტექნოლოგია. საქართველო აღმოჩნდა იმ უსუსტეს ქვეყნების ჯგუფში (კამერუნი, ჩადი და სხვა), რომელიც ამ 16 სიახლიდან არაუმეტეს ხუთის ათვისებას შეძლებს [1, გვ. 112].

ასეთ დროს ქართველი მეცნიერი უ. სამადაშვილის აზრით, „ბიზნესი რომ აკეთოთ, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო, მაგრამ, რომ ისწავლო, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ინფორმაციის წყარო“ [3, გვ. 336].

მცირე და საშუალო საწარმოებში სიახლის დანერგვა მათი მფლობელების (და აგრეთვე მენეჯერების) ინდივიდუალურ კრეატულ უნარზეა დამოკიდებული. ასეთ დროს ასეთი საწარმოების მფლობელებს საქართველოში, ძირითად შემთხვევაში, განსაკუთრებით, მცირე საწარმოებში, სავალდებულოდ აუცილებელი მეწარმული ცოდნაც, მეწარმული აზროვნებაც კი არ გააჩნიათ.

როგორც მცირე, ისე, საშუალო ბიზნესში პროცესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მეწარმე, ადამიანი, რომელსაც [5, გვ. 193]:

- შეუძლია სამეწარმეო შესაძლებლობების დანახვა;
- აქვს ორგანიზების უანრი;
- აქვს რესურსების მოძიების შანსი.

ცოტა განსხვავებულია მეცნიერების მარკ გრანტის და მაკმილანის მიერ ჩამოყალიბებული სამეწარმეო აზროვნების მახასიათებლები. ისინი მეწარმისგან მოითხოვენ ახალი შესაძლებლობების ჟინის ქონას, ამ შესაძლებლობების მიღწევის გზაზე დისციპლინირებულობის გამოვლენას, საუკეთესო შესაძლებლობაზე არჩევანის შეჩერებას, შესრულებაზე ფოკუსირებას, სხვა ადამიანების პროცესში ჩართვას [5, გვ. 84].

ადამიანებს ეს თვისებები შეიძლება თანდაყოლილიც ქონდეთ. ეს გამონაკლისი შემთხვევებია, ძირითად შემთხვევაში ისინი ამას სწავლობენ. ევროკავშირში სამეწარმეო აზროვნების განვითარების პროგრამები დიდი ხანია რაც დაინერგა. ჩვენ ამ მხრივ, მეტად ჩამორჩენილი ვართ. ამ კუთხით მისასალმებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის ინიციატივა საქართველოს სკოლებში მეწარმეობის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად სწავლების შესახებ [6, გვ. 58]. მისასალმებელია აგრეთვე საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში – 2016-2020 წლები“ სტრატეგიულ მიმართულებად მცირე და საშუალო მეწარმოების უნარების განვითარება სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა [7, გვ. 24].

თუ ეს ინიციატივები შესრულდა და ისევე ქაღალდზე არ დარჩა, როგორც აქამდის ხდებოდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოიტანს სასურველ შედეგს.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში მცირე და საშუალო მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობის განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ ეტაპზე მის განვითარებას საქართველოში ხელს უშლის ინოვაციების ნაკლებობა და მეწარმული უნარის შეზღუდულობა (წინა წლებში მეწარმეები ფინანსებზე ხელმიუწვდომლობას და მაღალ გადასახადებს ასახელებდნენ). საქართველოს მთავრობამ სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ შექმნის პარალელურად უკვე მიიღო ღონისძიებები ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. მთავარია საქართველოს ხელისუფლებამ, შეძლოს ამ ღონისძიებათა დაფინანსება.

ლიტერატურა:

1. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, ირინა ფაფალიოუ, მარია ფსილაკი, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი III, 2011.

2. საქართველოს კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, http://parlament.ge

3. სამადაშვილი უ., ბიზნესცოდნის როლი სიღარიბის დაძლევაში, თსუ, შრომების კრებული, I, ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა, თბ., 2008.

4. Агаев А., Предпринимательство, М., 2004.

5. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი და სხვები, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწ. I-II, თბ., 2009.

6. კელაშვილი ე., სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, 2011.

7. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბ., 2015.

REFERENCES:

1. Hasid, J., et al. Theoretical Principles of Entrepreneurship, Part III, 2011
2. Georgian Law on National Investment Agency, http://parlament.ge
3. Samadashvili, U., The role of business in overcoming poverty , TSU, Proceedings, I, Business and General Welfare, Tbilisi, 2008
4. Agayev, A., Entrepreneurship, M, 2004
5. Theoretical Principles of Entrepreneurship, Hasid, J, et al, Tbilisi, 2009
6. Lekashvili, E., Entrepreneurial mindset and problems of its development in Georgia, j. Micro-Macro Economics, #6, 2011
7. Small and Medium-sized Development Strategy for 2016-2020, Tbilisi, 20015

THE VIABILITY OF SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES

Marika Okromtchedlidze,
PhD Student,
Georgian Technical University

RESUME

The article "*the Viability of Small and Medium-sized Enterprises*" studies the criteria and priorities of entrepreneurship, four aspects of enterprises and sources contributing to their viability. One of the mentioned sources is implementing innovations and excelling entrepreneurial skills among the entrepreneurs.

Furthermore, the article positively evaluates the initiative of the Georgian Government about introducing the compulsory subject entrepreneurship and giving this initiative the 3rd priority in the Georgian SME Development Strategy for 2016-2020.

Keywords: running a small business, running a medium-sized enterprise, viability, priorities, entrepreneurial skills, entrepreneur.

МЕТОДЫ МОДЕЛИРОВАНИЯ ПРИ ИЗУЧЕНИИ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ И В БИЗНЕС-ОБРАЗОВАНИИ

Жанна Толордава
академический доктор экономики

РЕЗЮМЕ

Сегодня значительную часть во всем множестве решаемых проблем, занимают проблемы, связанные со сравнительно новыми для сферы наших компетенций вопросами рыночной экономики, устойчивого развития, экономики знаний и процессами глобализации. Для обеспечения соответствующего уровня решения этих проблем от человека необходимо постоянное углубление полученных знаний и овладение новыми профессиональными умениями, в чем важнейшую роль играют методы обучения и имитационные модели. Естественно, что условия перехода общества на новую инновационную стадию развития, способствуют формированию общества знаний, основными признаками которого становится рост интереса к знаниям, так как именно знания являются важнейшим фактором роста общей производительности труда.

Ключевые слова: экономика знаний, человеческий капитал, бизнес-образование, устойчивое развитие, имитационное моделирование, интерактивные методы обучения.

ВВЕДЕНИЕ

Многими международными организациями признается, что знания необходимы не только для развитых, но и для развивающихся стран, причем для последних будет особенно важен доступ к электронным банкам знаний, облегчающим доступ и овладение новыми научно-техническими достижениями.

Как показывает практика, чем выше уровень образования работников, тем активнее внедряется технологический про-

цесс и повышается потребность общества в инновациях. Знания становятся движущей силой социально-экономического, технологического и культурного развития. В этих условиях на переднем плане оказывается человеческий капитал, посредством которого осуществляются внедрения новых идей, технологий и достигается успешная конкуренция на рынке.

Человеческий капитал – это знания, навыки, творчество, креативные способности человека, его моральные ценности, умение прогнозировать, культура труда и высокая познавательная мотивация, что способствует осуществлению постоянных поисков и открывает дорогу новым открытиям.

Достижение необходимого уровня знаний и использование их в практической деятельности возможно при широком применении различных интерактивных методов обучения, а также имитационным моделированием, получившим широкое распространение в различных отраслях и сферах человеческой дятельности.

Заслуживает внимания модель академика В. Макарова, директора ЦЭМИ РАН [1]. Это по сути компьютерная модель, в которой имитируются действия участников экономики знаний. Количество знаний понимается как равное числу людей, суммарно потребивших все виды знаний. Таким образом, экономика знаний дает тем больший объем своей продукции, чем, с одной стороны, больше видов знаний создано учеными, и, с другой стороны, чем больше людей потребили созданные знания. В частности, получается одинаковый объем знаний в экономике, где ученые произвели только одно знание и это знание потреблено всем населением, и в экономике, где два вида знаний, но каждое из них потреблено только половиной населения. Это означает, что в экономике знаний важна и работа ученых, и работа людей, которые доводят знания до конечного потребления. А каково между ними оптимальное соотношение, может быть установлено экспериментально. Уже этот опыт моделирования процесса демонстрирует преимущества данного

метода в направлении получения знаний, создания представлений об имитируемом объекте и наличии возможности экспериментирования.

Как показал опыт работы Центра имитационного моделирования и интерактивных методов обучения Тбилисского Государственного университета, при подборе методов обучения для экономических дисциплин, проблем устойчивого развития необходимо было аналитически переосмыслить содержание предмета, установить порядок и методы приложения теоретических знаний к будущей профессиональной практической деятельности выпускников университета. С этой целью были выбраны интерактивные методы обучения, которые можно распределить по следующим критериям:

- индивидуальные, соревновательные и методы взаимодействия и взаимной ответственности;
- по способу реализации задач интерактивные, имитационные, «ручные» и компьютерные методы (модели);
- по методам, способствующим углублению знаний, приобретению практического опыта ситуационные, инсценизационные (Role playing), метод инцидента и деловые игры.

Так, для бизнес-образования, для которого характерно множество методов обучения, с помощью которых достигается не только передача теоретических знаний и привитие навыков практической работы, а также реальный опыт будущей профессиональной бизнес-деятельности, наиболее эффективными оказались деловые (симуляционные игры), когнитивные модели, обучающие и экспертные системы, кейс-метод и др. Все эти методы позволяют развивать в студентах такие необходимые для бизнес-деятельности качества, как коммуникативные способности, искусство принятия решений, умение работать в группе, адаптация к изменениям в среде или управление ими. Достоинством перечисленных методов обучения является также их еще один немаловажный аспект – это развитие в студентах способности к социологизации, сущность которой за-

ключается в приобщении человека к определенному обществу или игнорирование его. Это весьма значительный фактор для будущего бизнесмена, так как он в значительной степени является определяющим в достижении успешного бизнеса.

Изучение существующих концепций устойчивого развития и соответствующих имитационных игровых моделей необходимо для того, чтобы сделать необходимые выводы по проблеме изучения одновременного устойчивого экономического и экологического развития. Устойчивое развитие предполагает не только соблюдение допустимой антропогенной нагрузки на окружающую природную среду, но и экономическое развитие, обеспечивающее удовлетворение материальных потребностей людей на уровне, который определяется конкретными социально-культурными условиями общественной жизни.

Лауреат Нобелевской премии Амартия Сен обосновал концепцию «человеческого развития», согласно которой требования к условиям жизни должны включать не только уровень дохода, но и удовлетворение других жизненных ценностей: продолжительности жизни, уровня образования и т.п. [2].

При имитационном игровом моделировании устойчивого развития следует в равной мере учитывать показатели, относящиеся к экологической и экономической области.

Хотя большинство моделей не позволяет дать точный прогноз динамики природно-

хозяйственных объектов и сформулировать рекомендации для лиц, причастных к решению этих вопросов, но модели играют исключительно важную роль в решении экологических проблем, экологическом воспитании и в повышении экологического самосознания.

Именно в этом аспекте имитационные игровые модели оказывают неоценимую услугу при определении наиболее рациональных действий для достижения указанных целей. В деловых играх тематики устойчивого развития, применяемых нами в учебном процессе, используются модели, в которых решаются

проблемы выбора правильной стратегии приемлемого варианта хозяйственной деятельности с учетом охраны окружающей среды.

В целом все применяемые нами деловые игры представлены в их так называемом, «ручном варианте», а также в виде сочетание компьютерного моделирования с традиционными игровыми приёмами. То есть – это не просто диалоговый режим с компьютером, а принятие решений в ходе непосредственного диалога игроков, которые используют компьютер для расчета вспомогательных моделей, необходимых для обоснования и выбора наиболее рациональных решений. Одновременно компьютер используется и для того, чтобы реализовать сценарии компьютерной имитации; находить решения оптимизационных задач управления; получать экспертные рекомендации. Таким образом достигается эффективное обучение студентов и, соответственно, повышение уровня их знаний, а также формирование их профессиональной идентичности, что так важно для становления будущего специалиста.

ЛИТЕРАТУРА:

1. Макаров В. академик, директор ЦЭМИ РАН. Экономика знаний: уроки для России, 2004 http://www.logistics.ru/9/22/i20_3041.htm

2. Tolordava J., Environmetntal simulation games and Ecopsichology. YIII International Congress of Psichology and Education. Alicante Espagne 2016

3. Tolordava J., D.De Tombe, D.N.Kavtaradze, G.Panizzi, P.Rizzi, E.Leigh. Internazional experience in simulation modeling: economics and business, ecology, sociology. The monograph.Iv. Javakhishvili Tbilisi state University Press. 2013.

4. D. Kavtaradze, E. Likhacheva. Sustainable Development: From Con¬cepts to Models /// Sustainability Analysis: an Interdisciplinary Approach / [edited by] Stanislav Shmelev, Irina Shmeleva. – Hampshire, Great Britain: Palgrave Macmillan, 2012.

THE METHODS OF MODELING IN THE STUDIES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND IN BUSINESS EDUCATION

Zhanna Tolordava,
Academic Doctor of Economics

RESUME

The article covers the issues of education within the context of formation of the economy of knowledge, which, accordingly, creates the pressure of higher qualifications of the future specialists engaging in the national economies. To ensure an appropriate level of solving the posed problems a specialist is required to continually develop the acquired knowledge and master new professional skills, in which the simulation models play the most important role.

Key words: modeling, sustainable development, professional skills, business education.

მოდელირების მეთოდები მდგრადი განვითარების პრობლემების შესწავლის დროს და ბიზნეს-განათლებაში

ჟანა თოლორდავა,
ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია განათლების საკითხები ცოდნის ეკონომოკის ჩამოყალიბების პირობებში, რაც მაღალ მოთხოვნებს უყენებს ეროვნული ეკონომიკის სპეციალისტებს. აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად პიროვნებას მოეთხოვება მიღებული ცოდნის მუდმივი გაღრმავება და ახალი პროფესიული უნარების ფლობა, რაშიც დიდი როლი ენიჭება იმიტაციურ მოდელებს.

ენერგოდაზოგვა საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება

მაყვალა ზარიძე
სდასუ დოქტორანტი

რეზიუმე

ენერგოეფექტიანობა და ენერგოდაზოგვა განვითარებული საზოგადოების მახასიათებელი ნიშანია. ენერგიის ეკონომიურად მოხმარებისას იზოგება სახელმწიფო სახსრები. საქართველოში არსებობს ენერგოეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფის და სახელმწიფო გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობამ დღეს განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელმწიფომ განახორციელოს ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ღონისძიებები. ამავე დროს, გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის აუცილებლობა. თითოეული მოქალაქის ვალია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს საქართველოს მდგრად და ენერგოეფექტურ მომავალზე.

ენერგიის ეფექტური გამოყენება გვაძლევს საშუალებას, შევამციროთ ენერგიაზე მოთხოვნა, რაც შედეგად მოიტანს გარემოს დაბინძურების შემცირებას. ამასთან ენერგოეფექტურობა ხელს უწყობს არამარტო ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, არამედ ეკონომიკურ ზრდასაც.

საკვანძო სიტყვები: ენერგოეფექტიანობა, ენერგოდაზოგვა, ენერგეტიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, განახლებადი ენერგია, აშშ, ევროკავშირი, იაპონია.

ძირითადი ტექსტი

ენერგოდაზოგვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი ქვეყანა ენერგორესურსებით მდიდარი არ არის და საკუთარი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად რესურსების გარედან შემოტანა უხდება, ენერგოდაზოგვის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს. ეს არის მოხმარებული ბუნებრივი გაზის მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. შორეული გადაზიდვები კი, რაც არ უნდა რაციონალური იყოს, მძიმე ტვირთად აწვება თითოეულ საწარმოსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას.

ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ჩვენი ქვეყნისათვის. რესურსების ეკონომია ამცირებს მოთხოვნებს როგორც საკუთრივ თავის თავზე, ასევე მომსახურე დარგებში საჭირო დანახარჯებზე. ამავე დროს, საშუალებას გვაძლევს შევამციროთ კაპიტალური დაბანდებები ნედლეულის მოპოვებასა და მომპოვებელი მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობათა წარმოებაზე, დაზოგილი სახსრები შეიძლება გამოვიყენოთ მოხმარების საგნების წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს განსავითარებლად, ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

გერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში მოპოვებული სათბობის სასარგებლო გამოყენების დონე ბოლო წლებში დაახლოებით 15-16%-ს უდრიდა, ხოლო დანარჩენი 84-85% იკარგებოდა წიაღისეულის, კერძოდ, სათბობის მოპოვების, გამდიდრების, ტრანსპორტირების, ენერგიის გარდაქმნისა და გამოყენების დროს.

სათბობ-ეკონომიკური რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საცხოვრებელი პირობები კომფორტის დონეზე ბევრად დაბალია, რადგან ვერ იხდიან გადასახადებს ელექტროენერგიასა და გაზზე. ამიტომ აუცილებელია არსებულ საზო-

გადოებრივ შენობებში განახლებადი ენერგიისა და ენერგიის დაზოგვის საშუალებების დანერგვა, მათი საცხოვრებელი თუ სამუშაო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის. ენერგოეფექტიანობის დანერგვა სრულიადაც არ ნიშნავს ენერგოუზრუნველყოფის ხარისხის გაუარესებას, არამედ პორიქით, საყოფაცხოვრებო სექტორში ასეთი ღონისძიების გატარებით საცხოვრებელი უფრო ჯანმრთელი და კომფორტული ხდება.

საქართველოსთვის ენერგიის დაზოგვის საკვანძო მიმართულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში; ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და რეგიონული სტრუქტურის სრულყოფა; ენერგიის განახლებადი სახეობებისა და მცირე მდინარეთა ენერგიის გამოყენების გაფართოება, ენერგოდაზოგვაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა.

ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები ზოგავს მომხმარებლის ფინანსურ რესურსებს, ამცირებს რა მოხმარებული ენერგიის რაოდენობას და შესაბამისად, ამ ენერგიის ჯამურ ღირებულებას. ამავდროულად, ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების განხორციელება და მიღებული დანაზოგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თავისი წვლილი შეაქვს ასევე სამუშაო ადგილების შექმნაში და წარმოადგენს ინოვაციების განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან საფუძველს, რადგან თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის წინაპირობა აქამდე არარსებული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარებაა.

ენერგოეფექტიანობაში ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გარემოს დაცვას უკავშირდება. დაზოგილი ენერგია გარემოს დაბინძურების შემცირების წინაპირობაა, რადგან, როგორც ცნობილია, წიაღისეული ენერგეტიკული რესურსის გამოყენებას თან ახლავს მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (სათბური გაზების ემისია) როგორც საყოფაცხოვრებო და კომერციულ, ასევე ტრანსპორტის სექტორში. ენერგოეფექტი-

ანობა ზრდის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონესაც, ამცირებს რა გარე დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგიაზე და ბოლოს, კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, ენერგოეფექტიანობა აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო ენერგოეფექტიანობას განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტულია გარემოსდაცვითი საკითხები და სათბური გაზების ემისიის შემცირება, რაც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდება. საქართველოსთვის ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ევროკავშირის დირექტივები, რომელთა განხორციელებაც სავალდებულოა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში.[1]

რეკომენდაციების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში ენერგოეფექტიანობის სახელმწიფო ხედვის და პოლიტიკის არასათანადო არსებობის გამო, ვერ ხერხდება ენერგოეფექტიანობის ენერგეტიკული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური სარგებლის მიღება. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის კანონი ენერგოეფექტიანობაზე, აღნიშნული გარემოება ასევე ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციის ინტერესებს.

ენერგოეფექტიანობის დანერგვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში წარმოადგენს ენერგოეფექტიანობის მნიშვნელობის სამთავრობო ხედვის არასათანადო არსებობა, რაც რეგიონში და მეტნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გამონაკლისს წარმოადგენს.

საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების თითქმის ნახევარი მოსახლეობაზე მოდის. აქედან 20-25% იხარჯება ბინების განათებაზე. ამას ემატება გარე განათებაზე, სახელმწიფო და კერძო უწყებების შენობების განათებაზე დახარჯული ენერგიის სიდიდეც. მოხმარების ნახევარზე მეტი მოდის ქ. თბილისზე. დაბალი ენერგოეფექტიანობის მქონე ასეთი მოხმარე-

1 საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში. თბილისი, 2015 წ.

ბა აუარესებს ეკოლოგიურ სიტუაციას, იწვევს რა სათბური გაზების ემისიას. ჩვენს ბაზარზე რამდენიმე წელია ადგილი დაიკავა ე.წ. ენერგოდამზოგავმა ნათურებმა. ნათურების უახლესი ტექნოლოგია ე.წ. დუვ ნათურები ენერგიის 10-ჯერად დაზოგვას ახდენენ და 50 ათას საათზე მეტი მუშაობის რესურსი აქვთ. სამეცნიერო შედეგები განხილული ნათურების ენერგოეფექტიანობის ამაღლების (98%-მდე) საშუალებას იძლევა და ამიტომ საქართველოში შესაბამისი პროდუქციის წარმოების პერსპექტივა არსებობს. ასეთი ნათურების გამოყენებით საქართველოში დაიზოგება მინიმუმ 1-1.5 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია წელიწადში, (3-4 ნათურა ერთ ოჯახში). მოსახლეობა იყენებს ძველი ტიპის არაენერგოეფექტიან საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობებს. თანამედროვე ენერგოდამზოგველი ელექტრომოწყობილობების გამოყენებით თბილისის მოსახლეობა დაზოგავს დაახლოებით 350 მლნ კვტ/სთ-ს. ამგვარად, ენერგოეფექტიანობის მინიმალური პოტენციალი დღეს დაახლოებით 2.0-2.5 მლრდ კვტ/სთ-ის ტოლია, რაც მთელი მოხმარების 20-25%-ს შეადგენს. ენერგოდაზოგვა ელექტროენერგიის მოპოვების გაცილებით სწრაფი და იაფი ხერხია, ვიდრე ენერგიის წყაროს (ჰიდროელექტროსადგურის) მშენებლობა.[1]

ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგოდაზოგვის ფაქტორს. საქსპერტო გათვლებით, ენერგოეფექტიანობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით ერთი მესამედის ტოლია. ამდენად, იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად. ს ა ქართველოში როგორც მრეწველობაში, ისე საყოფაცხოვრებო სექტორში, ბოლო წლებში მართალია უფრო ფართოდ ინერგება თანამედროვე ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, მაგრამ მათი გამოყენების დონე ჯერჯერობით მაინც არასახარბიელოა.

ენერგოეფექტიანობის და ენერგოდაზოგვის აქტუალობა

1 დ. დვალი, ჯ. ტოგონიძე, ნ. პანასენკო - ენერგოეფექტურობა და ალტერნატიული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების პერსპექტივები, თბ. 2012წ.

განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: ენერგოშემცველების (ნახშირწყალბადების) მარაგების შემცირება; ენერგოშემცველებზე, თბურ და ელექტროენერგიებზე ფასების მკვეთრი და შეუქცევადი ზრდა; თითქმის ყველა სახის ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისას გარემოზე მავნე ზემოქმედება.

მოწინავე ქვეყნების პროგრესულ მთავრობებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტიანობა არის სწრაფად განხორციელებადი, იაფფასიანი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყარო. 1 კვტ სიმძლავრის დაზოგვა ჯდება ათჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე იგივე სიმძლავრის ენერგიის გამომუშავება ელექტროსადგურით.[1]

ენერგიას ძირითადად მოვიხმართ განათებისთვის, შენობების გათბობა-გაგრილებისთვის, წყლის გასათბობად, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკის ექსპლუატაციისთვის, პროდუქტისა და მომსახურების წარმოებისთვის, ტრანსპორტირებისთვის და ა.შ. საუკუნეების მანძილზე ადამიანები ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ ტექნოლოგიები საკუთარი კომფორტისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ამავდროულად დაეზოგათ ენერგია, მაგრამ მე-20 საუკუნეში წიაღისეული რესურსების ამოწურვისა და გლობალური დათბობის საფრთხის გათვალისწინებით, რაც რეალურად ფასებზეც აისახა, ინტენსიურად დაიწყეს ფიქრი ენერგიის ეფექტურად გამოყენებაზე.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს კვლევები, ენერგიის დაზოგვის თუ რა პოტენციალი არსებობს ენერგოეფექტიანი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში. მაგალითისთვის, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ცნობით დაახლოებით 90 მილიარდი კვტ.სთ ენერგიის დაზოგვა არის შესაძლებელი მხოლოდ შენობებში, წლიურად, ხოლო სხვადასხვა სექტორებში, ენერგოეფექტიან ღონისძიებებში 520 მილიარდი

1 აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა - ენერგოეფექტურობა - ქვეყნის განვითარების გარდაუვალი აუცილებლობაა. 2016წ

დოლარის ინვესტიციის შემთხვევაში, 1.2 ტრილიონი დოლარის ღირებულების ენერგიის დანაზოგის გაკეთება იქნება შესაძებელი 2020 წლამდე[1].

საქართველოში საცხოვრებელი სახლის გათბობას 2-3-ჯერ მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე ასეთივე კლიმატურ პირობებში მდგარი სახლის გათბობას დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ეს იმიტომ, რომ არც ძველ და არც ახალ შენობებში არ არის გათვალისწინებული შენობების ენერგეტიკული მაჩვენებლები. შესაბამისად, საქართველოში ენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს, არამარტო შენობებში არამედ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებშიც.

ქვეყნის ეკონომიკის ენერგოეფექტიანობის მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაზე ენერგიის ხარჯით იანგარიშება[2]. რაც უფრო მცირე რაოდენობის ენერგია იხარჯება პროდუქტისა და მომსახურების წარმოებისას, მით უფრო ეფექტურია წარმოება. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ ეკონომიკის ენერგოინტენსივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შვეიცარიას აქვს, ხოლო 2000დან 2010 წლამდე ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებით სლოვაკეთია ლიდერი.



სურ: ეკონომიკის ენერგოინტენსივობა ქვეყნების მიხედვით
(წყარო: OECD Factbook 2011-2012)

1 http://green.blogs.nytimes.com/2009/07/29/success-stories-in-energy-efficiency/

2 მოხმარებული ენერგიის რაოდენობა (ტონა ნავთობის ექვივალენტი) გაყოფილი წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაზე (1000 აშშ დოლარი)

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ ენერგოეფექტიანი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას, რადგან წიაღისეული ენერგორესურსების ამოწურვისა და მათზე ფასების ზრდის გამო ეკონომიკური განვითარება არ შეაჩერონ. ამისათვის დამატებით კანონებსა და რეგულაციებს იღებენ.

აშშ-ში ენერგოეფექტიანობა რეგულირდება, როგორც ფედერალურ ისე შტატის დონეზე. აქტიურად ხორციელდება პროგრამები ენერგოეფექტიანი შენობების განვითარებისათვის, რომლებიც 70%-ით ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და საერთოდ არ ზრდის სამშენებლო ღირებულებას. კალიფორნიის შტატი, საუკეთესო მაგალითია იმისა თუ ენერგოეფექტიანი ღონისძიებებით როგორ შეიძლება წლების მანძილზე ენერგომოხმარება წარმოების განვითარებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად დარჩეს იგივე, მაშინ როცა სხვა დანარჩენ შტატებში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა. აშშ-ს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ენერგოეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობის რენტაბელური და წარმატებული სტრატეგიაა.

ევროკავშირის 2010 წელს მიღებული 20-20 სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ენერგომოხმარების 20%-ით შემცირება წარმოადგენს 2020 წლისათვის 1990 წელთან შედარებით. აღნიშნული პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თითოეული ოჯახის ფინანსური დანაზოგი 1000 ევროს შეადგენს წლიურად, გაიზრდება ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა, შეიქმნება დაახლოებით 2 მილიონი სამუშაო ადგილი და 740 მილიონი ტონით შემცირდება ნახშირორჟანგის გაფრქვევა.

იაპონიას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ენერგოდაზოგვის საკითხებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჯერ კიდევ 1979 წლიდან მოქმედებს კანონი ენერგიის კონსერვაციის შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო ორი გლობალური ნავთობკრიზისი და რომლის მიზანსაც ენერგიაზე მოთხოვნის შემცირება წარმოადგენდა.

ენერგორესურსების არარაციონალულად გამოყენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ენერგო-

ეფექტიანობის, ენერგოდაზოგვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებში და, ასევე, ეკონომიკური პირობები და დაფინანსების ნაკლებობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ენერგოდაზოგვის ღონისძიებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

უფრო რციონალური და ეფექტური ენერგიის წარმოება და გამოყენება, საწარმოებისა და სოციალური სექტორის ინფრასტრუქტურის განახლება, ინოვაციური განვითარება არის ეკონომიკის ზრდისა და სრულყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალება. საქართველოს სახელმწიფომ გადაუდებლად უნდა განახორციელოს ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეფექტური ღონისძიებები და რადიკალურად უნდა შეცვალოს ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული დღევანდელი პოლიტიკა.

დასკვნა

ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით საქართველო იღებს ვალდებულებებს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებაზე. ქვეყანამ უნდა შეაფასოს არსებული ენერგეტიკული სისტემის რესურსები, დაადგინოს მისი გაუმჯობესების გზები, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები და შეიმუშაოს ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის სტრატეგია.

ადგილობრივი ენერგორესურსების მოხმარების შემცირება მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ამჟამად არსებული ენერგეტიკული და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, გაზრდის ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მისი ენერგოტევადობის შემცირების ხარჯზე. ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.

ლიტერატურა:

1. დ. დვალი, ჯ. ტოგონიძე, ნ. პანასენკო - ენერგოეფექტურობა და ალტერნატიული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების პერსპექტივები, თბ., 2012.;

2. დ. ჩომახიძე. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბ., 2003.;

3. https://www.iea.org/topics/energyefficiency/ - საერთაშორისო ენერგიის სააგენტო;

4. http://www.eecgeo.org/ge/homeg.htm - საქართველოსენერგოეფექტურობის ცენტრი;

5. http://green.blogs.nytimes.com/2009/07/29/success-stories-in-energy-efficiency/ .

6. http://www.energy.gov.ge/

7. http://www.gnerc.org/

REFERENCES:

1. Dvali D., Togonidze G., Panasenko N. - Energy efficiency and prospects of alternative renewable energy sources, Tbilisi, 2012 (in Georgian Language);

2. Chomakhidze D. - Georgia's energy security, Tbilisi, 2003 (in Georgian Language);;

3. https://www.iea.org/topics/energyefficiency/- International Energy Agency

4. http://www.eecgeo.org/ge/homeg.htm- Georgia Energy Efficiency Center;

5. http://green.blogs.nytimes.com/2009/07/29/success-stories-in-energy-efficiency/ .

6. http://www.energy.gov.ge/

7. http://www.gnerc.org/

ENERGY SAVING IN GEORGIA AND THE WORLD EXPERIENCE

Makvala Zaridze
DAUG,PhD student

RESUME

The energy efficiency and energy saving are characteristic of the developed society. When economically consuming energy, the state funds are enriched. There is a significant potential for increasing the energy efficiency in Georgia. The necessity of improving the legislative normative base, regulating these issues and the necessity of developing a long-term strategy for the country has emerged today.

It is important that the State of Georgia will carry out the measures aimed at the long-term period of utilization of renewable sources of energy. At the same time, the necessity of civil sector involvement in the solution of these problems was identified. Every citizen's duty is to take active part and take its share of responsibility for Georgia's sustainable and energy-efficient future.

The effective energy use allows us to reduce the energy demand, resulting in the reduction of environmental pollution. In addition, the energy efficiency promotes not only the energy security of the country, but also the economic growth.

Key words: Energy Efficiency, Energy Saving, Energy, Energy Security, Renewable Energy, USA, EU, Japan.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

მარიკა ოქრომჭედლიძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში საკითხი განხილულია სხვადასხვა ქვეყნების ჭრილში. განვითარებული ქვეყნების მაგალითებად წარმოდგენილია აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და იაპონია. პოსტსოციალისტურ ქვეყნების მაგალითებად კი – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა (ბელორუსი, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა).

გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველა ქვეყნის მთავრობა მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, განვითარება, დაბეგვრა, დაკრედიტება, საკონსულტაციო მომსახურება.

ძირითადი ტექსტი

შესავალი

კაცობრიობის მთელი ისტორია დაკავშირებულია ბიზნესთან. თვით პირველყოფილ თემშიც კი იყვნენ ადამიანები, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო გარკვეული სამეწარმეო აქტივობა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახდა, შემდეგ კი მან განვითარების პიკს მიაღწია. ევროპაში თვითრეგულირებად ბიზნესს თითქმის ათასწლოვანი ისტორია აქვს. შემდეგ იგი გავრცელდა ამერიკის კონტინენტზე და აზიის ქვეყნებში.

დღეს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება მხარს უჭერს ბიზნესის, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. იგი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ხერხემალს მოსახლეობის მასიური დასაქმების ადგილს და მათი შემოსავლიანობის ამაღლების წყაროს.

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მხარდაჭერა განვითარებულ ქვეყნებში

მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანა არის ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1942 წელს მიიღეს კანონი მცირე ბიზნესის შესახებ", შექმნილია მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია. მცირე ბიზნესის განვითარება აშშ-ში ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებიდან, ანუ „დიდი დეპრესიის" წლებიდან დაიწყო. დღეისათვის აშშ-ში 27 მლნ მცირე საწარმოა, მათგან 6 მლნ საწარმოში საშუალოდ 20-მდე ადამიანი მუშაობს.

აშშ-ში მცირე საწარმოთა რიცხვი მუდმივად იზრდება, 80-იან წლებში ამერიკაში მხოლოდ 13 მლნ მცირე საწარმო იყო გახსნილი (მათგან ყველაზე მეტი ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში და მომსახურების სფეროში.

ამერიკის შეერთებულ სტატებში სამუშაო ადგილების 75%-ს მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან [1, გვ. 5].

აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების სააგენტო, რომელშიც 3700 ადამიანი მუშაობს, სამთავრობო დონეზე იცავს მცირე და საშუალო საწარმოს ინტერესებს. მას ყველა შტატში და 90 მსხვილ ქალაქში გახსნილი აქვს განყოფილება 30-40 კაცის შემადგენლობით. ყველა ისინი ჩართული არიან ერთიან კომპიუტერულ ქსელში, რის შედეგადაც სააგენტო ადვილად ახერხებს მათ საჭიროებებზე ოპერატიულ რეაგირებას. მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებაში სააგენტო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებში თანადგომას [2]:

1. საქონლის შესყიდვების სფეროში სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადება.
2. კაპიტალზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (დაფინანსება-სუბსიდირება, კრედიტების აღებაში თავდებობა, შეღავათიანი სესხების გაცემა და ა. შ.).
3. სამეწარმეო განათლების ამაღლებაში ხელშეწყობა (ტრენინგები, კონსულტაციები).
4. ადვოკატურა (მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა სასამართლოსა და პროკურატურაში).

აშშ-ში მცირე საწარმოები რაიმე განსაკუთრებული შეღავათიანი რეჟიმით არ იბეგრებიან. ერთადერთი გადასახადი, რომლის გადახდისაგანაც ისინი თავისუფალი არიან,არის გადასახადი კაპიტალის ნამატზე, ანუ დივიდენდზე, ანდა შემოსავალზე აქციების გაყიდვიდან. რადგან ამერიკაში დიფერენცირებულია მოგების გადასახადის განაკვეთი და იგი მოგების სიდიდეს უკავშირდება, მცირე და საშუალო საწარმოებს ნაკლები გადასახადის გადახდა უწევთ მსხვილ საწარმოებთან შედარებით. მაგალითად, როცა საწარმოს მოგება არ აღემატება 50000 აშშ დოლარს, ის იხდის მხოლოდ 15% გადასახადს, ხოლო, თუ აღემატება 10 მლნ აშშ დოლარს, ის იხდის 35%-ს. პირველი, მცირე საწარმოა, მეორე მსხვილი საწარმო.

დიდ ბრიტანეთშიც შექმნილია მცირე საწარმოთა განვითარების სამსახური. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს მცირე საწარმოთა პოტენციალის სრული გამოვლენა, გამოხატოს და დაიცვას მათი ინტერესები ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში.

დიდ ბრიტანეთში მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვი 2,6 მლნ-ია. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანი შიდა პროდუქტის 53%-ს შეადგენს. მცირე ბიზნესში დასაქმებულია 13,6 მლნ კაცი, ანუ დასაქმებულია 49%.

დიდი ბრიტანეთში ბიზნესი მცირეს მიეკუთვნება, ძირითადად, დასაქმების მაჩვენებლით. ერთ საწარმოსთვის იგი 50 კაცს შეადგენს.

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესისადმი თანადგომა გამოიხატება ტექნოლოგიების და ინფორმაციის მიწოდებაში, კონსულტაციებში, ბიუჯეტიდან სუბსიდირებაში, მუშაკთა კვალიფიკაცის ამაღლების დაფინანსებაში და ა. შ.

დიდი ბრიტანეთის მცირე საწარმოებს გარკვეული შეღავათები აქვთ აღრიცხვა-ანაგრიშგებაში და საგადასახადო საქმეში. თუ მათი წლიური შემოსავალი 15 000 ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია, მაშინ ისინი ადგენენ მარტივ საგადასახადო დეკლარაციას. მცირე საწარმოებს უფლება აქვთ დასაბეგრი ბაზიდან გამოქვითონ ახ-

ალი შენობის და ნაგებობის ღირებულების 40% (ეს ეხება საწარმოებს, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 11,2 მლნ ფუნტ სტერლინგს). თუ აქტივების ღირებულება არ აღემატება 2,8 მლნ ფუნტ სტერლინგს, მაშინ, საწარმოს შეუძლია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შეძენისთვის გაწეული თანხები მთლიანად ჩამოწეროს და ა. შ.

ბრიტანეთის მთავრობის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ბრიტანეთის მცირე საწარმოები ყველაზე საიმედო არიან ევროპაში. აქ რეგისტრირებული მცირე საწარმოების 90%-ზე მეტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ფუნქციონირებს, ხოლო 70% სამი და მეტი წლის განმავლობაში [3].

მცირე მეწარმეობას **საფრანგეთის** ეკონომიკაშიც წამყვანი პოზიციები უჭირავს. აქ უპირატესად იგი განვითარებულია მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, ხე-ტყის გადამუშავებაში. მცირე მეწარმეობაში დასაქმებულია საფრანგეთის შრომითი რესურსების 50% [4, გვ. 89].

მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად საფრანგეთის სახელმწიფო მრავალ ღონისძიებას ატარებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შეღავათიანი დაბეგვრა და დაკრედიტება. ამ ქვეყანაში მცირე მეწარმეობის დასაკრედიტებლად შექმნილია სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა მიერ გაცემული კრედიტები გაცილებით იაფია, მცირე საწარმოები სარგებლობენ საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებში შეღავათებითაც [4, გვ. 89]. საფრანგეთში სტატუსმინიჭებულ მცირე საწარმოს გადახდება 19%-იანი გადასახადი, მაშინ როცა, მისი სტანდარტული განაკვეთი 33%-ია.

გერმანია მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას ყოველთის უწყობდა ხელს. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მას მოქმედებაში 500-ზე მეტი პროგრამა აქვს. ამ პროგრამებით ბიზნესის მხარდაჭერა გამოიხატება [5]:

- სახელმწიფო საინვესტიციო წანამატით;
- სახელმწიფო სუბსიდირებით;
- შეღავათიანი კრედიტის გაცემით (საკრედიტო სუბსიდია).

საინვესტიციო წანამატი გერმანიაში არ იბეგრება. შეღავათიანი კრედიტი ან დაბალ პროცენტიანია, ან გაიცემა ხანგრძლივი პერიოდით და პირველი ორი წელი თავისუფალია ყველანაირი გადასახადისგან, ან კრედიტის დაბრუნების შესაძლებლობა დროის თვალსაზრისით არ არის შეზღუდული.

ესპანეთშიც შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მრავალი პროგრამა. მეწარმე პირველი 5 წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე შეუძლია ისარგებლოს უვადო კრედიტით. ესპანეთში განსაკუთრებულად ხელს უწყობენ ისეთ მცირე საწარმოებს, რომელთა არსებობა ხელს უწყობს ნაკლებად განვითარებული რეგიონების წინსვლას [1, გვ. 45].

მცირე მეწარმეობის განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა **იაპონია.**ამ ქვეყანაში მცირე მეწარმეობაზე მოდის სამრეწველო პროდუქციის 55%, ექსპორტის 40%. მცირე საწარმოები სამუშაოთი უზრუნველყოფენ დასაქმებულთა 80%-ს.

იაპონიაში არსებობს სამთავრობო დაწესებულება – „მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია“, რომელიც მცირე ფირმებს აძლევს შეღავათიანი სარგებლის კრედიტს — არაუმეტეს 5% წელიწადში [4, გვ. 89].

2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მხარდაჭერა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში – მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან ინტენსიურად დაიწყო მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. ეს სფერო გახდა მათი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი. სახელმწიფოები აქტიურად უჭერენ მათ განვითარებას მხარს. **პოლონეთში** ფუნქციონირებენ რეგიონული განვითარების ფონდები. ისინი გასცემენ მცირე და საშუალო საწარმოების გარანტიებს სესხის აღებისთვის, იძლევიან სხვადასხვა კონსულტაციებს. **ჩეხეთში** შექმნილია რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები. ისინი ეწევიან ანალიტიკურ მომსახურებას, საგადასახადო

კონსულტირებას, სესხის ასაღებად დოკუმენტების მომზადებას და სხვას. **რუმინეთში** ჯერ კიდევ 1980 წელს მიიღეს კანონი მცირე მეწარმეობის განვითარების შესახებ“, ხოლო **ბულგარეთში** 1984 წელს შეიმუშავეს მცირე და საშუალო საწარმოების დაჩქარებული განვითარების პროგრამა [4, გვ. 91].

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საინტერესოა რუსეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის და სხვათა მაგალითი. **რუსეთში** შექმნილია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტო, მცირე მეწარმეობის განვითარების ასოციაცია და მცირე მეწარმეობის განვითარების ფონდი. სააგენტოს აქვს 50-ზე მეტი რეგიონული განყოფილება, რომლებიც განიხილავენ საინვესტიციო პროექტებს, უწევენ მეწარმეებს კონსულტაციებს, ახორციელებენ აუდიტორულ მომსახურებას, ეხმარებიან კონტრაქტების დადებაში, აღმოუჩენენ დახმარებას სამართლებრივ საკითხებში [6]. **აზერბაიჯანში** ფუნქციონირებს 40-ზე მეტი საკონსულტაციო ცენტრი. **ბელორუსიაში** გახსნილია „ბელბიზნესცენტრი“ თავისი მრავალრიცხოვანი ფილიალებით, რომლებიც კონსულტაციებს აძლევენ პოტენციალურ მეწარმეებს ბიზნესის დაწყების , სერტიფიცირების და დაბეგვრის საკითხებში. ეს ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

საერთოდ, თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელია დაბეგვრის სპეციალური შეღავათიანი გამარტივებული რეჟიმის შემოღება, რომელიც მცირე საწარმოებისთვის ფიქსირებული გადასახადის შემოღებაში გამოიხატება. ჩვენს გარდა იგი შემოიღო 8 ქვეყანამ – აზერბაიჯანმა, უნგრეთმა, ბულგარეთმა, სომხეთმა, ყაზახეთმა, ლიტვამ და მოლდოვამ (ცხრილი 1).

უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების მცირე მეწარმეებში ფიქსირებული გადასახადი დიდი მოწონებით სარგებლობს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მცირე მეწარმეებს აქვთ დაბალი სამეწარმეო ცოდნა (ან საერთოდ არა აქვთ იგი, რადგან სოციალისტურ სისტემაში იგი არ ისწავლებოდა), და თუ მსხვილ საწარმოს დარად დაიბეგრებიან, მათ დასჭირდებათ კონსულტანტების აყვანა-დაქირავება, რაც დამატებით ხარჯებს უკავშირდება.

ცხრილი 1

ფიქსირებული გადასახადით მცირე საწარმოთა დაბეგვრა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში [7, გვ. 4].

ქვეყანა	გადასახადის სახე	შინაარსი
სომხეთი	ფიქსირებული	დაუწესდა 30 კვმ ფართობის ნაკლებ საწარმოს – სალონს, ვაჭრობას, გზის სადგურებს
აზერბაიჯანი	გადასახადი მთლიან ბრუნვაზე	დაუწესდა 2% გადასახადი მთლიანი ბრუნვიდან იმ საწარმოებს, რომელთა ბრუნვა არ აღემატება დაბეგვრიდან გათავისუფლებული მინიმალური ხელფასის 300 მაგ ოდენობას
ბელორუსი	ფიქსირებული	დაუწესდა 25 კვმ ფართობის მფლობელს საზკვებაში, გამოფენებზე და ბაზრობებზე მოვაჭრეებს
ბულგარეთი	ფიქსირებული	დაუწესდა ინდმეწარმეებს 75 000 ლევ-ზე ნაკლები წლიური ბრუნვისას
უნგრეთი	ფიქსირებული	მიეცათ არჩევანი მცირე საწარმოებს ფიქსირებულ გადასახადსა და ჩვეულებრივ გადასახადს შორის
ყაზახეთი	ფიქსირებული	მიეცათ მცირე საწარმოებს არა უმეტეს დასაქმებული 15 კაცისა და ბრუნვით 4,5 მლნ ტენგესი
ლიტვა	ფიქსირებული	მიეცათ არჩევანის უფლება ფირმებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში 26 000 დოლარზე ნაკლებია
მოლდოვა	ფიქსირებული	მიეცათ ინდმეწარმეებს, რომლებიც შეიძენენ ყოველთვიური გადახდის პატენტს

დასკვნა

საზღვარგარეთის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი უფრო განვითარებულია ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, ვიდრე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ამის მიუხედავად, ყველგან, მას დიდი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა აქვს.

ლიტერატურა:

1. Калинин А., Анализ развития и состояния малого и среднего бизнеса в мире, ж.: «Экономика, предпринимательство и право», М., 2011, №4.

2. Виталисова Н., Бизнес-журнал Онлайн, 2005, 19-го августа.

3. მეწარმეობის პრობლემების სისტემური გამოკვლევის ეროვნული ინსტიტუტის ვებ-გვერდი – www.nisse.ru.

4. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე. და სხვები. მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004.

5. მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევის ინსტიტუტის ვებ-გვერდი – www.ifm-bonn.org.

6. Брагина Е., Малое предпринимательство в переходной экономике, ж.: «Мировая экономика и международные отношения, М., 2001, №1.

7. Engelschalk M. Creating a Fonorable Eorvironment for Small Business Development in Transition Countries. Paper presented at Conferenc on the Hard-to-Tax. Andrew Young School of Public Policy. Georgia State University, 2003.

REFERENCES:

1. Kalinin A., *Analysis of development and state of small and medium-sized business in the world*, J. Economics, Entrepreneurship and Right, M., 2011, #4

2. Vitalisova N., Business Journal Online, 2005, 19 August

3. Official website of National Institute forSystemic Problems Research of Entrepreneurship. www.nisse.ru.

4. Ghudushauri, Z., Baliashvili E., et al. Entrepreneurship, Small Business: Theory and Practice, Tbilisi, 2004

5. Official website of Small and Medium-sized enterprise research www.ifm-bonn.org.

6. Bragina E., Small business management in transition economy, J. Global Economy and International Relations, M., 2001, #1

7. Engelschalk M., Creating a Favorable Environment for Small Business Development in Transition Countries. Paper presented at

Conference on the Hard-to-Tax. Andrew Young School of Public Policy. Georgia State University, 2003.

THE SUPPORTING POLICY FOR THE SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES IN THE FOREIGN COUNTRIES

Marika Okromtchedlidze,
PhD Student,
Georgian Technical University

RESUME

The article "*The Supporting Policy for the Small and Medium-sized Enterprises (SME) in the Foreign Countries*" studies SMEs operating in the developed and post-socialist countries. The examples of the developed countries are the USA, Germany, the UK, Spain, France and Japan, whereas the East-European countries and some post-soviet countries such as Belarus, Azerbaijan, and Russia are analyzed as the examples of post- socialist countries.

The author summarizes the article with the assumption that all governments in given examples do support the development of SMEs.

Keywords: running a small business, running a medium-sized enterprise, government support, development, taxation, crediting, consulting.

2017 წლის ჟურნალის ნომრების შინაარსი

შინაარსი - N1

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე - მოგების გადასახადის რეფორმის ძირითადი ასპექტების შესახებ----------6
ინგა გიგაური, იულია თედეევი, ნიკა ზურიკაშვილი - ეკონომიკური მდგომარეობის შუქ-ჩრდილები საქართველოში ----- 18

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

დიანა უგლავა - სოციალური დაცვის სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში ---------- 32
რევაზ შენგელია, მეგი ანანიძე, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია -საინვესტიციო გარემო - ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი---------- 56
ასიე ცინცაძე , ბექა ფუტკარაძე - ფინანსური ინტეგრაციის გავლენა საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ცვლილებაზე ---------- 67

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მარიამ ხაჩიძე - სასესხო განაკვეთების პრობლემა კომერციულ ბანკებში და მათი რეგულირების აუცილებლობა---------- 85
ნინო ჭოველიძე - სავალუტო ბაზარი, ვალუტის გაცვლითი კურსის დადგენა და საქართველოში არსებული მდგომარეობა----- 95
ასიე ცინცაძე, ბექა ფუტკარაძე - ფინანსური ინტეგრაცია: შეხედულებები და მტკიცებულებები ---------- 107

რეგიონული ეკონომიკა

ბექა ბიბილური - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის რეგიონალური ასპექტები---------- 122

დარგობრივი ეკონომიკა

ხოჭოლავა ნათია - აუდიტი – ეკონომიკის მდგრადი განვითარების სისტემის ელემენტი ---------- 131
ნატა ქირია, მარიამ მუქერია - ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გავლენა ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე---------- 139
ქეთევან კიწმარიშვილი - კვლევითი პროექტები

და მათი თავისებურებანი---------- 146
გიორგი თეთრაძე, პაატა კოღუაშვილი - აგრარული რისკები.
აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები---------- 153
სოფიო მაჭარაშვილი - სტუდენტზე ორიენტირებული
საუნივერსიტეტო განათლება მისი დასაქმების
გარანტი უნდა გახდეს ---------- 161
გიგა კიკორია - საქართველოში უძრავი ქონების,
როგორც საცხოვრისის, ხელმისაწვდომობა ---------- 168

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ნათია გურაშვილი - პიროვნების განათლებულობის
რესურსის მართვა ---------- 182
მარინა ბაღათურია, ნატო გეგენავა - ბიზნესის
შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში ---------- 189
ქეთევან ჯიქია, რუსუდან ქუთათელაძე - მართვა როგორც
მიზნის მიღწევის საშუალება ---------- 197
გაბრიელი გაბუნია, დიმიტრი იობაძე - მენეჯმენტი
ქართულ ორგანიზაციებში ---------- 210

მსოფლიო ეკონომიკა

ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, ანი კენჭაშვილი - სამხრეთ
კავკასიის ენერგო დერეფანი, როგორც ძირითადი
გეო-ეკონომიკური და გეო-სტრატეგიული
არეალი გლობალური მოთამაშეებისთვის ---------- 219
მარინა მეტრეველი, გიორგი ჯაბნიძე -
ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი
ტენდენციები და მიმართულებები მსოფლიოში ---------- 232
ალექსანდრე ეროიანი, გვანცა შაორშაძე - რუსეთისა
და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ურთიერთობები ---------- 242
მარიამ ტლაშაძე, მარიამ ცაბაძე - საქართველო
და ევრაზიული კავშირი---------- 254

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 262

შინაარსი - N2

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემები და პერსპექტივები

დავითი პიტიურიშვილი - კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის გზები მსოფლიოში და საქართველოში-----6
ნინო არეშვილი - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა ---------- 18

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

ლელა კოჭლამაზაშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი - ელიტარული და მასობრივი მოხმარების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი ---------- 27
ზურა გამთენაძე - სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა ---------- 34
გიორგი ჭინჭარაული, მაია კაპანაძე - ინფლაცია – არაკომპეტენტურობის შედეგი ---------- 44
მეგი ანანიძე - უცხოური ინვესტიციების როლი ერონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ---------- 56
შორენა მჟავანაძე, რევაზ შენგელია - სახელმწიფოს როლი საინოვაციო- საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაში --------- 65

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მარიამ ხაჩიძე - საქართველოს საბანკო სისტემის გაჯანსაღების გზები---------- 77
ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, თამარი ქამხაძე - საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ფორმირების თავისებურებანი ---------- 87

დარგობრივი ეკონომიკა

მარინა მეტრეველი, გიორგი ჯაბნიძე - საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები და მექანიზმები------ 96
ქეთევან კიწმარიშვილი - წარმოების ტექნოლოგიური მომზადება ---------- 107

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ინგა გიგაური, ნიკა ზურიკაშვილი - მცირე და
საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები
და განვითარების პერსპექტივები ---------- 112
ნათია გურაშვილი - ცხოვრებისადმი ადამიანთა
მიდგომები და ადამიანთა ყოფითი სივრცეები ---------- 121
ქეთევან კიწმარიშვილი - ვენჩურული პროექტების სახეები ------ 128
თეიმურაზ ყანდაშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი -
სარეკლამო დიზაინის ფუნქციები და იდეოლოგია ---------- 133

მსოფლიო ეკონომიკა

ასიე ცინცაძე, ბექა ფუტკარაძე - ფინანსური გლობალიზაცია და
სავალუტო კრიზისი: ურთიერთკავშირი და შედეგების ანალიზი -- 141
ამზა ჩარგაზია, ნესტან ჯაჭვლიანი - ლათინური ამერიკის რეგიო-
ნის ენერგოპოლიტიკა: ალტერნატიული ენერგიის მოპოვებისა და
გამოყენების პერსპექტივები ---------- 151

ეკონომისტი აუდიტორიაში

**ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია,
რევაზ შენგელია** - მოგების გადასახადის დაბეგვრის
ესტონური მოდელი-ქვეყნის საინვესტიციო გარემოს
გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი ---------- 162

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 171

შინაარსი - N3-4

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

დიანა უგლავა - საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმა-----6
ნაზი ჭიკაიძე - დაგროვებითი პენსიის
სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები ---------- 18
ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მაღლაკელიძე -
დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული
ავანსის დაბეგვრის თავისებურებები---------- 28

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

გოდერძი ტყეშელაშვილი, ხათუნა გიორგაძე,
მანუჩარ მერებაშვილი - საქართველოს შრომითი
რესურსები და მათი ეფექტიანი გამოყენების პრობლემები--------- 41
გიორგი გოგუაძე - მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივები --- 51
მერი დაუშვილი - საბაჟო სტატისტიკის
მეთოდოლოგიური საკითხები ---------- 63

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი გოგუაძე - ცენტრალური ბანკის დილემა:
მონეტარული პოლიტიკა თუ ზედამხედველობა ---------- 79
გიორგი სუბელიანი, ლევან ბოგვერაძე - კომერციული
ბანკის საიმედოობის ანალიზისა და საინვესტიციო
მიმზიდველობის მაჩვენებლების სისტემა,
ეკონომიკური შინაარსი და გაანგარიშების მეთოდი---------- 94
ნიკოლოზ ნაცვლიშვილი - კომერციული
ბანკების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში---------- 106
ნინო ხიდირბეგიშვილი, რატი ბურდიაშვილი -
სქორინგი იურიდიულ პირთა დაკრედიტებაში---------- 115

რეგიონული ეკონომიკა

ბექა ბიბილური - იმერეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა
და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთკავშირის ანალიზი --- 122

დარგობრივი ეკონომიკა

ბადრი დავითაია - კონტროლის ფუნქციის მეთოდოლოგიური
ასპექტები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ---------- 131

ლელა ინასარიძე - ჯანმრთელობის დაცვის სისტემები ---------- 140
ნინო შაფათავა, ლელა ხარტიშვილი - აგროტურიზმი - სოფლის მულტიფუნქციური განვითარების გზა ---------- 147

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ბადრი დავითაია - მენეჯმენტის კომუნიკაციური პროცესების მეთოდოლოგიური ასპექტები---------- 156
ნანო ნინუა - ადამიანური რესურსების მართვის თეორიული ასპექტები---------- 165
ნინო ხიდირბეგიშვილი, რატი ბურდიაშვილი - სარეიტინგო კომპანიები და რეიტინგული შეფასების მეთოდები ---------- 180
სალომე ჯინჯოლია - კორპორაცია და კორპორაციული მართვა - 192
სანდრო ყანდაშვილი - მარკეტინგული კომუნიკაციების არსი და მნიშვნელობა ---------- 206

მსოფლიო ეკონომიკა

ასიე ცინცაძე, ლილით მელოიანი-ფუტკარაძე - განვითარებული ქვეყნების სამედიცინო დაზღვევის მოდელების ემპირიული ანალიზი და მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში -- 213
სერგო ჭიჭაღუა - ბუნებრივი რესურსები, როგორც ისლამური სახელმწიფოს დაფინანსების წყაროები, ძლიერება და სისუსტეები ---------- 229

ეკონომისტი აუდიტორიაში

ანზორ აბრალავა, ზურაბ ჯორბენაძე - ეკონომიკური ანალიზის სწავლების სრულყოფის საკითხისათვის ---------- 245
ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია, მეგი ანანიძე, რევაზ შენგელია -საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები---------- 256

მილოცვა

ახალგზარდა მეცნიერ-ეკონომისტის ნათია შენგელიას წარმატება ოქსფორდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) ------ 272

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 273

შინაარსი - N5

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

მირზა ხიდაშელი - საქართველოს მონეტარული სისტემის პერსპექტივები ---------- 6
ხათუნა შალამბერიძე - საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმიზაცია ---------- 22
ბენ იაკოვ რივკა - შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში ---------- 30

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ანზორ აბრალავა, თორნიკე გოგაძე - ბიზნესის სოციალიზაციის მაკროეკონომიკური თავისებურებანი საქართველოში ---------- 36
მარიამ დათაშვილი - ადამიანური კაპიტალის

სტრუქტურა და სახეობები ---------- 47

გრიგოლ ზუბიაშვილი - საწარმოების ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა ---------- 54
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - სამამულო და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა-ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და მისი სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი ---------- 65

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ბენ იაკოვ რივკა - შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების (რემიტანსების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ---- 73

რეგიონული ეკონომიკა

არჩილ გოგრიჭიანი - მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები ---------- 81

ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, ნატალია ელგენდარაშვილი, ცირა ელგენდარაშვილი - მუნიციპალური მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში ---------- 88
ბექა ბიბილური - ფერმერული მეურნეობის როლი იმერეთის მხარის ცხოვრების დონის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაში ---------- 96

დარგობრივი ეკონომიკა

ლელა ინასარიძე - მართული ჯანდაცვის სექტორის ორგანიზება საქართველოში ---------- 105
ნინო დევაძე - ტურიზმის განვითარების ჯაფარის მოდელი და მდგრადი განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე --- 112

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

გიორგი მაისაშვილი - სადაზღვევო კომპანიების მართვის ბიზნეს-მოდელის ფუნქციონირების პრობლემები ------- 125
გრიგოლ ზუბიაშვილი - ღვინის კლასტერები როგორც კონკურენციის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი -------- 137
დავით ძოწენიძე - მეწარმეობის თვითრეგულირების სტრატეგია -- 146
ქეთევან კიწმარიშვილი - მოტივაციური პოტენციალის ანალიზი -- 154
გიორგი მაისაშვილი - ორგანიზაციის მართვა: კონცეფციების რეტროსპექტივა და ახლებური მიდგომები ---------- 159
ნანა ნადირაშვილი - რეგიონული მარკეტინგის მნიშვნელობა და მისი განვითარების აუცილებლობა საქართველოში ---------- 168
ქეთევან კიწმარიშვილი - საწარმოო ტექნოლოგიები, როგორც მართვის ობიექტი ---------- 175

მსოფლიო ეკონომიკა

გურამ საფარიძე - შრომითი მიგრაცია - საქართველო, აღმოსავლეთის პარტნიორობა და ვიზალიბერალიზაცია ---------- 182

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 199

შინაარსი - N6

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ქეთევან შენგელია, ანა ჯიქია - ცხოვრების დონის
გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში ------- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

თორნიკე გოგაძე - დარგთაშორისი თანამშრომლობის
ფაქტორული გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე - 11
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, მედეა შენგელია,
ნათია შენგელია -** ინვესტიციების როლი საავტორო
უფლებების მართვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში ----- 23

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი აბუსელიძე, გიორგი ქათამაძე -
საქართველოში ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა
და პრევენციული ღონისძიებების ანალიზი ---------- 34
ხათუნა შალამბერიძე - ბანკის ბიზნეს
სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები ---------- 54

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, მედეა შენგელია,
ნათია შენგელია -** საავტორო უფლებათა მართვის
ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები ---------- 65

რეგიონული ეკონომიკა

არჩილ გოგრიჭიანი - მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური
აღორძინების სტრატეგია რაჭის მაგალითზე ---------- 75

ლელა ჯახაია - რეგიონის აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხები...---------- 83

დარგობრივი ეკონომიკა

ნატალია ჯიჯავაძე, გიორგი გაბედავა - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მიმოხილვა ---------- 99
ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - ფასწარმოქმნის სტრატეგია და მექანიზმი სანავსადგურო მომსახურებაში--------- 108

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ირმა ჩხაიძე - ინოვაციური მენეჯმენტი როგორც „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის საფუძველი---------- 119
ნანა კირვალიძე, მაია ჯეგბაშვილი - ლოგიკური ფუნქციის საშუალებით მოთხოვნის პროგნოზირება ---------- 128
ქეთევან კიწმარიშვილი - პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიებზე სამუშაოების მართვა ---------- 135

მსოფლიო ეკონომიკა

გურამ საფარიძე - საგადასახადო კოორდინაციის, ჰარმონიზაციის და კონკურენციის საკითხები ევროკავშირში----- 147

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი -- 163

შინაარსი - N7-8

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ხატია ნასყიდაშვილი, მარი ბაბაკიშვილი -
გლობალიზაციის პროცესი და საჯარო პოლიტიკა ----------6
ნინო ჭილაია - საქართველოს ლოჯისტიკური სისტემა:
პრობლემები და პერსპექტივები ---------- 17

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სერგო გელაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი - ჩრდილოვანი
ეკონომიკა და მისი პრევენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის-- 33

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

კობა აბლოთია - დედოლარიზაცია –
ეკონომიკის განვითარების შედეგი---------- 50
კახაბერ კუპატაძე - სავალუტო ბაზარზე
ვაჭრობისათვის აუცილებელი პირობები---------- 56

დარგობრივი ეკონომიკა

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,
ნათია შენგელია - ინვესტიციები და ფარმაცევტული ბიზნესის
განვითარების პერსპექტივები საქართველოში ---------- 64
George Gabedava - Maritime Logistics Perspectives in Georgia---------- 81
თენგიზ ლაჭყეპიანი, ხათუნა მურვანიძე, გიორგი ლოხიშვილი -
მებოსტნეობის განვითარების პრობლემები
და პერსპექტივები საქართველოში---------- 86
ლელა მესხიშვილი - საერთაშორისო დონეზე ქვეყნის
იმიჯი ტურისტთა უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული---------- 94

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია - ბუღალტრული
აღრიცხვის განვითარების პერსპექტივები
ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ----------106
ქეთევან კიწმარიშვილი - საწარმო ტექნოლოგია ----------113

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

იოსებ მასურაშვილი - ტექნოლოგიური პარკები
და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესში ----------120
ლელა მესხიშვილი - საფრთხეები ტურიზმში
და ქვეყნის მთავრობის როლი მათ გაუვნებლობაში ----------130
სალომე საყვარელიძე - საქართველოს ფოსტის
ფუნქციონირების ეფექტური გაუმჯობესება
ოპერაციული მენეჯმენტის მეშვეობით----------137
ელისაბედ ბალიაშვილი - მენეჯერებო, დაგეგმეთ დღე! ---------- 144
ქეთევან სიჭინავა - ციფრული ეკოსისტემის საფრთხეები ----------154
მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი - პერსონალის
შერჩევა თანამედროვე ბიზნესის მართვის პროცესში ----------166

მსოფლიო ეკონომიკა

ირაკლი პაჭკორია, მარი ლეკიშვილი -
ჩინეთის გეოეკონომიკური პოტენციალი----------172
კონსტანტინე კევლიშვილი, თათია ვახტანგაძე -
თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირსა და
იაპონიას შორის: პერსპექტივები, ბარიერები
და გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე----------182
ქეთი არჯევანიძე, ნელიკო მათეშვილი - ჰიბრიდული ომები
პოსტსაბჭოთა სივრცეში: ქეისი - დნესტრისპირეთის კონფლიქტი,
მოგვარების მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები ---193
თორნიკე თევდორაძე, ლუკა პანაიოტი - ეკონომიკური
პრობლემები 1930-იანი წლების ევროპასა და ამერიკაში ----------207

შინაარსი - N9-10

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

გურამ მეტივიშვილი - მიწის ინტეგრირებული
პოლიტიკა და თეორიული მოდელები ---------- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ლელა ჯახაია - ფერმერული მეურნეობების
განვითარება საქართველოს აგრარულ სექტორში ---------- 21
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,
ნათია შენგელია - განათლება - ქვეყნის
კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი
და ინვესტიციების მოზიდვის ეფექტიანი ფაქტორი ---------- 37

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი გაწერელია - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: მათი
საქმიანობის არსი და თავისებურებები საქართველოში---------- 48
მაია გრძელიძე-ბიუჯეტის დაგეგმვის
პროცესი თვითმმართველ ქალაქებში---------- 56
მერაბ ჯიქია, ნანა სრესელი - სავალუტო
რისკების ანალიზის თეორიული ასპექტები ---------- 67
გიორგი გაწერელია - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები -
ქვეყნის საკრედიტო სისტემის ნაწილი ---------- 81

რეგიონული ეკონომიკა

მაია გრძელიძე - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები- ბიუჯეტის
დაგეგმვის საბაზისო დოკუმენტი თვითმმართველ ქალაქებში ----- 90

დარგობრივი ეკონომიკა

Обиход Светлана Викторовна - использование трудового
потенциала сельских территорий: проблемы и перспективы
в условиях структурной трансформации экономики ---------- 102
გურამ მეტივიშვილი - სოფლიდან ქალაქში შრომითი მიგრაციის
დეტერმინანტები საქართველოში---------- 115

ეკატერინე კოპლატაძე - ხარისხის ხარჯების
მართვის მოდელი და მისი დანერგვა ფარმაცევტულ წარმოებაში - 130

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ეკატერინე კვირიკაშვილი - ორგანიზაციის
თვითგანვითარება, როგორც მართვის ობიექტი ---------- 139
თამარ ვანიშვილი - კონფლიქტური და
სტრესული სიტუაციების მართვა ორგანიზაციაში ---------- 154
ირაკლი კინწურაშვილი - ელექტროტექნიკის მაღაზიათა
ქსელი და თანამედროვე მარკეტინგული მიდგომები ---------- 166
ნათია ხოჭოლავა - კომერციულ ბანკებში
შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზების ფორმები ---------- 174
ეკატერინე კვირიკაშვილი - თანამედროვე
გამოწვევებზე საპასუხოდ ორგანიზაციის მართვის
თვითგანვითარების პრინციპებზე გადასვლა ---------- 185

მსოფლიო ეკონომიკა

გიორგი ლოხიშვილი, თამთა უთნელიშვილი - თანამედროვე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების
გლობალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია -- 201
ნინო ცხოვრებაშვილი - ლიდერობის თავისებურებები
და ქალთა ლიდერობისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკა
ფრანგულ ორგანიზაციებში ---------- 210

რეცენზია

რევაზ შენგელია - საინტერესო ნაშრომი ---------- 220

ინფორმაცია

საშა ტერნესი - „ბლუორჩარდის“ ინვესტორთა
ვიზიტი საქართველოში. პრეს რელიზი ---------- 223

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 20.11.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.12.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,25.